# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.

№ 11 (5612)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika
ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# გილოცავთ ნათლისღებას!



და ნათელ-იღო იესუ. და მეყსეულად აღმოვიდა რაჲ წყლისა მისგან, და აჰა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ, გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა.

მათე, 3,16.

## რუსეთის ელჩი საქართველოში ბრუნდება!

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საქართველოსთან პრობლემების მოგვარების მიზნით, საქართველოში რუსეთის ელჩს ვიაჩესლავ კოვალენკოს შეხვდა.

შეხვედრაზე პუტინმა აღნიშნა, რომ ელჩი ბრუნდება ქვეყანაში, რომელთანაც „რუსეთს წლების განმავლობაში მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა“. როგორც რუსული საინფორმაციო სააგენტოები იტყობინებიან, ელჩი თბილისში დაწყებული საქმის გასაგრძელებლად ბრუნდება.

„პირველი ნაბიჯი ჩვენ 2006 წლის დეკემბერში გადავდგით. მაშინ ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც საქართველო რუსეთისგან გაზს მიიღებს“, – აღნიშნა შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა.

მანვე განაცხადა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობების მოგვარების მიზნით, კიდევ ბევრი ნაბიჯია გადასადგმელი და საქმე საკმაოდ რთული და შრომატევადია.

ინტერპრესნიუსი


ვაი, ჩვენს პატრონს!..

2

### როდის იყო, გაქირავებულს დალხენილი მიელტვოდა?

მრგვალი მაგიდა

3

### თავმოყვარე ხელისუფლებას ამ ფაქტების შემდეგ სინდისი შეაწუხებდა...

გლობუსი

6

### მსოფლიო ლიდერის სავალალო გადაწყვეტილება

● მოუნდებათ თუნდაც მხოლოდ დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის, მოსახლეობის გამრავლებისთვის ჩვენთან და აფხაზეთში განხორციელებული ღონისძიებების, ამ მხრივ არსებული სიტუაციის შემყურე და შემდარებელ აფხაზებს ჩვენთან ნებაყოფლობით დაბრუნება?





◎ ვაი, ჩვენს პატრონს!..

# როდის იყო, გაჭირვებულს დალხენილი მიელტვოდა?

**თუ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მართლაც მშვიდობიანი გზით შემოერთება გვსურს, ასე არ უნდა ვიქცეოდეთ და ვცხოვრობდეთ!**

**ერთი უფროსი მეგობარი მყავდა. კომუნისტთა ზეობისას თანამდებობის პირი იყო. ერთხელაც, თავსხმა წვიმისას, მისი კაბინეტის კარი რაღაცის სათხოვნელად მისულ გლეხს შეუღია მორიდებით.**

**ჩემი მეგობარი თურმე ტელეფონზე საუბრობდა და, ხელით უნიშნებია, შემოდით და დაბრძანდითო.**

**ცოტა ხანში სახურავიდან ჩამოსულ წყალს ჭერში გასავალი უპოვნია და იმ ჩემი მეგობრის მაგიდაზე ღვარად დადენილა.**

**ამის შემხედვარე გლეხკაცი წამომხტარა და კარისკენ გაჩქარებულა.**

**— სად მიდიხართ, ბატონო, ახლავე მოვიცლი თქვენთვისაც და მოგხედავთო, — მიუღევნებია მაგიდის წმენდით გართულ გაწუწულ კაბინეტის პატრონს.**

**— საკუთარ თავს რომ ვერ დახმარებია, ისეთი კაცი მე რას მიშველისო, — ხელის ჩაქნევით გაუხურავს კარი გლეხს.**

რამ გამახსენა ახლა ეს ამბავი?

რამ და, თუნდაც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულმა სამმა მასალამ: **„ქართველთა დემოგრაფიული მდგომარეობა კრიტიკულ ზღვარს გასცდა!“** (მესამე გვერდი); **„ერის გამრავლება... ლოზუნგებით“** და **„დემოგრაფიულ პრობლემებზე ფიქრობენ“** (მეექვსე გვერდი).

რამდენიც არ უნდა ალამაზონ სტატისტიკის დეპარტამენტში მონაცემები, უმძიმესი დემოგრაფიული მდგომარეობა რომ გვაქვს, ფაქტია.

არც ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის რომელიმე სხვა უბანზეა ბევრად სახარბიელო ვითარება, ხალხს უკიდურესად უჭირს, მაგრამ ამასაც როგორმე გავუძლებთ (თუმცა მოთმინებასაც აქვს საზღვარი!) უკეთესი ხვალინდელი დღის იმედით.

ამ „უკეთეს ხვალინდელ დღეში“ კი ამჟამად, უწინარესად, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას ვგულისხმობ, და არა ეკონომიკურისა.

და კიდევ: ქვეყნის დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას!

ამას ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლებაც უპირველეს საზრუნავად, ცხოვრების მიზნად ისახავს.




თანაც უთუოდ მშვიდობიანი გზით უნდა აღვადგინოთო ტერიტორიული მთლიანობა.

როგორც იტყვიან, ორივე ხელით ვუჭერ მხარს და მივესალმები საკითხისადმი ამგვარ მიდგომასაც!

თუმცა კონფლიქტის, მით უფრო, სისხლის ღვრამდე მისული დაპირისპირების, მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის, ცხადია, ორივე მხარის სურვილი და მზადყოფნაა საჭირო.

ისიც ფაქტია, რომ თუ გსურს, შენთან დაპირისპირებულს და შენგან დროებით განდგომილს კვლავ შენს ჭერქვეშ შემოსვლის სურვილი გაუჩინო, ცხოვრების უკეთესი პირობები უნდა შესთავაზო, ვიდრე ამჟამად აქვს.

რას ვთავაზობთ ჩვენ აფხაზებსა და ოსებს?

მიუხედავად იმისა, რომ არც ისინი ცხოვრობენ „კომუნიზმში“, სახარბიელოს ბევრს ვერაფერს.

**დაახლოებით იმ მდგომარეობაში ვართ, კომუნისტების ზეობისას ჩემ ჩინოსან მეგობარს რომ შეემთხვა, რაზეც ზემოთ მოგითხრეთ.**

ნურაფერს ვიტყვით იმაზე, რომ აჭარის ავტონომიასთან ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულების შემყურე აფხაზებს მათთვის შეპირებული უფართოესი ავტონომიური უფლებების მიღების იმედი ნაკლებად აქვთ;

ნურც იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომ იქაურ, თითქმის მთლიანად რუსეთის მოქალაქეობამიღებულ პენსიონერებს ჩვენს ყბადაღებულ გაორმაგებულ პენსიაზე 4-5-ჯერ და ჩვენთან მომუშავის მინიმალურ ხელფასზე საგრძნობლად მეტი პენსია აქვთ;

ნურც სამართლებრივ სივრცეში ჯერჯერობით არსებულ უკანონობა-განუკითხაობას თუ სხვა მტკივნეულ პრობლემებს შევეხებით, რომლებიც ჩვენგან კიდევ უფრო განდგომის სურვილს გაუჩენს სეპარატისტებს, და **მხოლოდ იმ საკითხზე ვისაუბროთ, რამაც კალამი აამაღებინა — ურთულეს დემოგრაფიულ სიტუაციასა და შობადობის წახალისების მხრივ არსებულ უცუდეს ვითარებაზე.**

კალამი კი, როგორც აღვნიშნე, ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულმა სამმა მასალამ ამაღელვინა.

აი, მცირე ამონარიდი ერთი მასალიდან **„ერის გამრავლება... ლოზუნგებით“**.

> **„ქალაქის მერიის მრავალი უკანონო გადაწყვეტილებიდან (ვეტერანები როგორ „მოისროლეს“) სამაგალითოდ ისიც კმარა, რომ მერიამ ყოველგვარი დახმარება შეუწყვიტა მრავალშვილიან ოჯახებს, ანუ ჩვენი ისედაც კატასტროფული დემოგრაფიული სიტუაცია სრულიად უნუგეშო გახადა.**
>
> **საკვირველია, ღმერთმანი! იმის მაგივრად, რომ სახელმწიფო ათასნაირ სახსარს ეძებდეს ახალგაზრდა ოჯახების წასახალისებლად, გასამრავლებლად, რამდენიმელარიან დახმარებასაც კი უსპობს და სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ამყოფებს!..“**

მკითხველს ისიც კარგად ეხსომება, რა ამბები ატყდა, რა უკმაყოფილების ტალღა აგორდა შარშან ახალი შრომის კოდექსის იმ მუხლების გამო, დეკრეტული შვებულების ვადისა და ანაზღაურების საგრძნობ შემცირებას რომ ითვალისწინებდა.

**პრაქტიკულ ხორცშესხმაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამის მარტო გაკეთებას რომ განიზრახავს თუ გაიფიქრებს (თუნდაც მხოლოდ კანონპროექტის დონეზე), ისეთი ადამიანებით დაკომპლექტებული სამინისტროსი თუ მთავრობისა რაიმე შეიძლება ეიმედებოდეს კაცს? მით უფრო — დროებით განდგომილს და შემოსარიგებელს?!**

ახლა კვლავ გუშინდელი ნომრის მეექვსე გვერდზე გამოქვეყნებული საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ მასალით **„დემოგრაფიულ პრობლემებზე ფიქრობენ“**, ისიც ვნახოთ, რას სთავაზობს ამ მხრივ ჩვენგან განდგომილსა და ჩვენს მიერ შემოსარიგებელს მისი ამჟამინდელი დე-ფაქტო ხელისუფლება:

> **„ახალი წლიდან აფხაზეთის სეპარატისტულ რესპუბლიკაში აფხაზეთის ე.წ. მთავრობის დადგენილება ამოქმედდა, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის ე.წ. სოციალური დაზღვევის ფონდი ახალშობილების დაბადებისას ფულადი კომპენსაციების გაცემას იწყებს.**
>
> **დადგენილების მიხედვით, ფეხმძიმე ქალები, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებებში აღრიცხვაზე დგანან და ფეხმძიმობის ადრეულ პერიოდში იმყოფებიან, ყოველთვიურ დახმარებას 300 რუსული რუბლის ოდენობით მიიღებენ.**
>
> **ბავშვის დაბადებისას, რომლის მშობლები მუშაობენ, დახმარება — 4000 რუსულ რუბლს, თუ მშობლები არ მუშაობენ — 3500 რუსულ რუბლს შეადგენს.**
>
> **აფხაზური ე.წ. მთავრობა ბავშვის მკვდრადშობის შემთხვევაშიც გასცემს კომპენსაციას — 2000 რუსული რუბლის ოდენობით. მათი დაკრძალვისთვის კი — 1000 რუსულ რუბლს.**

როგორია, მკითხველო?!

**მოუნდებათ თუნდაც მხოლოდ დემოგრაფიული პრობლემების გადაჭრის, მოსახლეობის გამრავლებისთვის ჩვენთან და აფხაზეთში განხორციელებული ღონისძიებების, ამ მხრივ არსებული სიტუაციის შემყურე და შემდარებელ აფხაზებს ჩვენთან ნებაყოფლობით დაბრუნება?** ისინი, მართლაც ძალზე მცირერიცხოვანი ერის შვილები ხომ, გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებულად ზრუნავენ გენოფონდის გამრავლებაზე!

ჩვენ კი, ჩვენი პრაქტიკული ცხოვრება-საქმიანობით, რა სასიკეთოს ვპირდებით და რის გარანტიას ვაძლევთ მათ საამისოდ?

**ამაზე გმართებთ დაფიქრება, ბატონებო, ვიდრე არსებული მიზერული დახმარება-შეღავათის გაუქმებას და ახალი შადრევნის ამოჩუხჩუხება-აცეკვებისთვის საჭირო თანხების გამოყოფას გადაწყვეტდეთ.**

**რუსლან რუსია**

**P. S. ეს აუცილებელია, ბატონებო, თორემ საქმისადმი აქამომდელი მიდგომით, ადვილი შესაძლებელია, არამცთუ განდგომილნი შემოვირიგოთ, არამედ, ვიდრე ყურთბალიშზე გვძინავს და მომღერალ-მოცეკვავე შადრევნები გვეზმანება, ჩვენი გარეშე „კეთილმოსურნეების“ წაქეზება-მხარდაჭერით, ჩვენგან კიდევ ვინმემ გაქუსლოს!..**

**რ. რ.**

◎ პური და სანახაობა

# ჯოხი ვინმეზე ხომ უნდა გადატყდეს?!

**თუ პრეზიდენტი, სავარაუდოდ, კადრებს შეცვლის, სხვაგან, შესაძლოა, მის შემცვლელზე ფიქრობდნენ...**

**გემახსოვრებათ, განსვენებულმა ზურაბ ჟვანიამ და გიგი წერეთელმა სახელმწიფო კანცელარიის წინ აღმართული ლითონის გალავანი რომ „მოარღვიეს“, ხალხსა და ხელისუფლებას შორის ჯებირი არ უნდა იყოსო. ღობე რაღა მოსატანია, ხალხსა და მისსავე ხელდასხმულ ხელისუფლებას შორის იმსიგანე უფსკრულმა დააფჩინა პირი, ილიას ცნობილი ჩატეხილი ხიდი, მასთან შედარებით, რწყილის ერთი სკუპია.**

გალმელებს ჩვენი, გამოღმელებისა, არა ეყურებათ რა და არც გაგონება უნდათ. საქართველოში ისეთი ბრმა-ყრუობაა, ვინმე გარეგანი არც დაიჯერებს.

აბა, როგორი დასაჯერებელია (სხვაზე, უამრავზე, აღარას ვიტყვი), ხელისუფლება და მთავრობა რამდენიმე თვე მკერდში მჯიღის ცემით ლამის გულის ფიცარს რომ შეინგრევს, გაზი, მოგვკალით და, არ გაძვირდებაო, ახალ წელს კი უკულმა თოვლის პაპად მოგევლინება — გაზს უფრო ძვირად ვყიდულობთ და, გაკვირვებისგან რა თვალები გადმოკარკლეთ, ტარიფი გაძვირდებოდა, მაშ, როგორ იქნებოდაო. ეს ისე „გვახარა“ ბატონმა სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, თვალიც არ დაუხამხამებია (ვილამ ახსენა, განსხვავებას სახელმწიფო დაფარავსო). მაგას რა უჭირს, დაჰკრავს ფეხს და ისევ რუსეთში გადაიხვეწება. მისი „ნაღვაწი“ კი ჩვენ, ხალხმა უნდა ვიწვნიოთ.

ისევ გილაურმა იკითხოს: თუ კეხი სიკეთისკენ შემობრუნდა, მართალია, სპეციალისტ ენერგეტიკოსთა თქმით, როგორც იქნა, უსწავლია კილოვატისა და მეგავატის გარჩევა, ეგებ, მეკარეობაც აღარ აღირსონ თავისსავე სამინისტროში.



არადა, ჯოხი ვინმეზე ხომ უნდა გადატყდეს?

რა უნდა ხალხს? ძველ რომაელ ხელისუფალთა მტკიცებით — პური და სანახაობა! რაკი პრეზიდენტი პურს ვერ იძლევა, პირიქით, გაზი, წყალი, ელექტროენერგია, სურსათი კატასტროფულად გაძვირდა და კვლავაც ძვირდება, სანახაობა ხომ მაინც უნდა „გადაუგდონ“ ხალხს, ვინმეს ხომ უნდა შეახოცონ ხელი, ვინმეზე ხომ უნდა აყრევინონ ჯავრი?

ჰოდა, გაივლის ეს ზამთარი ჩვენი მღელვარებისა და, ვინც იონჯას მოსვლას მოვესწრებით, ბევრი ჩინოსნის „თავის დაგორებასაც“ შევესწრებით.

უპირველესად, ალბათ, ნოღაიდელს მოეკითხება. ჯერხანობით, სააკაშვილს ხელს აძლევს ასეთი ხალხში ერთობ არაპოპულარული პრემიერი. პრეზიდენტი მას კიდევ რამდენიმე მინისტრს მიაყოლებს, სხვებს დაუცაცხანებს, აი, ისე, ადრე რომ სულ „ბრდღვირი ადინა“, როგორ ბედავთ და ქალაქის ტელეფონებს არ იღებთო და ეგ იქნება.

ნოღაიდელს რომ წირვას გამოუყვანენ, ამაზე პრეზიდენტის უერთგულესი არველაძის სწორედ საპრემიერო ტრამპლინზე — ეკონომიკის მინისტრად დანიშვნაც მიანიშნებს. ბატონ გიორგის ამ თანამდებობისთვის საჭირო არც ცოდნა აქვს და არც გამოცდილება (თუმცა, რომელი ჩინოსანი დაიკვეხნის ამას?), მაგრამ პრეზიდენტის ერთგულებასთან, აბა, ეგეები რა მოსატანია?!

აი, შალვა ნათელაშვილი კი ამერიკაშია. ოპოზიციურ პარტიათაგან მხოლოდ ლეიბორისტთა ლიდერი მიიწვიეს. ახლა ის ამერიკელ კონგრესმენებს აცნობს, რა ცოდვაბრალიც ტრიალებს საქართველოში და სააკაშვილს ოთხში იღებს. ვითარების ადგილზე შესასწავლად, ანუ ნათელაშვილის სიმართლეში დასარწმუნებლად (ვითომც, ისე არ იცოდნენ, რაც ხდება საქართველოში), აშშ-ს წარმომადგენლობითი პალატის დელეგაცია აპირებს ჩამოსვლას კონგრესმენ დევიდ ბრაისის ხელმძღვანელობით.

აშშ წინ იყურება — სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადაც ხომ გავა. ჰოდა, ახლავე ამზადებენ ნიადაგს მისი შემცვლელის შესარჩევად. ნათელაშვილი შარშანაც იყო ამერიკაში და, თუმცა უშუალოდ ბუშის მიწვევით არ ჩასულა, თეთრი სახლის თანხმობის გარეშე, ამას ვერ იქმოდა.

მაშ, ასე — თუ პრეზიდენტი, სავარაუდოდ, კადრებს შეცვლის, სხვაგან, შესაძლოა, უკვე მის შემცვლელზე ფიქრობდნენ...

**კონსტანტინე გურგენიძე**

● ტყუილებისა და უაზრო ბაქი-ბუქის ჭაობში ჩაფლულ საქართველოს რაღა ეშველება, თორემ, „შეშლილი“ მსოფლიო საკუთარ თავს უჩვენოდაც უშველის...





◎ ავშენდით!

# ეკონომიკური თავისუფლებით რუსეთს გავუსწარით?!

**მცდარი, ზერელე, გაუანალიზებელი ინფორმაცია ჭამს მსოფლიოს. ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების უმთავრესი დანიშნულება დღეს საინფორმაციო ომის მოგება გახლავთ.**

**მათ შორის ეკონომიკური ომისაც!**

**მთავარი ხომ სწორედ ეკონომიკაა – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ჩვენი ყოველდღიური ყოფის საფუძველთა საფუძველი.**

**ჰოდა, პოლიტიკურად ასე მოყელყელავე საქართველოს ამბიციური ხელისუფლება რომ მსოფლიოს საინფორმაციო ბაზარზე ეკონომიკური წარმატებების ბუღს აყენებდეს, რაღა გასაკვირია.**

გახსოვთ, ალბათ, ახალი წლის წინა დღეებში პრეზიდენტმა სააკაშვილმა რა დააფასა მასთან სადღესასწაულო ვახშმის უფლება (თითო ფირმისგან მინიმუმ 10 000 დოლარი, ანუ კაცი - 1 500 დოლარი!ქ და როგორ „გაახარა“ მთელი ქვეყანა: საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა ეკონომიკური განვითარების ტემპით, ყოველწლიური ზრდის მაჩვენებელი 10 პროცენტზე ქვემოთ არ ჩამოდისო.

მერე ისიც დასძინა: ამ მაჩვენებლით ჩვენ რუსეთსაც ვუსწრებთო!

პრეზიდენტი რასაც უნდა იმას იტყვის, „მეფეა“, მაგრამ... ჩვენი გასაცოდავებული, ეკონომიკურად დაუძლურებული ხალხი არ ტყუვდება და ისევ ისე თურქეთში, საბერძნეთში, ამერიკაში, ცენტრალური ევროპის ქვეყნებში და ასე განსაჯეთ, ახალ ზელანდიაშიც კი ეძებს სამუშაოს და სარჩო-საბადებელს (ამ ცოტა ხნის წინათ სამი ქართული ოჯახის სამი წარმომადგენელი ერთად გაემგზავრა ახალ ზელანდიაში „სეზონურ“ სამუშაოზე!ქ.

ბიზნესსა და ბიზნესმენებზე ძალადობა რომ გრძელდება, ამის თაობაზე მკაცრად და პრინციპულად ბრძანა შარშან ბიზნესმენთა ფედერაციის თავკაცმა ბადრი პატარკაციშვილმა.

განა, აშკარა ძალადობა არ იყო თვით წარმატებული ფირმებისთვის ფულის „შეწერვა“, აქაოდა, პრეზიდენტთან საახალწლო ვახშამს დაგასწრებთო!

ფულიანი ბიძების დაშინება, – ამდენსა და ამდენს თუ არ გადაიხდი, დაგიჭერთო! – ეკონომიკური თავისუფლების ახალი ქართული ფენომენია?

რამდენიმე მართლაც დაიჭირეს და თავისუფლების სანაცვლოდ გაატყავეს; ბევრი დღემდე იმალება და საზღვარგარეთ გაპარვაზე ოცნებობს.

სახელმწიფო ბიუჯეტი, ძირითადად, ამ „შეწერვების“ და ეროვნული სიმდიდრეების გაყიდვის ხარჯზე ივსება, თორემ... გემუდარებით, მითხარით, – ბოლო ხანებში ვინმეს გსმენიათ რუსთავის მეტალურგიულმა კომბინატმა ან ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ ათობით მილიონი ლარი შეჰმატეს ქვეყნის ბიუჯეტსო?



რა თქმა უნდა, არა!

მაშ, სად არის ეკონომიკური აღმავლობის არნახული ტემპი?

აშკარაა, ჩვენი ხელისუფლება უჩინმაჩინის ქუდის მფლობელია და ასობით მოგრიალე, დღემუდამ მომუშავე ფაბრიკა-ქარხანას მარტოოდენ უცხოელთა თვალის დასაბრმავებლად, შიგა და შიგ, აჩენს.

**სხვაგვარად ვერ ახსნი უცხოელი ანალიტიკოსების მიერ ამ დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში საქართველოს (მსოფლიო მასშტაბით!ქ 35-ე ადგილზე დამკვიდრების შესახებ.**

**დიახ, ეკონომიკური თავისუფლების ტრადიციულ რეიტინგში საქართველო მსოფლიოს 161 ქვეყანას შორის 35-ე ადგილზეა!**

**საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა რუსეთი, საფრანგეთი, თურქეთი, იტალია, ისრაელი, ლიტვა და ა.შ.**

ჩვენი ეკონომიკის თავისუფლების ხარისხი შეფასებულია 68,7 ქულით.

რა თქმა უნდა, ეს გულწრფელად უნდა გვიხაროდეს, მაგრამ საქართველოში შექმნილი რეალური ეკონომიკური მდგომარეობა ამის საფუძველს რომ არ იძლევა?

ვის ვატყუებთ? ვის ვაყრით თვალებში ნაცარს? რა ეკონომიკურ თავისუფლებაზეა ლაპარაკი, როდესაც ყველა მეწარმე ერთსა და იმავეს გაიძახის: **თუ მაღალი რანგის რომელიმე ჩინოვნიკი წილში არ ჩაისვი, სერიოზული საქმის დაწყებას აზრი არა აქვსო; თუ შემოსავლები არ დამალე, ორ წელიწადში გაკოტრდებიო; ადრე პრივატიზებული საწარმო და საყოფაცხოვრებო ობიექტები (ორთაჭალის აბანოების ბედი გავიხსენოთ!ქ თუ სახელმწიფოს „ნებაყოფლობით არ აჩუქე“ ციხეში ამოგალპობენო... და ა.შ.**

ყოველივე ამას თუ ეკონომიკური თავისუფლება ჰქვია, მაშინ ჰონგ-კონგის ან სინგაპურის ეკონომიკური სასწაულები რაღაა?

არა, არა, მსოფლიო ნამდვილად „გაგიჟდა“. ჩვენი რეალობა შეჭამა ზერელე, მცდარმა, გაუანალიზებელმა ინფორმაციამ.

ტყუილებისა და უაზრო ბაქი-ბუქის ჭაობში ჩაფლულ საქართველოს რაღა ეშველება, თორემ, „შეშლილი“ მსოფლიო საკუთარ თავს უჩვენოდაც უშველის...

**სპარტაკ ქოზულია**

◎ SIC!

# მოსკოვის დესტრუქციული პოზიცია

## აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ, აფხაზეთში (საქართველოქ ვითარების შესახებ საკითხის გაეროს უშიშროების საბჭოზე დაგეგმილი შუალედური განხილვის წინ აფხაზეთის სეპარატისტულმა ძალებმა, რუსეთის აქტიური და აშკარა მხარდაჭერით, როგორც მოსალოდნელი იყო, კვლავ წამოაყენეს დაუსაბუთებელი**



**ბრალდებები საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო საფრთხის შესახებ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადებაში კერძოდ ნათქვამია:**

მსოფლიო საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ რუსეთი მის მიერვე ინსპირირებულ ცხელ წერტილებში მუდმივად ცდილობს დაძაბულობის ესკალაციას სხვადასხვა მეთოდებით. მოსკოვის აქტიური ზეწოლით, აფხაზეთთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს ბოლო №1716 რეზოლუციის მიღებისა და, განსაკუთრებით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სხდომაზე აფხაზ სეპარატისტთა მხარდაჭერის მცდელობის შემდეგ, რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა, მიმდინარე ეტაპზე გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ვიტალი ჩურკინმა სრულიად უსაფუძვლოდ უარყოფითად შეაფასა საქართველოს მხრიდან საბჭოს 2006 წ. ოქტომბრის №1716 რეზოლუციის შესრულების მიმდინარეობა. მანვე წამოჭრა საკითხი უშიშროების საბჭოს შუალედურ სხდომაზე სეპარატისტთა ლიდერების მოწვევის შესახებ, რაც გახდა აფხაზ სეპარატისტთა მორიგი ამბიციური, შანტაჟის შემცველი განცხადებებისა და ქმედებების საფუძველი. პარადოქსია, კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში შექმნილი უაღრესად რთული და ჩიხური სიტუაციის კიდევ უფრო მეტად დაძაბვის მთავარ ინსპირატორად სისტემატურად გვევლინება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მთავარი შუამავალი. რუსეთის ფედერაციის განზრახვა გაეროში სეპარატისტთა ლიდერების მოწვევის შესახებ და მათი საერთაშორისო აღიარების მცდელობა, ამ დესტრუქციული კურსის გაგრძელების აშკარა მიმანიშნებელია, რამაც შეიძლება ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავოს და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი კურსის გაგრძელების შესაძლებლობა.

იმ ფონზე, როდესაც სრულადაა იგნორირებული დევნილობაში მყოფი აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების უფლებები, მიიღონ მონაწილეობა აფხაზეთის მომავლის განსაზღვრაში, როდესაც გალში მცხოვრები ქართული მოსახლეობა განიცდის არაადამიანურ ზეწოლას სეპარატისტული რეჟიმის დამნაშავე სტრუქტურების მხრიდან შუასაუკუნეებრივი ინკვიზიციური მეთოდების გამოყენებითა და რუსი ე.წ. სამშვიდობოების აშკარა მხარდაჭერით, ბატონი ჩურკინის განცხადება არა მხოლოდ პოლიტიკური ნონსენსია, არამედ ცინიზმის კლასიკური მაგალითია, იგი საყოველთაო დაგმობას იმსახურებს, ვინაიდან უხეშად არღვევს გაეროს წევრი ქვეყნის – საქართველოს კანონიერ ინტერესებს და აშკარად აქეზებს აგრესიულ სეპარატიზმს.

ამავე დროს საქართველოს მთავრობას მივმართავთ, გაატაროს ყველა ღონისძიება, რათა შესრულდეს ქვეყნის პრეზიდენტის მითითება კონფლიქტის დარეგულირების პროცესში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების სრულუფლებიან მხარედ ჩართვის შესახებ, რასაც ასევე ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის ცნობილი დადგენილება.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ რუსეთის დესტრუქციულ პოზიციას ადეკვატურ შეფასებას მისცემს საერთაშორისო თანამეგობრობა, – ნათქვამია განცხადებაში.

◎ მრგვალი მაგიდა

*არასამთავრობო ორგანიზაციამ „საქართველო-ნატოში“ „მრგვალი მაგიდა გამართა “Rights Watch-ის 2007 წლის მოხსენების შესახებ საქართველოზე. „მრგვალ მაგიდას“ უძღვებოდა „საქართველო-ნატოში“ ხელმძღვანელი შალვა ფიჩხაძე.*

მან „მრგვალი მაგიდის“ მონაწილეებს კიდევ ერთხელ შეახსენა მოხსენების არსებითი პუნქტები, კერძოდ: „სამართალდამცავების ქმედებების დაუსჯელობა კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება; ეფექტიანი გამოძიებები იშვიათია. აღმასრულებელი ხელისუფლება ძლიერ გავლენას ახდენს სასამართლო სისტემაზე და რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად“...

ბათიაშვილი, ნათქვამია, რომ მას, მხოლოდ აზრის გამოხატვისთვის უმძიმესი ბრალდება წაუყენეს. „თავმოყვარე ხელისუფლება ან უარყოფდა ამ ბრალდებას, ან დაუყოვნებლივ გაათავისუფლებდა ბათიაშვილს“, – თქვა ირაკლი ბათიაშვილის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

„ახალი მემარჯვენეების“ წარმომადგენელმა, პარლამენტარმა ფიქრია ჩიხრაძემ გა-

# თავმოყვარე ხელისუფლებას ამ ფაქტების შემდეგ სინდისი შეაწუხებდა...

## შესაძლოა, საქართველოს ნატოსკენ სვლა შეფერხდეს

HRW-ის ცნობით, საქართველოში პატიმართა უმეტესობა, რომელთა 63 პროცენტი წინასწარ დაკავებულია, გადაჭედილ, გაუნიავებელ, ჭუჭყიან საკნებშია შერეკილი. HRW ანგარიშში აკრიტიკებს საქართველოს ხელისუფლებას, სახელდობრ, მან შექლო „დაპირისპირებოდა სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ ძალის გადაჭარბებულად გამოყენების, დაუსჯელობის დიდი ხნის პრობლემას“.

„ანგარიში მნიშვნელოვანია, რადგან გაეროს, ევროსაბჭოს, „საერთაშორისო ამნისტიის“ მოხსენებებისგან განსხვავებით, სადაც ხელისუფლებას გუნდრუკს უკმევენ, აქ კონკრეტული ფაქტებია დასახელებული. ამ მოხსენებამ ხელისუფლება სარკეში ჩაახედა, რათა დასკვნები თავადვე გამოიტანოს“... – თქვა შალვა ფიჩხაძემ.

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა ლევან გოგიჩაიშვილმა მოხსენებას ხელისუფლებისთვის ცივი შხაპი უწოდა.

HRW-ის მოხსენებაში უშუალოდ მოხსენიებულია ირაკლი

ნაცხადა, რომ HRW-ის მოხსენების თაობაზე პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში დააყენებს საკითხს, რათა ამ თემაზე პარლამენტმაც იმსჯელოს. ოღონდ, ძალთა ბალანსირების გამო, არ იცის, ამას რამდენად მოახერხებს.

ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა ყურადღება გაამახვილა სასამართლოზე, მასზე ხელისუფლების ზეწოლაზე. ამის გამოა, რომ ქვეყანაში მრავალი უკანონობა ხდება, პატიმრებიდან დაწყებული, საკუთრების უფლების ხელყოფამდე.

დაბოლოს, შალვა ფიჩხაძის აზრით, გავრცელებულია მოსაზრება, რომ ნატო არის მხოლოდ სამხედრო ორგანიზაცია. ნამდვილად კი ასე არ არის, იგი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ადამიანის უფლებებს. HRW-ის მოხსენებამ კი, შესაძლოა, შეაფერხოს საქართველოს სვლა ნატოსკენ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

# რკინიგზა

2006 წელს ქვეყნის „რკინის რაშით“ გადაზიდული ტვირთის საერთო მოცულობა წინა წლისას 18 პროცენტით აღემატება. შედეგად რკინიგზის შემოსავლები გაიზარდა 25 პროცენტით, საოპერაციო მოგება – 54 პროცენტით, ხოლო წმინდა მოგების ზრდამ 116 პროცენტი შეადგინა.


ირაკლი ეზუხბაია

◎ დარგი

*ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეკონომიკის პულსი ყველაზე სახიერად რკინიგზის ძარღვებში იგრძნობა. მიაყურადეთ მის მაჯისცემას და უმალ მიხვდებით, მივჩანჩალებთ თუ სრული სვლით მივდივართ. მართალია სადღეისო რეალობა, მოსახლეობის სოციალური ყოფა საოპტიმიზმო განწყობას არ იძლევა, მაგრამ შედეგები, რომელიც მოპოვებულია ამ კონკრეტულ დარგში, არც თუ ურიგოდ გამოიყურება.*

*თავად განსაჯეთ: 2006 წელს ქვეყნის „რკინის რაშით“ გადაზიდული ტვირთის საერთო მოცულობა წინა წლისას 18 პროცენტით აღემატება. შედეგად რკინიგზის შემოსავლები გაიზარდა 25 პროცენტით, საოპერაციო მოგება – 54 პროცენტით, ხოლო წმინდა მოგების ზრდამ 116 პროცენტი შეადგინა. კუთვნილი წილი მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტმაც.*

*ამასთან, რკინიგზაზე არ გაზრდილა, შენარჩუნდა ძველი ტარიფები და ფასდაკლებები სატრანზიტო ტვირთებზე, გამარტივდა დამატებითი ანაკრებების სისტემა, ამოქმედდა ახალი საერთაშორისო (საექსპორტო, საიმპორტოძ და შიდა გადაზიდვის გათანაბრებული ტარიფი. პრაქტიკაში წარმატებით დაინერგა „ერთი ფანჯრის“ პრინციპი, რომელიც თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოქვეყნებით კლიენტისათვის ოპერატიულ და სრულყოფილ მომსახურებას უზრუნველყოფს.*

*რა თქმა უნდა, ასეთი მიღწევები ციდან არ ცვივა და მეც ბუნებრივად დავინტერესდი: რკინიგზის მართვის სადავეებით, იმ ამძრავი ღვედებითა და ბერკეტებით, რომელთა ეფექტიანი გამოყენებითაც გავიდნენ შრომის ორგანიზაციის სრულყოფისა და შემოსავლების ზრდის ახალ სიმაღლეებზე.*

# უძრავი ეკონომიკა და მოძრავი შემადგენლობა

## რკინიგზა ცივილიზებულ რელსებზე გადადის

– მთავარია მონდომება და შემართება იყოს, თორემ საამისო ბერკეტები უამრავია, – ამბობს ქვეყნის სარკინიგზო არტერიის თავკაცი, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პრაქტიკანაწრთობი სპეციალისტი ირაკლი ეზუხბაია (დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საერთაშორისო ეკონომიკისა და ფინანსების განხრით, აგრეთვე, კავკასიის ბიზნესსკოლაძ. ამათგან უმთავრესია თანხების სწორი მართვა, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ, ინფრასტრუქტურის განვითარება, რკინიგზის გამტარუნარიანობის ზრდა, ტვირთების უსაფრთხოება, ტრანსპორტში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მართვას მნიშვნელოვნად აადვილებს.


მახინჯაურის ახალი სადგური

– შარშან საქართველოს რკინიგზაზე უმნიშვნელოვანესი პროექტები განხორციელდა და არაერთი სიახლე დაინერგა. აშენდა ახალი სამგზავრო სადგური მახინჯაურში, რომლის პროექტი კომპანია „აქსისმა“ შეიმუშავა, სამშენებლო სამუშაოები კი ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია „ოქტანმა“ შეასრულა. შენობა მსუბუქი კონსტრუქციისაა, სადაც დამონტაჟებულია გარე დეკორატიული განათება. სადგურს აქვს ორი მოსაცდელი დარბაზი, მგზავრებს ბილეთების შესახებ ინფორმაცია პლაზმური მონიტორების საშუალებით მიეწოდება.

– აჭარაშივე რეკონსტრუქცია გაუკეთდა ქობულეთის სადგურს, რომლის ფასადი შეიმინა, ხოლო ბაქანი დეკორატიული ნათურებით გაჩირაღდნდა. ვაგზლის პირველ სართულზე განთავსდა მგზავრთა მოსაცდელი დარბაზი.

– ასევე რეკონსტრუირებულია ქუთაისის და გორის სადგურები. აქ მთლიანად განახლდა მოსაცდელი დარბაზები და საბილეთო სალაროები, მოპირკეთდა შენობათა ფასადები, დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის ფანჯრები და ფოტოელემენტიანი კარები. კომპანია „აქსისის“ პროექტით შენდება ახალი სამგზავრო სადგური ბორჯომშიც.

როგორც ირაკლი ეზუხბაიამ განაცხადა, დიდი სიახლეების მოლოდინშია დედაქალაქის ცენტრალური ვაგზალი, რომლის სარეკონსტრუქციოდ ტენდერში გამარჯვებული კომპანია „თბილისი-ცენტრალი“ 10 მილიონ დოლარს


ქობულეთის განახლებული სადგური

გაიღებს. ორ წელიწადში თბილისს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რკინიგზის ვაგზალი ექნება. შეიცვლება და განახლდება ვაგზლის შენობა, ინტერიერი და ექსტერიერი, სადგურის ტერიტორიაზე განთავსდება სავაჭრო ობიექტები და მრავალპროფილიანი სერვისცენტრები. შეიქმნება ყველა აუცილებელი პირობა სადგურის ნორმალური მუშაობისა და მგზავრთა კომფორტული გადაადგილებისათვის. უკვე შეკეთდა მოსაცდელი დარბაზი, რომელსაც დაემატა 7 ახალი სალარო.

– აშენდა, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სარკინიგზო ხიდებს მდინარეებზე – ტეხურასა და რიონზე, ქსანი-ძეგვისა და მუკუზანი-წინანდლის სარკინიგზო გადასარბენზე. ბათუმში აშენდა ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი სალოკომოტივო დეპო.

– ყოველივე ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა რკინიგზის ტვირთგამტარუნარიანობა, რომელიც ახლო მომავალში 30 მილიონ ტონას მიაღწევს, ასევე გაიზრდება მატარებელთა მოძრაობის უსაფრთხოება და სიჩქარე.

**– როგორც ჩემთვის ცნობილია, ბატონო ირაკლი, საქართველოს რკინიგზაზე მნიშვნელოვანი ინვესტიციები დაბანდდა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.**

– დიახ, ამ მხრივ მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. საილუსტრაციოდ მარტო გარდაბანიც კმარა, სადაც ახალ სატვირთო სადგურთან ერთად, იქ მომსახურე პერსონალისთვის ადმინისტრაციული შენობაც აიგო. სადგური თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვა, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ იგი არსებულთან შედარებით 8 მილიონი ტონით მეტი ტვირთის გადამუშავებასა და გატარებას შეძლებს.

მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესრულდა რკინიგზისთვის ყველაზე რთულ, საუღელტეხილო მონაკვეთზე, სადაც დაიგო ორკილომეტრიანი ხაზი. გასწორდა მცირერადიუსიანი მრუდეები, დარეგულირდა საკონტაქტო ქსელი, რამაც სარკინიგზო მაგისტრალის გამტარუნარიანობის გაუმჯობესებასთან ერთად მატარებელთა მოძრაობის სიჩქარეც გაზარდა.

შარშან საქართველოს რკინიგზას ორი ახალი სამგზავრო მატარებელი შეემატა. ოცვაგონიან შემადგენლობას მოდერნიზება დნეპროპეტროვსკის ქარხანაში გაუკეთდა. ეროვნული დროშის ფერებში შეღებილი მატარებელი დაკომპლექტებულია ტრანსფორმირებადი ღია ტიპის ვაგონებით, რომლებსაც აქვთ სრულიად ახალი ინტერიერი, პლაზმური ტელევიზორებით აღჭურვილი კუპეები და თანამედროვე კონდიცირების სისტემა.

ტენდერში გამარჯვებულ თბილისის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში შეიქმნა ახალი მოდერნიზებული ელექტრომატარებელი, რომელიც ღია ტიპისაა. მატარებელში დამონტაჟებულია ფოტოელემენტებზე მომუშავე ელექტროკარები, ფუნქციონირებს კონდიცირების უახლესი სისტემა და ვენტილაცია. ახალი შემადგენლობა თბილისი-ჯავახეთის მარშრუტზე მოძრაობს.

შარშან აგვისტოში, სამწლიანი პაუზის შემდეგ, განახლდა სამგზავრო მარშრუტი თბილისი-ახალქალაქის მიმართულებით, რაც სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისთვის დიდად ხელსაყრელია.

მივაღწიეთ იმასაც, რომ მგზავრები ბილეთებს უკვე ინტერნეტისა და ტურისტული სააგენტოების მეშვეობით იძენენ. ფუნქციონირებს ბილეთების რეალიზაციის ახალი, მოქნილი სისტემა, რომელშიც ჩართულია ქვეყნის ყველა რკინიგზის სადგური.

**– კარგია, რომ სამცხე-ჯავახეთში სარკინიგზო მოძრაობა აღდგა, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით კახეთზე, სადაც მოსახლეობას უკვე წლებია, სამგზავრო მატარებლისთვის თვალიც არ მოუკრავს. ამის თაობაზე ჩვენს გაზეთში არაერთი კორესპონდენცია დაიბეჭდა.**

– ეგ პრობლემა ჩვენც არანაკლებ გვაწუხებს, მაგრამ რა ვქნათ. კახეთში სამგზავრო მატარებლის აღდგენას სულ მცირე 8 მილიონი ლარი სჭირდება, იქაური ტვირთბრუნვა კი იმდენად მცირეა, რომ ხელის გაშლის საშუალებას არ იძლევა. აი, ტვირთბრუნვა როგორც კი მოიმატებს, რისი ტენდენცია უკვე იგრძნობა, კახეთში სამგზავრო მატარებელიც გამოჩნდება.

**– სოციალურ პროექტებზე რას იტყოდით?**

– რაც პროგრამაში გვაქვს, ვახორციელებთ. პრეზიდენტის პროგრამის ფარგლებში, მაგალითად, რკინიგზამ ზემო აფხაზეთში ორი საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი ააშენა. სოფლებში ჩხალთასა და აჟარაში სამუშაოები 33 დღეში დასრულდა. სამტრედიაში აშენდა სპორტკომპლექსი, რომელშიც სამი ახალი უნივერსალური, ხელოვნურსაფარიანი სტადიონი და საცურაო აუზი ფუნქციონირებს.

მრავლისმეტყველია ისიც, რომ რკინიგზის ტექნიკურ პერსონალს ხელფასები არსებულთან შედარებით 50 პროცენტით გაეზარდა. 15 ათასი რკინიგზელი დაზღვეულია კომპანია BCI-ის პოლისით, რომელიც მათ კომპლექსურ სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს.

ქვეყნის პირველმა რკინიგზელმა ისაუბრა სამომავლო პროგრამაზეც. ბატონ ირაკლი ეზუხბაიას თქმით, ბოლო პერიოდში საქართველოს რკინიგზაზე ტვირთნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა. პროგნოზი კიდევ უფრო მზარდი ტვირთბრუნვის გარანტიას იძლევა. ამ საქმეში ლომის წილს შეიტანს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოში 192-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციას და მარაბდა-კარწახის 29-კილომეტრიანი გზის ხელახალ მშენებლობას ითვალისწინებს. პროექტის რეალიზაციის შედეგად, რომლის განხორციელება, სავარაუდოდ, წლეულს მეორე კვარტალში დაიწყება და დაახლოებით 2-3 წელიწადში დამთავრდება, რკინიგზაზე წლიური ტვირთბრუნვა 15 მილიონი ტონით გაიზრდება, რაც ქვეყნის დაუძლურებულ ეკონომიკას წამოდგომაში წაეხმარება.

ასე, იქნებ ჩვენი უძრავი ეკონომიკა (ყოველ შემთხვევაში, ცხოვრებას მისი წინსვლისა დღესდღეობით არაფერი ეტყობაძ რკინიგზის მოძრავმა შემადგენლობამ მაინც შეაჯანჯღაროს! ამის იმედი უნდა ვიქონიოთ, რადგან სარკინიგზო ტრანსპორტი სულ უფრო დაბეჯითებით ცივილიზებულ რელსებზე გადადის.


ხიდი რიონზე

**ოთარ ხუციშვილი**

№ 11. პარასკევი. 19 იანვარი. 2007 წელი.

გუშინ

**● როგორ, რანაირად დაუკავშირდა თავადი მიხეილ ანდრონიკოვი ჩეკას, რა მანქანებით, ვისი რეკომენდაციით მოხვდა იქ სამუშაოდ, შეგვიძლია მხოლოდ ვიმარჩიელოთ (თუმცა ერთგან პირდაპირი მითითებაც გვაქვს, ლენინისა და ძერჟინსკის რეკომენდაციითო).**



**◎ ისტორია**

# თავადი ანდრონიკოვი: კაცი-გამოცანა

ისინი უახლოესი მეგობრები იყვნენ. თავადი მიხეილი ყოველნაირად უწყობდა ხელს ვ.სუხომლინოვის აღზევებას. ომამდე, პარიზში ყოფნისას, რამდენიმე ფრანგი სახელმწიფო მოღვაწეც კი ინახულა რუსეთის სამხედრო მინისტრისთვის იმიჯის შესაქმნელად. სუხომლინოვის საქებარი წერილი გამოაქვეყნა ფრანგულ გაზეთში. საჩუქრებითა და ყვავილებით ანებივრებდა ხანდაზმული გენერლის ახალგაზრდა მეუღლეს.



სამხედრო მინისტრი – გენერალ-ლეიტენანტი ვლადიმერ სუხომლინოვი.

მაგრამ მუდმივი ამ ქვეყნად არაფერია და ერთხელაც მეგობრებს შორის წყალი აიმღვრა. საქმე ის არის, რომ თავადმა, ოჯახის მეგობრის უფლებით, გენერალს აუწყა, ცუგრუმელა მეუღლე რქებს გადგამს, მისი და ნავთობმწარმოებელი საზოგადოება „ა.ი.მანთაშოვი და KO“-ს გამგეობის თავმჯდომარის ლეონ მანთაშოვის ურთიერთობა სულაც არ არის პლატონურიო. გულაჩუყებული ქმარი კისერზე ჩამოეკიდა მისი ღირსების დამცველს, მაგრამ შემდეგ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ყველაფერი ცოლს უამბო. მადამ სუხომლინოვამ კი, რა გვარიანი კახპაც იყო, ისეთივე გვარიანი ეშმაკობა და ვერაგობაც რომ მოსდგამდა, ქმარი დააჯერა, გატყუებს, თავადი შურს იძიებს ჩემზე, რადგან მისი საყვარლობა უარვყავიო. ბებერმა ბრიყვმა, როგორც მოტყუებული ქმრების უმრავლესობას მოსდის, ყველაფერი ხალას სიმართლედ მიითვალა და ანდრონიკოვი სახლიდან დაითხოვა. ერთი სიტყვით, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც „დეკამერონშია“. ეს ამბავი ომის წინ მოხდა.

ასე იყო თუ ისე, ფიცვერცხლით დამოწმებული მეგობრობა მტრობად იქცა. „შეურაცხყოფილი“ ჯარისკაცი ყველა შესაძლებლობით ცდილობდა „შეურაცხმყოფელზე“ ჯავრის ამოყრას და შევიწროება დაუწყო. შინაგან საქმეთა მინისტრს ნიკოლაი მაკლაკოვს აქეზებდა, თავადი პეტროგრადიდან გაასახლეო. საგაზეთო ინსინუაციებსაც მიმართა.

მაგრამ არც ანდრონიკოვს ექინა და რქებდადგმულ გენერალს ეშინოდა, რომ ყოფილი მეგობარი შავი დღისთვის შემონახულ ჩანაწერებს გამოაქვეყნებდა და საქვეყნოდ მოჭრიდა თავს ინტიმური ცხოვრების პიკანტური წვრილმანების გამომზეურებით. ანდრონიკოვმა ხომ ისიც იცოდა, თუ რა ახლოს იყო სუხომლინოვების ოჯახთან ავსტრიის ჯაშუშთა რეზიდენტი ალტშულერი და ჟანდარმერიის პოლკოვნიკი მიასოედოვი, შემდეგ რომ ჯაშუშობისთვის ჩამოახრჩვეს; ბევრი რამ უწყოდა მადამ სუხომლინოვას ნათესავების – ცოლ-ქმარ ბუტოვიჩების გერმანიის სასარგებლოდ საქმიანობის შესახებაც.

ვ.სუხომლინოვს გუმანმა არ უმტყუნა. თავადმა ანდრონიკოვმა მართლაც დაიწყო მოქმედება. იგი იმპერატორს მჭევრმეტყველურ წერილებს უგზავნიდა, რომლებმაც ხელშესახები წვლილი შეიტანა სამხედრო მინისტრის დამხობაში. ეკატერინა ვიქტოროვნას სასიყვარულო თავგადასავლებიც მოჰფინა პეტროგრადს.

* * *

თავადმა რიაზანში გასახლების შემდეგაც შეინარჩუნა გავლენა. თანაც ეს გასახლება დიდხანს არ გაგრძელებულა.

რასპუტინის მოკვლის უმალ დედაქალაქში დაბრუნდა. სასახლეში თითქმის არაფერი შეცვლილიყო. თვალახვეული სამეფო კარი ვერ ხედავდა მოახლოებულ კატასტროფას და ძველი ყაიდით განაგრძობდა ცხოვრებას.

პეტროგრადში დაბრუნების შემდეგ ძველი კავშირების აღდგენა სცადა, მაგრამ მალე ამ ათას ხვრელში გამძვრალი კაცის მზე, როგორც საერთოდ იმპერიის ყველა მოღვაწისა, საბოლოოდ ჩაესვენა.

ჯერ თებერვლის რევოლუციამ დაატრიალა უკუღმა მისი ცხოვრები ჩარხი.

როცა დროებითმა მთავრობამ საგანგებო საგამოძიებო კომისია შექმნა მეფის რეჟიმის დანაშაულობათა გამოსაკვლევად, ანდრონიკოვი ერთ-ერთი პირველი დააპატიმრეს. როგორც გამომძიებელ ვ.რუდნევის 1919 წლის ვრცელი ჩანაწერებით ირკვევა, 1917 წელს ანდრონიკოვის ბინის ჩხრეკას ორი დღე შეალიეს და მისგან ამოღებული უზომო რაოდენობის ათასგვარი საქმიანი ქაღალდი ორი ავტომანქანით გადაიტანეს საგანგებო კომისიის რეზიდენციაში – ზამთრის სასახლეში. მათგან ზოგიერთი ზესაიდუმლო იყო. მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრ ა.მაკაროვის ხელით ჩასწორებული ორი მოხსენებითი ბარათი, რომელთა დეპარტამენტიდან გატანა არამც და არამც არ შეიძლებოდა. ა.მაკაროვმა დაკითხვისას ვერაფრით განმარტა, როგორ შეიძლებოდა იგი ანდრონიკოვის ხელში მოხვედრილიყო და თავის მემკვიდრეს ვ.კოკოვცევს გადააბრალა, მაგრამ დაკითხულის ორჭოფული პასუხები ისედაც ააშკარავებს, რომ თვითონ ამარაგებდა თავადს უაღრესად საიდუმლო ცნობებით.

საგანგებო კომისიამ უამრავი ხალხი დაჰკითხა. ამ დაკითხვების სტენოგრაფიული ანგარიში 1924-1927 წლებში 7 ტომად გამოიცა ლენინგრადში. ანდრონიკოვის გვარი თითქმის ყოველი პირის დაკითხვისას ფიგურირებს. მათში გამოკვეთილია მეღროვე კაცი, რომელიც უშუალოდ ერეოდა სახელმწიფო საქმეებში, მინისტრების დანიშვნა-გადაყენებაში და დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელი რუსეთის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მაგრამ ვერავითარი კონკრეტული ბრალდება ვერ წაუყენეს.

ოქტომბრის გადატრიალებამ საბოლოოდ მოუთავა ხელი.

ოღონდ...

აქ ისეთ პარადოქსთან გვაქვს საქმე, რომ მხოლოდ ხელებს გაშლი გაოცებისაგან.

ეს პარადოქსი ერთადერთს – მიხეილ ანდრონიკოვს შეეძლო შეეთავაზებინა ისტორიისათვის.

* * *

წიგნში „ვ.ი.ლენინი და სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია, დოკუმენტთა კრებული, 1917-1922“ ამოიკითხავთ გამაოგნებელ წერილს:

**„ამხ.ზინოვიევს**

**გთხოვთ, დანიშნოთ მხოლოდ პარტიული, გამოცდილი, აბსოლუტურად სანდო და მიუკერძოებელი ამხანაგები**

**1. ისააკ იაკოვის ძე შიმანოვსკის, პეტროგრადის საგანგებო კომისიის მდივნის (პატიოსანია თუ არა, შემოწმდეს, ხომ არ იყო ქურდობის შემთხვევები),**

**2. ყოფილი თავადის ანდრონიკოვის (რასპუტინის, დუბროვინის და ა.შ. მეგობარი), რომელიც კრონშტადტის საგანგებო კომისიაში მსახურობდა,**

**ქცევისა და შემთხვევათა შესახებ მონაცემების გამოსაკვლევად.**

**სახ.კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ.ულიანოვ-ლენინი. 1919 წ. 10.VII“.**

როგორ, რანაირად დაუკავშირდა თავადი მიხეილ ანდრონიკოვი ჩეკას, რა მანქანებით, ვისი რეკომენდაციით მოხვდა იქ სამუშაოდ, შეგვიძლია მხოლოდ ვიმარჩიელოთ (თუმცა ერთგან პირდაპირი მითითებაც გვაქვს, ლენინისა და ძერჟინსკის რეკომენდაციითო. ამაზე ქვემოთ).

იგი, როგორც ვთქვი, დროებითი მთავრობის საგანგებო საგამოძიებო კომისიას დაპატიმრებული ჰყავდა და ინტენსიურადაც დაჰკითხავდა, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ ციხის კარი გაუღო. იქნებ ეს შემთხვევით არ მომხდარა.

საერთოდ, ოქტომბრის გადატრიალებამ ბევრი პატიმარი გამოყარა გარეთ. ისინი ძირითადად მაინც პოლიტიკურები იყვნენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მათ „ჭრელი“ ხალხიც ბლომად გაჰყვა. ოღონდ, მთელ დედაქალაქში ფართოდ ცნობილი თავადი ანდრონიკოვი ის პიროვნება არ იყო, ბოლშევიკებს ასე ხელაღებით გაენთავისუფლებინათ. ისინი – ავანტიურისტები, „ექსპროპრიაციებსა“ და პოლიტიკურ ტერორიზმში გამოქექილი ექსტრემისტები, ხელისუფლებაში მოსვლის უმალ, ბუნებრივია, საჭირო ადამიანების შემოკრებას შეეცადნენ. მ.ანდრონიკოვი კი უდავოდ საჭირო უნდა ყოფილიყო მათთვის. მან ბევრი რამ იცოდა, ბევრ ვინმეს იცნობდა რუსეთშიც და მის საზღვრებს გარეთაც, განსაკუთრებით – გერმანიაში. იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ლენინი და მისი ხელისუფლება სათავეში გერმანიის ფულითა და ხელშეწყობით მოვიდნენ, ბუნებრივი იქნება ვივარაუდოთ, რომ მათ ბერლინიდანაც კი უკარნახეს ამ კაცის ხელშეუხებლობა და გამოყენება.

ეს ოდენ ვარაუდია, ოღონდ, როგორც მეჩვენება, ლოგიკაზე დამყარებული ვარაუდი.

ასე თუ ისე, მიხეილ ანდრონიკოვი, ქართველ თავადთა და გერმანელ ბარონთა შთამომავალი, რუსეთის იმპერიის უმაღლეს წრეებში გაშინაურებული, არისტოკრატი კაცი, ბოლშევიკების სამსახურში ჩადგა, თან მის ყველაზე ბინძურ უბანზე – საგანგებო კომისიაში. ოღონდ, ეს კია: კრონშტადტის „სასაზღვრო უბანი“, ჩანს, განსაკუთრებულ ქვედანაყოფად ითვლებოდა – ბრესტის ზავის (1918 წ. 3 მარტი), შემდეგ აქედან საზღვარგარეთ უძვირფასესი ტვირთები იგზავნებოდა.

იგორ ბუნიჩი 1994 წელს გამოცემულ თავის წიგნში „სატანის პოლიგონი“ წერს: **„თავადი-ჩეკისტი ანდრონიკოვი, რომელიც კრონშტადტის საგანგებო კომისიაში ლენინისა და ძერჟინსკის რეკომენდაციით დაინიშნა, „არქიმნიშვნელოვან“ და „კონსპირაციულ“ დავალებებს ასრულებდა, როგორც გადატრიალებამდე, ისე მის შემდეგაც... პეტროგრადში ქურდობდნენ, „ტვირთებს“ აგზავნიდნენ სადღაც მარცხნივ, სკანდინავიის კერძო ბანკების მეშვეობით... კორუფციამ უკვე იმდენად მოიცვა „რევოლუციის რაინდები“, რომ ისინი ხშირად ვერ სძლევდნენ ცდუნებას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პეტროგრადის ჩეკამ და მისმა რევოლუციურმა კრონშტადტის ფილიალმა, რომელსაც ჩვენთვის უკვე ნაცნობი თავადი ანდრონიკოვი ედგა სათავეში... ანდრონიკოვმა მშვენივრად იცოდა, სად რა ტვირთით მიდიოდნენ კრონშტადტის მისადგომებიდან საიდუმლო გემები გაურკვეველი დროშებით. ანდრონიკოვი კრონშტადტის გზით საზღვარგარეთ აგზავნიდა უდიდესი ღირებულების ტვირთებს, რომელთა ნაწილსაც თავად ისაკუთრებდა. გარდა ამისა, ყოფილი თავადი ანდრონიკოვი განთქმულ კრონშტადტის ციხეებში „ამუშავებდა“ მდიდარ პატიმრებს და აიძულებდა ეთქვათ თავიანთი ანგარიშების შიფრები საზღვარგარეთის ბანკებში, რომლებსაც, როგორც წესი, ითვისებდა. იგი ორჯერ გამოძვრა ურიცკისა და ბოკის საქმეებიდან. გარდა ამისა, ყველაფერი, რაც ბოლშევიკებს გაჰქონდათ ჩრდილოეთ დედაქალაქიდან, მის ხელში გადიოდა. მან ბოლშევიკური ძალაუფლების საიდუმლოებანი იმაზე მეტი იცოდა, ვიდრე ევალებოდა. ის ფრთხილი, ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი იყო“.**

ჯერ ეს ინფორმაცია გადავხარშოთ.

იგორ ბუნიჩი უაპელაციოდ აცხადებს, ანდრონიკოვი კრონშტადტის ჩეკაში ლენინისა და ძერჟინსკის რეკომენდაციით დაინიშნაო, ოღონდ ამის დასადასტურებლად არანაირი საბუთი არ მოაქვს.

თუმცა, რატომ არ შეიძლებოდა მიხეილს ასეთი უმაღლესი პროტექტორები ჰყოლოდა? მას წლების მანძილზე ჰყავდა „შეკერილი“ იმპერიის მინისტრები და სხვა უმაღლესი ხელისუფალნი და ლენინი და ძერჟინსკი ვითომ რა გაუხდებოდა! თან წელან მოხმობილ „ბერლინის ხაზსაც“ ნუ გამოვთიშავთ ვარაუდთა ნუსხიდან.

რაც შეეხება იმას, თითქოს იგი ბოლშევიკების საიდუმლო დავალებებს ოქტომბრის გადატრიალებამდეც ასრულებდა, ერთობ სადავოა, მაგრამ არა პრინციპულად შეუძლებელი და მოულოდნელი. თუ ეს მართლაც ასე იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ანდრონიკოვი ბოლშევიკებმა გადაიბირეს (თუ საერთოდ შეიძლებოდა მისი გადაბირება – ეს კაცი ყოველთვის თავისი ინტერესების სასიკეთოდ მოქმედებდა და ეშმაკსაც გააცურებდა) რიაზანის გადასახლებაში – რომანოვებზე აღრენილი, ან „რევოლუციიდან რევოლუციამდე“ – მარტიდან ოქტომბრამდე ციხეში, დროებითი მთავრობის მიერ დაპატიმრებული.

ის კი, პეტროგრადის ჩეკა და მისი კრონშტადტის ფილიალი ყელამდე იყვნენ ჩაფლული კორუფციაში, ხალასი ჭეშმარიტება გახლდათ. ხალხური სიბრძნისა არ იყოს, კაცს ხელი თაფლის კასრში რომ აქვს ჩაყოფილი, არ შეიძლება არ გაილოკოს, ჩეკისტებიც გვარიანად „ილოკავდნენ“ თითებს. ბოლშევიკები მსოფლიო რევოლუციის გამარჯვებამდე – საერთაშორისო პროლეტარიატის ნათელი მომავლის გამოჭედვამდე – საკუთარი მომავლის გამოჭედვას შეუდგნენ და პირდაპირ ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი.



მადამ სუხომლინოვა

ამ საქმეში, როგორც ჩანს, არც ისეთი ღლავები აკლებდნენ ხელს, როგორებიც ოქტომბრის გადატრიალების სამხედრო-რევოლუციური ცენტრის წევრი, 1918 წლის მარტიდან პეტროგრადის საგანგებო კომისიის ხელმძღვანელი მოსე ურიცკი და 1918 წლის მარტიდან რსდმპ (ბ) პეტროგრადის კომიტეტის მდივანი, მოგვიანებით კი სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს-შინაგან საქმეთა სახკომისარიატის კოლეგიათა წევრი გლებ ბოკი იყვნენ, ლიფსიტა შიმანოვსკიზე რომ არაფერი ვთქვათ.

**ალეკო ასლანიშვილი**

**(დასასრული იქნება).**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 9-10.

№ 11. სამშაბათი, 19 ივნისი, 2007 წელი.

● გარევაჭრობა ნებადართული იქნება თბილისის მთელ ტერიტორიაზე – ქალაქის მოედნებზე, ტროტუარებზე, ქუჩებში და დასასვენებელ ადგილებში, რომლებიც იჯარით გაიცემა



◎ ფსიქოლოგიური ტერორი თუ?...

# აკი, ნებადართულიაო?!

## თუ გარევაჭრობა კვლავ დაუშვეს, ჯიხურების აღება მაინც რად გრძელდება?

*„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ისე გამოუვიდა ჩვენს ხელისუფლებას, როცა წინა დღეს გარევაჭრობა ნებადართულად გამოაცხადა, მეორე დღეს კი ჯიხურების დემონტაჟი განაგრძო. ხალხი დაიბნა, არ იცის, ერთი მხრივ, პრეზიდენტის სიტყვას ენდოს, რომელმაც ბიუჯეტის შევსების თუ სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვის მიზნით ამის ნებართვა გასცა, თუ, მეორე მხრივ, ქალაქის მერიას, რომლის ორი უწყებიდან ერთი ჯიხურების დემონტაჟით არის დაკავებული, მეორე კი გარევაჭრობის შესახებ კანონის დახვეწით. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელი ჩვენთან საუბარში მსგავს ფაქტს გამორიცხავს და ამბობს, რომ ჯიხურების აღების პროცესი ჯერ შეჩერებულია, რადგან სატენდერო ადგილებში შეიძლება „ჯიხურაყრილი“ ტერიტორიაც მოყვეს და ხალხმა იქ გარევაჭრობა კვლავ დაიწყოსო.*

*რა არის ეს, ფსიქოლოგიური ტერორი სოციალურად დაუცველი ფენების მიმართ, თუ განუკითხაობის კიდევ ერთი გამოვლენა?*

*ასე არ შეიძლება!*

*ჯერ იყო და, მოვაჭრეებს სხვაგან დასაქმების დაპირებით შარშან გარევაჭრობა აეკრძალათ, თუმცა მათთვის სამსახურების ძებნით თავი არავის შეუწუხებია. ახლა კი, ამ საქმიანობის კანონიერად გამოცხადების შემდეგ, ხალხს სავაჭრო ადგილებიდან ყრიან, იმ ფართობს ატოვებინებენ, რომლებიც, მათი განმარტებით, კანონიერად აქვთ შეძენილი.*

*რატომ შეიქმნა ასეთი ქაოსი, საით არის ამ „გაუგებრობის“ სადავეები მიმართული, ვის წისქვილზე მიუშვებს წყალს საბოლოოდ მომზადებული კანონი და იქნება თუ არა მასში მოვაჭრეთა ინტერესები რეალურად დაცული? ამის გასარკვევად მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსს ზვიად არჩუაძეს გავესაუბრე.*

– მას შემდეგ რაც ცვლილებები შევიდა ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ კანონში, გარევაჭრობის ნებართვა გაუქმდა. შესაბამისად გაუქმდა მოსაკრებლებიც. ეს სფერო კი მოუწესრიგებელი დარჩა, არანაირი კომპეტენცია ადგილობრივ ხელისუფლებას არ ჰქონდა. არჩევნების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონში შესული ცვლილებებით იგი კვლავ ხელისუფლების კომპეტენციაში მოექცა, ამიტომ ახლა ვცდილობთ შესაბამისი ნორმატივებით ამ სფეროს მოწესრიგებას.

გარევაჭრობა ნებადართული იქნება თბილისის მთელ ტერიტორიაზე – ქალაქის მოედნებზე, ტროტუარებზე, ქუჩებში და დასასვენებელ ადგილებში, რომლებიც იჯარით გაიცემა. დადგენილი იქნება გასაყიდი პროდუქციის ნუსხაც, გაიყიდება ყველაფერი, რაც სანიტარიულად ნებადართული იქნება.

**– გარევაჭრობა ნებადართულად გამოცხადდა, თუმცა ჯიხურების აღება და დემონტაჟი მაინც გრძელდება...**

– არა მგონია, ახლა ვინმე ჯიხურებს იღებდეს. კანონის მიღების შემდეგ, იმ ტერიტორიაზე, რომელზეც გარევაჭრობა ნებადართული იქნება, ჯიხურებიც დარჩება, დანარჩენ ადგილებში კი აიღება. მხოლოდ იმ სავაჭრო ობიექტის დემონტაჟი მოხდება, რომელიც ქალაქს ფუნქციონირებაში ხელს უშლის.

**– არის თუ არა უკვე დადგენილი სავაჭრო ადგილები?**

– გარკვეული მონახაზები არის, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მთავრობამ უნდა მიიღოს. ასეთი ადგილები იქნება როგორც თბილისის ცენტრალურ უბნებში, ასევე გარეუბნებშიც და მათზე აუცილებლად ტენდერი გამოცხადდება, გაიმარჯვებს ის, ვინც მეტს გადაიხდის.

**– გამოდის, რომ ძვირად აღებულ მიწას მეიჯარე გარემოვაჭრეებზეც ძვირადვე გასცემს.**

– კანონში მაქსიმალურად იქნება ხალხის ინტერესები დაცული, არა მგონია ისეთი გადასახადები იყოს, რის გადახდასაც ვერ შეძლებენ.

**– თქვენი საუბრიდან თუ ვიმსჯელებთ, სავაჭრო მიწის იჯარით აღება მხოლოდ იმას შეეძლება, ვისაც ბევრი ფული აქვს, დავუშვათ, ერთეულ მოვაჭრეს თავისი ჯიხურისთვის პატარა ფართი სჭირდება, თუნდაც სადმე გარეუბანში, თავის კორპუსთან ახლოს?**

– მერწმუნეთ, კანონში ყველანაირი პირობა იქნება ასეთი პიროვნებების სასარგებლოდ ჩადებული, გავითვალისწინებთ უამრავ საკითხს თუ პირობას.

მინდა აღვნიშნო, რომ, თუ პიროვნებას ჯიხური საკუთარ ტერიტორიაზე უდგას, მას ფულის გადახდას ვერავინ მოსთხოვს. გადასახადი მხოლოდ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდგარ სავაჭრო წერტილებს, ანუ გარემოვაჭრეებს შეეხება.

ჩვენ რაც უნდა პატარა ლოტებად დავყოთ ქალაქი და ტენდერი ცალ-ცალკე გამოვაცხადოთ, შესაძლოა ყველგან ერთი და იმავე ადამიანმა გაიმარჯვოს, ანუ მოიგოს მთელი ქალაქი, ეს თეორიულად შესაძლებელია. თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ სხვანაირად ვცდილობთ...

ვფიქრობთ, თვის ბოლოსთვის ყველაფერი გადაწყდება და ხალხს უკვე ეცოდინება, რის გაკეთებას ვაპირებთ.



**ამ დროს, ალბათ, თბილისის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სულმოუთქმელად დაელოდება, რადგან უმუშევარია და ოჯახის შენახვას და თავის გატანას დღეს ვაჭრობით ცდილობს.**

**ამიტომ ხელისუფლებას კანონის დახვეწის და რაიმე გადაწყვეტილების მიღებისას სერიოზული დაფიქრება მართებს...**

**იცოდეთ, ხალხს შია!**

**ლელა მანაველიშვილი**

◎ გლობუსი

# მსოფლიო ლიდერის

*გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ ცოტა რამ თუ იცოდა მსოფლიო კაპიტალიზმის ლიდერის და სოციალისტური ბანაკის დაუძინებელი მტრის, აშშ-ის ნამდვილი სახის შესახებ, მიუხედავად საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის გამუდმებული ანტიამერიკული განცხადებებისა, მაინც გარკვეული ფარული სიმპათიით იყო განმსჭვალული შორეული ქვეყნის მიმართ. ხრუშჩოვის დროს, მსოფლიოს ერთი მეექვსედისათვის რკინის ფარდის ჩამოხსნამ და საბჭოთა კავშირში ამერიკელ ტურისტთა მოზღვავებამ, რიგით საბჭოელში, ამერიკელთა მიმართ, ცივი ომის დროს შექმნილი პროპაგანდისტული სტერეოტიპები ეჭვქვეშ დააყენა. იმ პერიოდში საქართველოსაც უამრავი ამერიკული ტურისტული ჯგუფი სტუმრობდა. განსაკუთრებით მრავლად იყვნენ ფერმერები და ახალგაზრდული ჯგუფები. სამსახურიდან გამომდინარე, ბევრ მათგანთან მეც მიწევდა ურთიერთობა. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მათთან შეხვედრა-საუბრები საინტერესო და სასიამოვნოც იყო. მოკრძალებულნი, მუდამ მომღიმარნი, საქართველოს ისტორიით და კულტურის ძეგლებით, საბჭოთა მიღწევებით მოხიბლულნი, შემორჩა ჩემს მეხსიერებას იმდროინდელი, ჩვეულებრივი ამერიკელი. დრო მიდიოდა, იცვლებოდა ჩემი სამუშაო ადგილები, თუმცა საქმიანობიდან გამომდინარე, უცხოელებთან, განსაკუთრებით, ამერიკელებთან ურთიერთობა გრძელდებოდა.*

ბრეჟნევის უძრაობის პერიოდში ოკეანისგადაღმელებთან კავშირები საგრძნობლად დინამიური და საქმიანი გახდა. შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებების გაფორმებასთან ერთად იზრდებოდა საბჭოთა მოქალაქეთა ცოდნა ამერიკის შესახებ. საბჭოთა, მათ შორის, ქართული საზოგადოებისთვის, მართლაცდა საინტერესო და პრესტიჟულიც გახდა ჰემინგუეის, ფოლკნერის, სტეინბეკის, საროიანის და სხვა ცნობილი ამერიკელი მწერლების შემოქმედების გაცნობა. საბჭოთა მაღაზიებში გაჩნდა ამერიკული კაპიტალიზმის სიმბოლო, კოკა-კოლა. საბჭოთა პროპაგანდას რა ვუთხარი, თორემ რა იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელი იყო ქიმიური სასმელი წყალი. საბჭოეთის მიერ ყოველივე ამერიკულის პოლიტიკურად სარჩულდადებულმა კრიტიკამ, ისეთ საკითხებშიც კი, როგორიც თეთრკანიანთა მიერ შავკანიანთა დისკრიმინაცია იყო, უნდობლობა გააჩინა კრიტიკოსთა მიმართ. ეს დღეს არის სიტყვა „ზანგის“ ხსენება შეურაცხმყოფელი და მის ნაცვლად „აფრო-ამერიკელი“ იხმარება, თორემ 70-იანი წლების ამერიკაში, შავკანიანთა დისკრიმინაციის საკითხი, სერიოზულად არსებობდა. აღნიშნულის შესახებ ხაზგასმით არის აღწერილი აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის წიგნში. ფერადკანიანი პაუელი გულისტკივილით იხსენებს არცთუ შორეულ წლებს. ცუდმა საბჭოურმა პროპაგანდამ დათვური სამსახური გაუწია საბჭოელებს და საბოლოოდ დაარწმუნა ისინი ამერიკელთა უპირატესობაში. საბჭოთა პროპაგანდისტული მანქანის გაუმართავმა მოქმედებამ საგრძნობი წვლილი შეიტანა საბჭოთა იმპერიის დაშლაში.



მსოფლიო ბალანსი მკვეთრად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მარტოდ დარჩენილმა აშშ-მა ყველაფერი გააკეთა ერთპიროვნული ლიდერობის გაფართოება-განმტკიცებისათვის. სოციალისტური ბანაკის შემაკავებელი ფაქტორების გაქრობის შემდეგ, ზესახელმწიფომ, მოჩვენებითი ამერიკული ღიმილი ჩამოიხსნა სახიდან და უკონკურენტოდ დარჩენილმა, სულ სხვაგვარად წარუდგინა საკუთარი თავი მსოფლიოს. როგორც დასავლეთის, ისე რუსეთის პოლიტიკურ-პოლიტოლოგიურ წრეებში სისტემატურად გაისმის ამერიკელთა შესამკობი ტერმინი – „მსოფლიოს ჟანდარმი“. მიუხედავად „სასიყვარულო სახელისა“, ერთპოლუსიანი მსოფლიოს ბატონ-პატრონი, ყოველგვარი დაფიქრების ან ანგარიშის გაწევის გარეშე, წამდაუწუმ ამართლებს შერქმეულ სახელს. თუ უახლესი ისტორიის განვლილ წლებს გავიხსენებთ, დასასჯელად კვერთხმოლერებულ ვაშინგტონის არც ერთ ადმინისტრაციას, ვიეტნამის ომის დამთავრებიდან მოყოლებული, წელი არ ჩაუგდია სადამსჯელო ოპერაციების განხორციელებისათვის მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. მარტო ყოფილი იუგოსლავია, ნიკარაგუა, პანამა, ჩილე, ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ან დღევანდელი ავღანეთი და ერაყი რად ღირს. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმატებით თუ წარუმატებლად მოწყობილ სახელმწიფო გადატრიალებებში, ვაშინგტონმა მათ ფერადი, დემოკრატიული რევოლუციები შეარქვა, აშკარად ტრიალებდა ამერიკელთა ხელი და ფინანსები.

დღეს, უკვე სხვა ლოზუნგებით, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ბრძოლა ჰქვია, მიმდინარეობს ამერიკელთა ექსპანსიონისტური პოლიტიკის განმტკიცებისათვის პოლიტიკური ბრძოლებიც და ნამდვილი ომებიც. ვაშინგტონს თუ თვალში არ მოუვიდა რომელიმე ქვეყნის ლიდერი ან რომელიმე ქვეყანაში მიმდინარე პროცესი, ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით, არ დააყოვნებს და მთელი სიძლიერით მოიქნევს ბომბებით დახუნძლულ სადამსჯელო კვერთხს. ამის დასტურად სომალის დაბომბვაც კმარა. ამ ქვეყანაში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად, სამხრეთში გახიზნულ მუსლიმან სეპარატისტებს, ღვთის რისხვასავით დაატყდა ამერიკული თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ბომბები. ამერიკელთა განმარტება, ვითომდა ალ-ქაიდას ტერორისტთა გასანადგურებელი საჰაერო თავდასხმების შესახებ, წარმატებული არ გამოდგა. ტერორისტები გადარჩნენ. დაიხოცა უდანაშაულო მოსახლეობა. და ისევ, მერამდენედ, საერთაშორისო ორგანიზაციების იგნორირება, რაც თავისთავად მეტყველებს ერთპოლუსიანი მსოფლიოს უნიათობაზე. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა დაემართება ნებისმიერ ქვეყანას, თუკი თეთრი სახლიდან მას ალმაცერად შეხედავენ?

დემოკრატიისათვის და ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ მომართული აშშ, მიუხედავად განცდილი სამხედრო მარცხისა, დაბეჯითებით და ჯიუტად აგრძელებს ომს ერაყსა და ავღანეთში. შესაშფოთებლად, უკვე სერიოზულად გაისმის მისი სიტყვები საომარი მოქმედების დაწყების თაობაზე ირანსა და სირიაში. პრეზიდენტ ბუშს, რომელიც არც მაღალი ინტელექტით ან დიპლომატიური ალღოთი არ გამოირჩევა წინა პრეზიდენტებისაგან, საკუთარი პოლიტიკის მსოფლიოსათვის ძალით თავსმოსახვევად, გადაწყვეტილი აქვს ერაყში ომის გაგრძელება და ამისთვის 22.000-იანი სამხედრო დამხმარე ძალის გაგზავნა ფრონტის ხაზზე. საკუთარი გულისნადები პრეზიდენტმა გასულ კვირას „ახარა“ ამერიკელებსა და მსოფლიოს. გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებდა ყოფილი სახელმწიფო მდივნის ბეიკერის და მისი კომისიის დასკვნები ერაყის ომთან დაკავშირებით. პრეზიდენტმა მოისმინა კომისიის მოხსენება, რომელშიც ხაზგასმულადაა აღნიშნული ერაყის ომის დამღუპველი შედეგების თაობაზე, მაგრამ ადრე არჩეული ომის გზა გააგრძელა. ცინიზმის კლასიკური მაგალითია პრეზიდენტის სიტყვები, რომ ამერიკელი ჯარისკაცები ეხმარებიან ერაყელებს დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებაში. ყველასათვის ცნობილია, თუ რამდენი ასეულ ათასობით ერაყელი აღმოჩნდა ამ დახმარებით საიქიოში. ტელეკომპანია CNN-ის კორესპონდენტის შეკითხვაზე, კარგია თუ არა ამერიკელთა ყოფნა ერაყში, თითქმის ყველა გამოკითხულმა ახალ-

№ 11. პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

საკითხავია, დევნილი, რომელმაც აქ ცხოვრება დიდი წვალებით, ასე თუ ისე, რაღაცნაირად მოიწყო, შეიძლება მდიდრად ჩაითვალოს და მის სულიერ თუ ეკონომიკურ პრობლემებზე სახელმწიფომ აღარ იზრუნოს?



მოულოდნელი რაკურსით

## რით იმგზავრონ უშეღავათოდ დარჩენილმა დევნილებმა?

**ბოლო სამი დღეა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მძღოლებსა და მგზავრებს შორის შელაპარაკება არ წყდება. მძღოლები მგზავრობის საფასურის გადახდას, თხოვენ იმ პირებსაც, რომელთაც აქამდე ქალაქის მასშტაბით უფასოდ გადაადგილების უფლება ჰქონდათ. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან ომის ვეტერანები, მათთან გათანაბრებული პირები, დევნილები, პენსიონერები, ინვალიდები და ა.შ.**

მართალია, ტელევიზიით გაავრცელეს ინფორმაცია ამ სიახლის შესახებ, მაგრამ საზოგადოებაში მაინც დიდი გაურკვევლობაა, რადგან ზუსტად არავინ იცის, შემდგომში ვის, რა კატეგორიის ადამიანებს მიაკუთვნებენ შეღავათებს, ან გაიცემა თუ არა იმ დევნილებზე მეტროს ტალონები, რომლებსაც აქამდეც უწევდნენ შეღავათებს.

— რაც მართალია, მართალია, მეტროთი უფასოდ მგზავრობის ტალონი ჩვენთვის დიდი შეღავათი იყო, — მეუბნება სოხუმიდან დევნილი ნარგიზა ცეკვავა. შვილები სტუდენტები მყავანან და სასწავლებლამდე სწორედ მეტროთი მგზავრობდნენ, თანაც, ამ ორი წლის წინათ გაცემული ტალონი დღემდე მოქმედებდა, ახლა რა მეშველება, არ ვიცი. ჩემი მეზობელი გუშინ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში იყო ამ საკითხის გასარკვევად, მაგრამ იქ უთხრეს, ეს საკითხი ჩვენ არ გვეხებაო. მაშ ვის ეხება? აქამდე ხომ ჩვენ, დევნილებს, სწორედ ეს სამინისტრო გვაძლევდა ყველანაირ შეღავათს? ძალიან გთხოვთ, ჩემი შეკითხვა უპასუხოდ არ დატოვოთ, რადგან თითოეულ დევნილს ძალიან გვაინტერესებს.

ამ პრობლემის გასარკვევად დავუკავშირდი **საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს მაია რაზმაძეს.** მან გვიპასუხა:

— ჩვენს სამინისტროს არასდროს ჰქონია გამოყოფილი თანხა ასეთი შეღავათებისათვის. ადრე ამ ხარჯებს ტრანსპორტის სამინისტრო ფარავდა, შემდეგ კი — დედაქალაქის მერიის შესაბამისი სამსახური. ახლა კი ეს საკითხი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური პროგრამების ფონდში წყდება. ამდენად, ჩვენ არ ვიცით, ისინი ვის მიაკუთვნებენ პრიორიტეტს.

**ჯანდაცვის სამინისტროსაც დავუკავშირდი, მაგრამ იქ გვითხრეს, რომ ამაზე ქალაქის მერიას უნდა მივაკითხოთ, რადგანაც აქ ამ საკითხებს არ წყვეტენო.**

**ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მამუკა ქაცარავას განმარტებით კი:**

— მეტროს მომსახურების 50-პროცენტიანი შეღავათი ჩადებულია იმ სამომსახურეო პაკეტში, რომელიც განკუთვნილია სოციალურად დაუცველ და სიღარიბის პროგრამაში მონაწილე 70.000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ მქონე პირთათვის და ეს უკვე შეთანხმებულია მეტროპოლიტენის ხელმძღვანელობასთან. ამ პირთა შორის 20.000 დევნილია.

**— მაგრამ ჩვენს რედაქციაში მოდიან დევნილები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ამ ფაქტით და აცხადებენ, რომ ნამდვილად საჭიროებენ დახმარებას. თუმცა, არ მიუმართავთ პროგრამისათვის, რადგანაც მიაჩნიათ, რომ მათი სტატუსით ისედაც ყველაფერი ნათელია — როგორ შეიძლება სახლკარდაკარგული, სულიერად და მატერიალურად განადგურებული ადამიანი არ ჩაითვალოს დაუცველად და ღარიბად? — ამაზე რას გვეტყოდით?**

— როგორც გითხარით, ყველა დევნილი, რომელიც თბილისშია რეგისტრირებული, მონაწილეობს სიღარიბის პროგრამაში და აქვს სარეიტინგო 70 000 ქულაზე ნაკლები, ამჟამად უკვე იღებს პლასტიკურ ბარათებს.

იმ დევნილებმა კი, რომლებიც თვლიან, რომ იმყოფებიან სიღარიბის ზღვარს მიღმა, ორი თვის განმავლობაში უნდა მიაკითხონ ხსენებულ სოციალურ პროგრამას, უნდა დარეგისტრირდნენ იმ რაიონის შესაბამის სამსახურში, სადაც თვითონ ცხოვრობს. ვისაც დაუდასტურდება სიღარიბე, აუცილებლად მიეცემა ეს ტალონი, რომელიც ითვალისწინებს საარსებო შეღავათებს. მათ შორის უფასო განათლებას, გაზის, სატელეფონო გადასახადებში შეღავათს, ასევე მეტროპოლიტენითა და სხვა მუნიციპალური ტრანსპორტით შეღავათიან მგზავრობას, — გვითხრა ბატონმა მამუკამ.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ... გუშინაც, როცა სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი, ავტობუსში ისევ ამ საკითხზე კამათობდნენ. ძალზე შეწუხებული ჩანდა ახალგაზრდა ბავშვიანი ქალი, რომელიც ხნიერ ქალბატონს უმტკიცებდა:

— ქმარი ხუთი წლის წინათ გარდამეცვალა და ბავშვს მცირეხელფასით მარტო ვზრდი. სოციალურ პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, მოვიდნენ, შემამოწმეს, მაგრამ...სარეიტინგო ქულა ვერ ავიღე — არ ვიცი, რა ნახეს ჩემს უბადრუკ სახლში სიმდიდრის...ზოგი ისეთი ოჯახი იღებს შეღავათებს, რომ სიღარიბე რა არის, არც იციან. ჩემი მოხუცი მშობლები, ისედაც გაჭირვებულები, თავიანთ მცირე პენსიას მიყოფენ და მეხმარებიან. გული მეწვის, მათ რომ ვუყურებ და იქით ვერ ვეხმარები...

ქალს ვინაობა ვკითხე, თბილისელი ვარო, მითხრა, მეორე მისი მოსაუბრე, ხანშიშესული ქალბატონი კი დევნილი აღმოჩნდა. თავისი გვარი არ გამიმხილა. სამაგიეროდ, ისეთი სიტყვებით „შეამკო" ხელისუფლება... მისმა გულისმომკვლელმა აღსარებამ კი ყველანი შეგვძრა:

— სიკვდილს გამოვექეცი აფხაზეთიდან. მოხუცი მშობლები იქ დამიხვრიტეს. ცარიელი ხელებით და მტკივანი სულით ახლიდან დავიწყე ცხოვრება, ერთი ჭიქიდან და თეფშიდან; ქუჩაში ვიდექი და ვვაჭრობდი. სიიაფეში ერთი ოთახი ძლივს ვიყიდეთ ქალაქგარეთ. იმის ვალს აქამდე ვიხდი. დღემდე იატაკზე გვძინავს მე და ჩემს ქმარს. შრომა აღარ შეგვიძლია, ახლა ჩემი ვაჟი და გოგონა მუშაობენ... ამიტომ არ მომცეს შეღავათი, რატომ გვათანაბრებენ გამწარებულ, ბედკრულ ადამიანებს იმ ხალხში, ვისაც არც არაფერი დაუკარგავს, არც ჩვენოდენა ტანჯვა გამოუვლია და მარტო იმიტომ უნდა მიიღოს დახმარება, რომ თითის განძრევა არ სურს, ან „შეუფერებელ" სამუშაოს თაკილობს? ამას ჩვენ, დევნილები, ვერ მოვითმენთ. რატომ გვყოფენ კატეგორიებად? ჩემს გარშემო ვინც არიან, ლეიბორისტებს დავუდგებით გვერდით და ვიბრძოლებთ ჩვენი უფლებების დასაცავად. მაგრამ ნუთუ აქაც ბრძოლა უნდა დაგვჭირვებოდა? სირცხვილი მათ, ვინც აქაც ჩვენს დაჩაგვრას ცდილობს, — ამბობდა ქალბატონი.

მართლაც, საკითხავია, დევნილი, რომელმაც აქ ცხოვრება დიდი წვალებით, ასე თუ ისე, რაღაცნაირად მოიწყო, შეიძლება მდიდრად ჩაითვალოს და მის სულიერ თუ ეკონომიკურ პრობლემებზე სახელმწიფომ აღარ იზრუნოს? ან შეიძლება კი მოსახლეობის ეს სოციალურად დაუცველი, სრულად განსხვავებული სტატუსის მქონე ხალხი ისევ რიგებში ჩააყენო და ის ამტკიცებინო, არის თუ არა ღარიბი, აქვს თუ არა რაიმე სიმდიდრე? — როგორ შეიძლება, დევნილი იყოს მდიდარი, და თუ არიან — ესენი, ალბათ, ერთეულნი, თითზე ჩამოსათვლელნი. დევნილთა შორის მცირე ეკონომიკური სხვაობა არ იძლევა საბაბს მათ კატეგორიებად დასაყოფად...

ასე საკითხის დასმაც კი სახელმწიფოს მხრიდან ძალიან უხერხულია.

**ლია ჭილლაძე**

გლობუსი

## სავალალო გადაწყვეტილება

გაზრდამ, მათ შორის ბავშვმა, განაცხადა, რომ ამერიკას ერაყისთვის ცუდის მეტი არაფერი მოუტანია. მათ ისიც განაცხადეს, რომ ამერიკელებმა ერაყი უნდა დასტოვონ და მისცენ ერაყელებს საკუთარი ქვეყნის აშენების საშუალება. მხოლოდ ერაყის „დემოკრატიულად არჩეულ" მარიონეტულ ხელისუფლებას სჭირდება ამერიკელი ჯარისკაცები საკუთარი ტყავის გადარჩენისა და ფულის კეთებისათვის.

ამერიკელთა დიდი ნაწილი წინააღმდეგია ომის გაგრძელების და კატეგორიულად მოითხოვს ერაყიდან ჯარის გამოყვანას. ამას წინათ „ასოშიეიტედ პრესის" მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა, რომ ამერიკელთა 70 პროცენტი წინააღმდეგია ერაყის ომის. ამერიკის ახლადარჩეული კონგრესიც მოითხოვს პრეზიდენტისაგან ომის შეწყვეტას, პრეზიდენტი კი ჯიუტად ადგას მილიტარისტულ კურსს. ჩანს ამერიკას, რომელსაც თავი დემოკრატიის აკვნად მოაქვს, უჭირს არჩეული პრეზიდენტის მცდარ გადაწყვეტილებებზე სერიოზული გავლენით ზემოქმედება. გამოდის რომ, თუ პრეზიდენტმა აირჩია, მისი შემჩერებელი არავინაა. გამალებული გლობალიზაციის სტადიაზე მყოფი მსოფლიო საზოგადოებაც უფრო კატეგორიულად უნდა მოქმედებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სუპერსახელმწიფოს მეთაურის ახირება მასაც სერიოზულად დააზიანებს. მარტო რევერანსული კრიტიკა და ვიეტნამთან პარალელების გავლება, არაფრისმომტანია. წინა თაობის ამერიკელებმა გადახარშეს ვიეტნამის სინდრომი. დამარცხებაც გადახარშეს და ისიც, თუ როგორ გადაყარა ზღვაში ჩრდილო ვიეტნამის ძლევამოსილმა სატანკო არმიამ ამერიკელი სამხედროები. კუდამოძუებულმა ამერიკელებმა ძლივს გამოასწრეს სიკვდილს, ვინც ვერა, სამარადისოდ დარჩა ვიეტნამის ჯუნგლებში. მაგრამ მაშინ მსოფლიო ორპოლუსიანი იყო. არანაკლები მსხვერპლი გაიღო ამერიკამ ერაყში. ექსპერტთა მონაცემებით, ეს მსხვერპლი გაცილებით მეტია ოფიციალურ 3000-ზე.

ამერიკის ადმინისტრაციების მიდგომა, ვითომდა საკუთარი ქვეყნის დაცვისათვის, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ხანმოკლე თუ ხანგრძლივი პერიოდის ომებისადმი, სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ იყო საერთოც, მთავარი და უმთავრესიც — მსოფლიო ჰეგემონიზმი, მსოფლიო ბატონობა. ეჭვის მომგვრელია ბუშის განცხადება, რომ სომალის დაბომბვით ან ერაყის ომით მან ამერიკა გადაარჩინა. ღიმილისმომგვრელია ამერიკელთა მტკიცებაც ამ ქვეყნის სანიმუშო დემოკრატიის თაობაზე. გუანტანამოს პატრონი, დემოკრატიულობას არ უნდა იჩემებდეს. გასულ კვირას თანამედროვე მსოფლიომ გულისტკივილით აღნიშნა გუანტანამოს მე-5 წლისთავი. 5 წლის განმავლობაში, წამების პირობებში, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, ასეულობით ე.წ. ტერორისტია გამომწყვდეული ამერიკული სიმართლის „სავანეში". ამერიკისა და სხვა ქვეყნების ქუჩები და მოედნები გაავსო გუანტანამოს მოწინააღმდეგეთა დემონსტრაციებმა და მიტინგებმა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები. საქართველოში არსებულ 5.000-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციასა და 170-ზე მეტ პოლიტიკურ პარტიას არათუ სიტყვა არ დასცდენია გუანტანამოს შესახებ, არამედ არც კი გახსენებიათ მისი არსებობა. მათი ნაკლებადინფორმირებულობიდან გამომდინარე, სრული შესაძლებლობაა, რომ არცკი იცოდნენ ამ პრობლემის შესახებ. გლობალიზაციის გაფურჩქვნის ეტაპზე, საქართველო ისეთ საინფორმაციო ვაკუუმშია მოქცეული, რომ ჭურში მჯდომს გაგონებს. არადა თანამედროვე მსოფლიოს ფორმულაა — თუ შენ არ დაინტერესდები სხვათა ბედით, არც ისინი დაინტერესდებიან შენით.



ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში განსაკუთრებული „გონებაგახსნილობით" ოპოზიცია გამოირჩევა, რომელმაც, როგორც იქნა მიუგნებელს მიაგნო და ყველა პარტიის გასაერთიანებლად სრულიად ახალი პარტიის შექმნას გეგმავს. მსოფლიო პოლიტიკურ ისტორიაში ეს ქართული „აღმოჩენა" უდავოდ ოქროს ასოებით აღიბეჭდება. გამაერთიანებლის ფუნქცია საკუთარ თავზე იტვირთეს იმ პოლიტიკურმა „სახეებმა", რომელთაც ორი ახლო ნათესავის გარდა არავინ იცნობს. სახელისუფლებო და ოპოზიციური ძალების უპირველესი ვალია დიდი პატრონის სამსახური, შემდეგ საკუთარი თავის, შემდეგ საკუთარი ოჯახის და ნათესავების, შემდეგ ახლობლების, შემდეგ ვინ იცის კიდევ რის. ამ ჩამონათვალში საკუთარი ქვეყანა ან გამორჩენილია ან ბოლოშია, ასეთ ვითარებაში რა მოსატანია გუანტანამო, ადამიანის უფლებები, ომები ლიბანში, ერაყში ან ავღანეთში. ჩვენთვის მთავარია „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირის" პრინციპით ცხოვრება.

გუანტანამოს მე-5 წლისთავთან დაკავშირებულ 600-გვერდიან მოხსენებაში „ჰუმან რაითს ვოჩმა" ადამიანის უფლებების დარღვევისათვის საქართველოც გაამათრახა. ამ სავალალო მონაცემების პატრონ ხელისუფლების მაღალჩინოსან ქალბატონს, თავში არ უნდა მოსდიოდეს ზღაპრისმაგვარი ლაპარაკი, რომ საქართველო მალე ევროპის მსგავსი დამშვიდებული და წარმატებული ქვეყანა იქნება, სადაც ცხოვრება მოსაბეზრებელიც გახდება. თქვენს პირს შაქარი, მაგრამ რა სერიოზულ ეკონომიკურ მონაცემებს ეყრდნობა ესოდენი ხმამაღალი განცხადება? ქვეყანაში, სადაც ლუდის, ლიმონათის და ქიმიური კოკა-კოლის მეტი არაფერი მზადდება, სადაც საავადმყოფოების შენობების, კომუნისტების აშენებული რიკოთის გვირაბისა და ქალაქებში ავტოსადგომთა პრივატიზაციით სურს ხელისუფლებას ბიუჯეტის შევსება, საუკუნის შემდეგაც ვერ იქნება დამშვიდებული ცხოვრება. სხვაგვარია სტატისტიკაც. ერთსულ მოსახლეზე ეროვნული პროდუქტის წარმოებით საქართველომ 1990 წლის დონეს — 46 პროცენტს მიაღწია, აზერბაიჯანმა — 79,6 პროცენტს, სომხეთმა — 96 პროცენტს. ეს მონაცემები აზერბაიჯანელ პროფესორ ნაზიმ მუზაფარლის ეკუთვნის და 2 წლის წინანდელია. ვეჭვობ, რომ დღეს ამაზე უკეთესი მდგომარეობა იყოს.

კვერთხმომარჯვებულ ქვეყანასთან ჩახუტება კარგის მომასწავებლად ნამდვილად ვერ ჩაითვლება. დიდი და ძლიერი, რომ თავის სასარგებლოდ ჭრის და კერავს, ეს ისტორიული ჭეშმარიტება მაინც უნდა ახსოვდეთ ქართველებს. მონღოლთა გადავლის შემდეგ საქართველო ვერ გამოვიდა ძლიერის ზედამხედველობითი სინდრომისაგან. ხან აღმოსავლეთში, ხან სამხრეთში, ჩრდილოეთსა და ამჯერად დასავლეთში ეძებდა და ეძებს პატრონს. პატრონი კი სიდიდიდან გამომდინარე, ან არ ან ვერ ერკვევა ჩვენს წინაშე არსებულ პრობლემებში, ან უფრო სწორედ, არც აპირებს ამით თავის შეწუხებას, თუ შენ არ იწუხებ, მან რატომ უნდა შეიწუხოს?

აშშ უძლიერესი და უპირველესი ქვეყანა რომ არის, ამას მტკიცება არ სჭირდება. ის მსოფლიო მეცნიერების, ეკონომიკის, ხელოვნების ლოკომოტივია. მსოფლიო სამეცნიერო წრეები დიდი ხანია შეეგუა იმ აზრს, რომ მხოლოდ ამერიკელი უნ და იყოს მედიცინაში, ფიზიოლოგიაში, ფიზიკასა და ქიმიაში ლიდერი, მაგრამ გასულმა წელმა მოლოდინს გადააჭარბა, ყველა ნობელის პრემია ამერიკელებმა წაიღეს. რუსეთს, ჩინეთს, გაერთიანებულ ევროპას მინიმუმ 15-20 წელი მაინც დასჭირდებათ ამ ქვეყნის დასაწევად, მაგრამ განვითარებული მოვლენები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ ამერიკის მთავარი მოწინააღმდეგე ამერიკა გაცილებით ადრე წააქცევს ამერიკას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

№ 11. პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.

**ტელეეკრანებიდან ხშირად ვისმენთ მიქელანჯელოს, თომას მანის თუ ოსკარ უაილდის დამამცირებელ თუ დამამცრობელ ეპითეტებს, ნამდვილ თუ შეთხზულ უსიამოვნო ისტორიებს. თითქოს, სწორედ მანკიერება და არა გენიალობა იყოს, ამ შემთხვევაში, მთავარი...**





ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №86

# ნიჭიერება — ჯილდო თუ სამუდამო განსაცდელი?

*იგი, კარლ ფარინელი, რაინდის ტანსაცმელში დაკრძალეს, 1782 წელს, ბოლონიაში... და ეს იყო, თავისი მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე გრანდიოზული პროცესია. მას, XVIII საუკუნის იტალიელ მომღერალს, მთელი ევროპა ეთხოვებოდა და ისეთივე ოვაციებით აცილებდა, როგორც რომის, ვენეციის, ნეაპოლის, მილანის, ლონდონის თუ პარიზის დიდი სცენებიდან... და მაინც, ფარინელის სახელს დიდხანს თან ახლდა რაღაც უხერხული თემა თუ საიდუმლო, იმგვარი, რაზეც დელიკატურობის გამო არ საუბრობენ. სინამდვილის ფასადს ავსებდა აუხსნელი გენიალობა, როგორც უმძიმესი, პირადული განსაცდელის შედეგიც, სამუდამო დამღაც და უპირობო აღიარებაც...*

*დღეს კი, 2007 წლისთვის, პარიზის და ბოლონიის უნივერსიტეტების სწავლულებმა ხელოვანის სამარიდან ამოღება და გვამის ექსგუმაცია გადაწყვიტეს. რას ეძებს თანამედროვეობა საუკუნეების წიაღში. რა დოზით არსებობს, ანუ რას ნიშნავს მეცნიერული სიზუსტე გენიალობასთან მიმართებაში... ნუთუ, „საიდუმლოს საფლავში ჩატანა“ ოდენ სიტყვათა თამაშია?.. თურმე საფლავს საუკუნეების მერეც გაგითხრიან, სათითაოდ დაითვლიან და დაათვალიერებენ შენს ძვლებს, თუკი ეს ცივილიზაციის შეუქცევად პროცესებს სჭირდება...*



ლ. ამიგანის ფერწერა, „ფარინელი მეგობრებთან“.

**თამაში დასრულდა — დიდი დისკუსია იტალიის ხელისუფალთა და სწავლულებს შორის... და მათ საკუთარი ეროვნული სიამაყე გაიმეტეს, ხელოვნის დიდი სახელიც, რისი უხერხულ „პოზებში“ ტირაჟირებაც სულ მალე დაიწყება სენსაციურ გამოცემებსა და მედიაში. „ცივილიზაციის სახელით“, „მეცნიერული ინტერესებისთვის“ ფარინელის პიროვნული ავტორიტეტი შესაძლოა შეირყეს, მაგრამ სწავლულებმა ხომ უნდა გაიგონ, ის რაც დაფარულია?..**

საოპერო ხელოვნების ისტორიაში გამოჩენილ ტენორთა სია თითქოს უფრო ვრცელია, ვიდრე ბანების... პავაროტი თუ შალიაპინი... რომელია უფრო ძნელად მისაღწევი თვისობრიობა? მოითხოვს თუ არა ეს ხელოვნებაც მსხვერპლს?

იყო დრო, და ეს მონოგრაფიებში წერილობითაცაა დადასტურებული, რომ განსაკუთრებულად ნიჭიერი ბიჭების მაღალი ხმების შენარჩუნებას სრულიად სადისტური მეთოდებით ცდილობდნენ: ამ ხმათა სისუფთავე და გამჭირვალობა თუ სამუდამოდ არა, 3-4 ათეული წლით მაინც რომ დაეტოვებინათ, **ბიჭუნების კასტრაცია ხდებოდა.** ეფექტი მიიღწეოდა ბავშვობის ხანაში, მათ სქესობრივ მომწიფებამდე, რის მერეც ხორხი ასაკობრივად აღარ ვითარდებოდა, რამეთუ სათანადო ჰორმონებს არ იღებდა. მას შემდეგაც, როცა პირის ღრუ, მკერდი თუ, საერთოდ, სხეული მამაკაცურ ფორმებს იძენდა, ხორხი ბავშვურ ელასტიურობას არ კარგავდა.

ბიჭუნების კასტრაციას ხსნიდნენ იმით, რომ მაშინდელი კათოლიკური ეკლესიების გუნდში ქალებს სიმღერა ეკრძალებოდათ. იქ არსებული რეპერტუარისთვის კი ქალის ხმა და, საერთოდ, დიდი ვოკალური დიაპაზონი აუცილებელი გახლდათ.

„საეკლესიო ბიუროკრატია“ გამუდმებით ეძებდა მშობლებს, რომლებიც თანახმა იქნებოდნენ **საკუთარი შვილების სქესი ე. წ. „რელიგიური იდეალებისთვის“ შეეწირათ...** მე-19 საუკუნის ბოლოს, რომის პაპის გუნდში, **სიქსტის კაპელაში მღეროდა 24 ნორმალური მამაკაცი და 8 „კასტრანტი“.** ამ უკანასკნელთა ხმა ქალის ნამღერს ემსგავსებოდა, მაგრამ როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, მელოდიურობა, სილამაზე და ხმის ძალა შეუდარებლად მაღალი იყო...

1895 წელს პაპმა ლეონ XIII კასტრაცია, როგორც ასეთი, აკრძალა. იმ პერიოდში უცნაური რამ ხდებოდა: როგორც ჩანს, გონების კასტრაცია დაუსრულებელი პროცესია. კათოლიკურ ეკლესიებთან იდგა რიგი მშობლებისა, რომლებიც სალვთო საქმეთა სადიდებლად საკუთარი შვილების კასტრაციას ითხოვდნენ...

არავინ იცის, როგორ გაგრძელდა უკვე დასახიჩრებული და უსქესო ბიჭუნათა შემდგომი ცხოვრება. მათ ეკლესიათა გუნდში აღარ იღებდნენ... იმ არსებათაგან თითოოროლა ტალანტიც აღმოჩნდა და საოპერო ხელოვნებას მიუძღვნეს თავი.

ასეთი ბავშვობა და ბედისწერა ხვდა წილად გენიალურ **კარლ ფარინელის** (1705-1782წ, ჯერ ევროპის ცნობილი საოპერო დასების წამყვან სოლისტს, ხოლო შემდგომ ესპანეთის მეფის ფილიპ V კარის მომღერალს.

ექვსი წელი (1806-1812წ ატკბობდა ნაპოლეონ ბონაპარტეს სამეფო კარს მეორე გენიალური „კასტრანტიც“ — **პაოლო კრეჩენტინი** (1782-1845წ. ნაპოლეონის გენერლებს ანცვიფრებთო დიაპაზონი (სამ ოქტავაზე მეტიძ, გასაოცარი სუნთქვის უნარი (ერთი ტონი 4 წუთამდე შეეძლო გაეგრძელებინაძ და უნიკალური ოსტატობა ლეგენდარული სახელის მოხვეჭაში დაეხმარა. მას შეეძლო წარმოედგინა ბულბულის ნამდვილი ხმა და არა მარტო ბულბულის...

17 წლის ასაკში რომის საოპერო თეატრში მისი დებიუტი შედგა... მსოფლიო საოპერო სცენების ტრიუმფით მოვლის შემდგომ, ესპანეთის მეფის კარზე ყოფნა არჩია... წერენ, რომ ნაკლებად აღელვებდაო სამსახიობო კარიერა... ბოლოს, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, მაინც იტალიაში დაბრუნდა. მიუხედავად ბავშვობის მძიმე მოგონებებისა, ეს ქვეყანა ტკივილამდე უყვარდა...

ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე გენიალურ „კასტრანტად“ წოდებული, იტალიის სიამაყედ აღიარებული, კარლ ფარინელი ზღაპრულ ჰონორარებს იღებდა, მაგრამ როგორც ამბობენ, მუდამ სევდიანი იყო. მისი გარეგნული მომხიბლაობა, ფიზიკური ვარჯიშების შედეგად კარგად განვითარებული კუნთოვანი სხეული, განსაკუთრებულად ვაჟკაცური იერი და ნიჭიერება ბედის დაცინვას ჰგავდა... მის ყურადღებას ამაოდ ელოდნენ ევროპის ყველაზე ლამაზი ქალები...

ფარინელი, დაბადებული იტალიაში, 1705 წელს, XVIII საუკუნის ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მომღერალი იყო. ხმის ფართო დიაპაზონი...

დათ ამ ტენორის უნიკალური მონაცემები. თუნდაც ის უნარი, რომ სიმღერის დროს მას შეეძლო სუნთქვა 10 წუთით შეეჩერებინა...

მუსიკალური კრიტიკოსები ცდილობდნენ ცნობილ „კასტრანტთა“ ხმების თავისებურებების აღწერას, უჭირდათ მათი ხმების სპეციფიკის ზუსტი სახელდება: ალტი, ტენორი თუ კოლორატურული სოპრანო? „კასტრანტები“ ყველა ამ შესაძლებლობას ერთდროულად ფლობდნენ...

დღეს იტალიელი სწავლულები ფარინელის სამარეს ხსნიან. ამით სურთ გაარკვიონ საიდუმლო XVI-XIX საუკუნეების ცნობილი „კასტრანტებისა“. მართალია, ნებართვის გაცემამდე იტალიის ხელისუფლება დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ საბოლოოდ საკითხი „სამეცნიერო ინტერესების“ სასარგებლოდ გადაწყდა.

საინტერესოა, რისი გარკვევადადგენა შეიძლება ფარინელის გვამის ექსგუმაციით, რა პროგრესული მიღწევებისათვისაა გამიზნული. **თუკი კასტრაცია ოფიციალურად აკრძალულია, რატომ აინტერესებთ კასტრაციის შემდგომი შესაძლო შედეგები? თუ ეს მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურადაა აკრძალული. სინამდვილეში კი...**

* * *

ჩვენი დროების მახასიათებელი ნიშანია — გენიოსთა შემოქმედების თუ პიროვნების გარშემო ოდენ სკანდალურ და პიკანტურ საკითხებს ეძებენ.

ტელეეკრანებიდან ხშირად ვისმენთ მიქელანჯელოს, თომას მანის თუ ოსკარ უაილდის დამამცირებელ თუ დამამცრობელ ეპითეტებს, ნამდვილ თუ შეთხზულ უსიამოვნო ისტორიებს. **თითქოს, სწორედ მანკიერება და არა გენიალობა იყოს, ამ შემთხვევაში, მთავარი...**

მედიცინა გვაფრთხილებს, რომ ძალიან მცირე ზღვარია შეშლილობიდან გენიალობამდე... წარმოვიდგინოთ, უმწეობის და ტანჯვის რამდენ, სხვათაგან უხილავ უფსკრულს გადიოდა თითოეული „სული შეშლილი და ბედნიერი“... წარმოვადგინოთ, ჩვენთვის უცნობი თუ ნაცნობი მათი პირადი ტრაგედიები, მოჭრილი ყური თუ დასახიჩრებული სული...

გადის დრო და გენიოსთა ბედი თუ უბედობა თაობათა არა მარტო შთაგონების, არამედ დიდი შემოსავლების წყაროც ხდება: წიგნები, ალბომები, მხატვრული თუ დოკუმენტური ფილმები, მეცნიერული კვლევები, ფსიქოლოგიური დაკვირვებები, ვიზუალური თუ ბეჭდური მედია...

თავად ისინი კი, გენიალურნი და მშვენიერნი, ნებისით თუ უნებლიედ, უარს ამბობდნენ ჩვეულებრივი ადამიანური ყოფის სიხარულზე, რიგითობის ხიბლზე,

იხ. 9 გვ.



კადრი ფილმიდან „კასტრანტი“.

**ვინც სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლეს ეპირებით, იმეგობრეთ პოეტებთან, უწინარესად კი ისეთ პოეტებთან, ვისი სიტყვაც სიკვდილს სიცოცხლის ბოლომდე მოკვლის საშუალებას არ აძლევს...**

# ნიჭიერება — ჯილდო თუ სამუდამო განსაცდელი?

ცხოვრებას რომ სტაბილური სიმშვიდით მოსავს...

მინიერი ბედნიერების უარმყოფელნი და ჭეშმარიტების მტკივნეულად და ჯიუტად მაძიებელნი, მუდმივად აფორიაქებულნი და სულის ღია ჭრილობის მატარებელნი, ნუთუ, ყველა ისინი, გადატანითი მნიშვნელობით, „კასტრანტები“ არ არიან?.. ოფლით დაცვარული გენიოსთა მაღალი შუბლები, ათასგვარი ტყვიების სამიზნე, დაუცველნი იყვნენ ყველა ეპოქაში და სიკვდილის მერეც...

ნორმა და ნორმიდან ამოვარდნა, გენიალობა და შეშლილობა, ეს არაერთგზის გამოკვლეული ცნებები, ისევ და ისევ მკითხველის, მსმენელის თუ მნახველის წარმომაჩენასაა მინდობილი... აქ ორთოდოქსული განმარტება და სიზუსტე მიუღწეველია.

ეს არის თემა, რომელიც გენიალურ შემოქმედთაგან ერთ-ერთმა, კარლ ფარინელმა, საფლავში სამუდამოდ ჩაატანა და ექსგუმაცია ვერაფერს ახსნის... და ეს არის თემა, რომელსაც, ანუ მშვენიერის და გენიალურის არსებობის ამაო და უშედეგო ჩხრეკას, ლადო გუდიაშვილმა თავის ცნობილ გრაფიკულ ნახატში **„სილამაზის ძიება“** უწოდა.

**ნინო ხოფერია**



ლ. გუდიაშვილი „სილამაზის ძიება“.

## როცა სიტყვაც წამალია

***ბოლო, თითქმის სამოცდაათი წელიწადია, ჩვენი თავქალაქის ქუჩებს ნამდვილად აყუათებს თავისი ბუნებამდიდარი კაცობით წამალთმცოდნე სოკრატე სალუქვაძე. სახელიც ისეთი ჰქვია, არ შეიძლება რომ გულისყური არ მიიპყროს (ეჰ, სად იყო მაშინ ეს ჩვენი ამჟამინდელი კეთილი წამალთმცოდნე სოკრატე, თორემ იმ თავისი დიდი სეხნიისთვის უმრავლესობის მიერ მიწვდილ საწამლავით სავსე ფიალას ნამდვილად მარგებელი წამლით შეუცვლიდა!.ძ, თანაც, რაც მთავარია, ამართლებს თავის სახელს, ამართლებს თავისი წილი სიბრძნით, თავის დარგში განსწავლულობით, იმ ყოვლისმომცველი სიყვარულით, რომლითაც თავადაც არის შეპყრობილი და სხვასაც გადასცემს, ამდიდრებს და აცისკროვნებს. ერთი სიტყვით, ალალად ხელთამპყრობელი კაცია, რომელიც მუდამ მზად არის მოყვასის შესაწევნელად...***

***დიახაც, ამ თვისებებმა დაამეგობრეს და დაამოყვრეს სოკრატე სალუქვაძე მეოცე საუკუნის ბევრ თვალსაჩინო ადამიანს, რომელთაგან, სამწუხაროდ, ბევრი გრძელ სოფელშია ამჟამად.***



# ღიმილგამძლე სტრიქონები,

## ანუ პოეტს არ დარჩა ლექსი დასაკარგავი

*მახსოვს, რა სიყვარულით ექცეოდა სოკრატეს მარად დაუვიწყარი* ***ნოდარ დუმბაძე,*** *რომლის ენაპირითაც თითქოს თვითონ საქართველო ხუმარსიტყვაობდა და რომლის იუმორისტული შემოქმედება (ბევრი უკვე ფოლკლორად ქცეული) სრულად და საკადრისად ჩვენი ბედოვლათობისა გამო დღემდე გამოცემული არა გვაქვს. არადა, ვაითუ, ზოგი რამ გაიბნეს ან იქნებ სულაც დაიკარგოს... თუმცა ნოდარ დუმბაძის სიტყვის ბეჭედს გახუნება არ უწერია. ხან ასე მგონია, რომ ის ყველას მაგივრად ხუმრობდა: ვისაც უნდა ოდესმე ეხუმრა ან ახლა ხუმრობს, ანდა მომავალში იხუმრებს.*



სოკრატე სალუქვაძე — მხატვარი გიგლა ფირცხალავა

*ნოდარი ღირსეულად შეცვალა „ნიანგის“ რედაქტორად ასევე მარად დაუვიწყარმა* ***ზაურ ბოლქვაძემ,*** *რომლის პოეტური მემკვიდრეობაც სულ მეტი და მეტი „გამოსხივების“ უნარს იძენს, დღემდე გამოუცემელია აგრეთვე ზაურ ბოლქვაძის მართლაცდა „შუშხუნა“ ხუმარსიტყვა, რომელმაც სიცილ-ხარხარში გაგვატარებინა წინა საუკუნის თითქმის სამი ათწლეული.*

*სოკრატე ბატონო, მადლობის მეტი რა გვეთქმის იმისათვის, რომ, თავადაც შუმმა გურულმა, საგულდაგულოდ შემოგვინახე ზემოხსენებული „ორი დიდი გურულის“ მარილიანი სიტყვა. შემოგვინახე როგორც უებარი რამ წამალი, რომელიც შენს ქალაქის პირველ აფთიაქში (რომ გართმევენ, გართმევენ და, საბედნიეროდ, დღემდე ვერ წაგართვესძ ან არ იშოვება, ანდა სიძვირისა გამო ხელმიუწვდომელია დღევანდელი ღვთისა და შადრევნების ანაბარა დარჩენილი ქართველისთვის (და თუ გეწყინა რამე, ზემოხსენებულო ქართველო, ადექი და აგრე ულვთოდ გაძვირებული ცივი წყალი ისევ ღვთის შეწევნით ამ შადრევნიდან მუქთად დალიე. ესეც ხომ შეღავათია!..ძ.*

*როგორც ძვირფას განძს ეკადრება, ისე ინახავს სოკრატე ანუ სოსო, პოეტის ყველა ლექსპრომტს...*

**სოსო! დაუძინებელი**
**ვინაიდან ძმა ვარ შენი, —**
**დამაძინე! — მომაშველე**
**როდედრომი, სედუქსენი.**

*ეს 1985 წლის 23 დეკემბერს დაწერილი სტრიქონებია. როცა, როგორც თავისი ქვეყნის ყველა ჭირისუფალს, პოეტსაც უკვე ძილი ჰქონდა გამფრთხალი. ათი წლით ადრე კი:*

**მადლს გწირავ ატეეფისთვის,**
**მზესოსოვ, შენი კვნესამე!**
**სულ მალე თორმეტს მოგართმევ,**
**ახლა თუ მაცლი ექვს მანეთს.**

*ზაურ ბოლქვაძე უკვე „ნიანგის“ რედაქტორია, მთავარი. 1996 წლის 25 ივნისია. მთავარ რედაქტორს ბლოკნოტიდან ფურცელი ამოუხევია და იქვე აფთიაქში „მოუგრეხია მუზისთვის კისერი“:*

**„სალაღობო ლექსპრომტი გაზეთ „წამალთმცოდნეობის გონებისკარის“ მთავარ რედაქტორსა და უმთავრეს ავტორს, 6 მონოგრაფიისა და 30 მეცნიერული შრომის შემქმნელს, შპს „ამბაკოს“ გენერალურ დირექტორს, ქ. თბილისის № 1 აფთიაქის მმართველს, № 1 წამალთმცოდნესა და ერთ-ერთ უპირველეს ქართველს, ჩემს საყვარელ ძმას და მეგობარს სოკრატ (სოსოძ სტეფანეს ძე სალუქვაძეს**

**გაზეთ „წამალთმცოდნეობის**
**გონებისკარს“, ძმაო სოსო,**
**განსაზღვრული ოდენობით,**
**წამლად ვხმაროზ —**
**იმით ვცოცხლობ!**
**სოკრატ, დიდო**
**წამალთმცოდნევ,**
**არ მოკვდები არასოდეს!**
**რაც ამაგი გამიწიე, —**
**არ იქნება, არ მახსოვდეს!**
**P. S.**
**თუ ხიროში ნაკაჯიმა**
**გესტუმრება, დაგპატიჟებთ!**

*ეს* ***ხიროში ნაკაჯიმა*** *უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი იყო, რომელიც სოკრატე სალუქვაძემ თავისი აფთიაქის მუზეუმის გახსნაზე დაპატიჟა. ეს ისე, სქოლიოს მაგივრად.*

*ახლა კვლავ საქმეს მივუყვეთ. ხსენებული ნაკაჯიმას სტუმრობის შემდეგ პოეტს ახალი ლექსპრომტი გაუგზავნია თავისი მევალე პროვიზორისთვის:*

**სიმღერა**

**უდიდესო წამალთმცოდნევ,**
**მუდამ ასე მამაცობდე,**
**კალმასობდე, ალმასობდე**
**და არ მოკვდე არასოდეს!**
**გაქებენ და გადიდებენ,**
**რომ ამშვენებ ქართულ მიწას!**
**მალე შენზე გადიღებენ**
**საოსკარო მხატვრულ**
**ფილმსაც!**

**მისამღერი**

**დოკუმენტურ ფილმში გნახონ,**
**ვინა ხარ!**
**ახალ აფთიაქში გნახონ,**
**ვინა ხარ!**
**აბა, ლიხაურში გნახონ,**
**ვინა ხარ!**
**ჯამით ტოლუმბაში გნახონ,**
**ვინა ხარ!**
**შენი მზეოჯახი ნახონ, ვინა ხარ!**
**შენი თხზულებებიც ნახონ,**
**ვინა ხარ! —**
**და დარწმუნდნენ შენს**
**დიდ ქართველობაში.**

* * *

*ჩვენი ეს წამალთმცოდნე და მართლაც წამალივით კაცი იმითაც არის გამორჩეული, რომ, იმ ქართველთაგან განსხვავებით, ვინც ისე მოდის ამქვეყნად და ისე მიდის იმ ქვეყნად, ზეპირად იცოდეს კი არა, წაკითხვითაც კი არ წაუკითხავს ჩვენი უპირველესი ბიბლია — „ვეფხისტყაოსანი“, მან მართლაც თითქმის ზეპირად იცის რუსთველის უკვდავი ქმნილება. და ზაურ ბოლქვაძეს აბა, როგორ გამოეპარებოდა ეს ფრიად მოსაწონი პატრიოტული ამბავი? არც გამოეპარვია და გაჩნდა ახალი ლექსპრომტი:*

**ზეპირად ამბობს სოკრატი**
**„ვეფხისტყაოსანს“**
**„სოკრატიტ“!**
**ვახტანგის გამოცემა აქვს**
**გამოტანილი „პროკატით“!**
**სოკრატი არის მოღვაწე**
**კონკრეტული და ზოგადიც.**
**და უფრო მეტად მაღლდება,**
**რაც უფრო მეტი დრო გადის!**
**სოკრატისთანა თამადას**
**ვეღარ დაგადებს მყოფადი! —**
**პოეტობს, მეფობს, მთელ**
**სუფრას**
**ჰკრავს ლენინგრადის**
**ბლოკადით!**
**გახლავთ მწერალთა მფარველი,**
**მათი მშველელი ლომბარდი!**

**სულდიდი სალუქვაძეა,**
**ულალატოა ძმობაში!..**
**დღეს სანთლით საძებნელია**
**ჯენლტმენი — მისი ტოლფასი...**
**ლიხაურელი ლომია,**
**ღმერთია ზაურ ბოლქვაძის!**

*ეს მომხდარა გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში. პოეტსა და ჟურნალისტს ზაურ ბოლქვაძეს ფული შემოჰკლებია და სოკრატისთვის უთქვამს: „ჩემო სოსო, ერთი თვის ხელფასი მასესხეო“. რა თქმა უნდა, მეგობარს მეგობრისთვის ეს თხოვნა შეუსრულებია. შემდეგ ჩვენი სოკრატე საერთაშორისო სიმპოზიუმზე დასასწრებლად გამგზავრებულა ქ. რიგაში. ხომ გახსოვთ ჰორანას სენსაციური ევრიკა გენის სინთეზის შესახებ. რიგიდან დაბრუნებულს ჩვენ სოკრატესაც შემოჰკლებია ფული და პოეტისთვის ვალის დაბრუნება ტელეფონით შეუხსენებია. ზაურს უარი არ უთქვამს: „ეხლავე მოვა შენთან ჩვენი წერილების დამტარებელი კურიერი — გულია და პაკეტით ვალს დაგიბრუნებსო“. ასეც მომხდარა. კურიერს პაკეტი რომ გადაუცია, სოკრატეს გამჭოლ სინათლეზე გაუხედავს და იქვე უთქვამს, ამ კონვერტში ფული არ არისო. კონვერტის გახსნის შემდეგ რაც იქ ეწერა, ის ლექსი დღესაც წამალთმცოდნის პირად არქივშია:*

**ლიხაურელო რიგელო,**
**წამლებისაგან გაგცალე,**
**თუ ჩემი ძმა ხარ, მიშველე,**
**ცოტა ხანს კიდევ მაცალე.**
**შენთან სირცხვილნაჭამი ვარ,**
**ძმაო, სოსო სალუქვაძე,**
**ვერ გიყურებ, ნასვამი ვარ,**
**თვალები მაქვს დალუქვაზე,**
**რაც შენ ჩემზე ამაგი გაქვს,**
**დაეტევა რა რუკაზე.**
**ცხვარს მოგიყვან ანაგიდან,**
**არ თქვან, ამაგს არ უფასებს.**
**შთაგონებას სუფევ მგოსნის,**
**პოეზიის აფთიაქო,**
**მითხრეს კოკარბოძილაზის**
**დოზა ათჯერ ათი „აქო“.**
**გწამდეს, შენი**
**ერთგული ვარ,**
**რომ არა ვარ დეზერტირი,**
**გამიხერხე დიბაზოლი,**
**პურგენი და რეზერპინი.**



სოკრატე სალუქვაძე — მხატვარი ზაალ სულაკაური

*ერთ-ერთი ბოლო, არცთუ პოეტის სიკვდილისწინა, ლექსპრომტი კი ასე „აჯამებს“ ჩვენი ბუნებათანაზიარი წამალთმცოდნის კაცურკაცობას:*

**ღირსი ხარ და**
**მიტომ გაქებ! —**
**გაქვს მბრდღვინავი**
**ლომის წონა!**
**შენი სიტყვა, შენი საქმე**
**ჩვენმა ერმა მოიწონა!**
**ვინაც ცუდი რამ თქვა**
**შენზე,**
**დრომ დროულად**
**მოისროლა!**
**პროფესორიც კი**
**ვერ შეძლებს,**
**რაც შეძლი პროვიზორმა!**

**მე არ ვიცი, ბოლო-ბოლო, რა „ფულადი ვალი“ გაჰყვა ზაურს სოკრატესი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ სოკრატე ვერასოდეს ვერ ამოვა პოეტის ვალიდან. ასე რომ, ვინც სიკვდილის შემდეგაც სიცოცხლეს ეპირებით, იმეგობრეთ პოეტებთან, უწინარესად კი ისეთ პოეტებთან, ვისი სიტყვაც სიკვდილს სიცოცხლის ბოლომდე მოკვლის საშუალებას არ აძლევს... და დროგამძლეობა და ყინულგამძლეობა რა მოსატანია, თუ ხუმარსიტყვა ჭეშმარიტად ღიმილგამძლეა...**

**გურამ წიკლაური**

**ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოფერია და კახა ქორიძე**



● სიცხეც და სიცივეც ყველაზე მწარედ ჩვენ უნდა დაგვატყდეს თავს. ჯერ კიდევ 2006-ში ჩვენთან სიცხემ 40-42 გრადუსს მიაღწია (ალაგ-ალაგ 46-48 გრადუსიც დაფიქსირდა). სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ 2007-ში ტემპერატურა დამატებით 5-6 გრადუსით მოიმატებს და კლიმატს შესამჩნევად გააუარესებს. გვალვები განსაკუთრებით ემუქრება შირაქსა და ქვემო ქართლს, სადაც თავისუფლად შეიძლება შეიქმნას გაუდაბნოების საშიშროება



◎ საით მივდივართ?

# საჰარის ხვატი



**შარშან სანკტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ სახელმწიფოთა მეთაურები შეიკრიბნენ. ამ უძლიერესი ქვეყნების ლიდერებს სხვებთან ერთად უნდა ემსჯელათ გლობალური დათბობის საკითხზეც, მაგრამ... ყველას გასაოცრად მასზე მხოლოდ გაკვრით შეჩერდნენ, — არც რაიმე გადაწყვეტილება მიიღეს, არც რაიმე ღონისძიება დასახეს. ერთი სიტყვით, ხეირიანად ყურიც არ შეიბერტყეს, შუბლიც არ შეიჭმუხნეს...**

პოლიტიკოსთა ასეთ გულგრილობას მეცნიერები კარგა ხანია აკრიტიკებენ. ისინი სავალალო შედეგებს ვარაუდობენ და ყველას სიფხიზლისკენ მოუწოდებენ. სულ ახლახან, მაგალითად, ევროკომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც წლეულს ამ ბებერ კონტინენტზე ტემპერატურა საშუალოდ 3-4 გრადუსით მოიმატებს. სიცხე უკვე გვარიანად აწუხებს ესპანეთს, იტალიას, საბერძნეთს, გერმანიას, შვეიცარიას, რის გამოც ტურისტები ინაცვლებენ დანიისკენ, ნორვეგიისკენ, შვედეთისკენ, ფინეთისკენ, ისლანდიისკენ.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, 2050-2070 წლისათვის ევროპა თითქმის საჰარას დაემსგავსება; ამას კი მოჰყვება არა მარტო ტურიზმის ჩაკვლა, არამედ მთელი სოფლის მეურნეობის განადგურება, ადამიანთა სიკვდილიანობის მკვეთრი მატება. ეს რაღაც ფანტასტიკა კი არა, ფაქტებითა და ციფრებით გამყარებული რეალობაა, რომელსაც ველარავინ გაექცევაო. სულ მალე საბერძნეთში თურმე ტემპერატურა 37 გრადუსზე ქვემოთ აღარ ჩამოვა და ეს ქვეყანა პაპანაქებაში ჩაიხრაკება.

ეს საბერძნეთი. საქართველო? ხომ ვიცით, — სიცხეც და სიცივეც ყველაზე მწარედ ჩვენ უნდა დაგვატყდეს თავს. ჯერ კიდევ 2006-ში ჩვენთან სიცხემ 40-42 გრადუსს მიაღწია (ალაგ-ალაგ 46-48 გრადუსიც დაფიქსირდა). სინოპტიკოსები ვარაუდობენ, რომ 2007-ში ტემპერატურა დამატებით 5-6 გრადუსით მოიმატებს და კლიმატს შესამჩნევად გააუარესებს. გვალვები განსაკუთრებით ემუქრება შირაქსა და ქვემო ქართლს, სადაც თავისუფლად შეიძლება შეიქმნას გაუდაბნოების საშიშროება.

რა, გადაჭარბებულია? საფრთხე გაზვიადებულია? სრულებითაც არა. გაუდაბნოებას იწვევს არა მარტო გვალვა, არამედ მიწის ცუდად დამუშავებაც, მოურწყველობაც, ქარსაცავი ზოლების ჭრაც, ტყეების გაჩეხვაც, ატმოსფეროს დაბინძურებაც. ერთი მითხარით, — საქართველოში ამათგან რომელია მოგვარებული? შარშან 14 რაიონში ტყეები მივეცით ჩინელებს, წლეულს ალბათ 17 რაიონში მივცემთ თურქებს, მერე 20 რაიონში — ბერძნებს და დაუსვით ხელი ქართულ ტყეებს. გაჭირვებული, აკანკალებული მოსახლეობაც ამ ტყეებს ჩეხავს. ამიტომაც გვჩაგრავს გვალვაც, წყალდიდობაც, ზვავიც, ქარიც, მეწყერიც...

სტიქიური მოვლენების გამო 1995-2005 წლებში მარტოოდენ საქართველო დაზარალებულა ერთი მილიარდ ასი მილიონი ლარით. იმას ვინ დაითვლის, რასაც ჩვენი პლანეტა ზარალობს გაზის, ნავთობის, ქვანახშირის მზარდი მოხმარებით, საავტომობილო თუ საჰაერო ტრანსპორტის ასევე მზარდი მატებით? ნახეთ: 2006-ში მხოლოდ ევროპის ქვეყნების ცას ყოველდღიურად სერავდა 25 ათასი თვითმფრინავი. 2010 წელს კი გადასერავს 50 ათასი. როგორ გგონიათ, სად წავა ის გაორმაგებული, მომწამვლელი, გამანადგურებელი აირები?

საქართველოში ერთი უდაბნოც გვაქვს (საგარეჯოს სიახლოვეს) და ერთი აფრიკაც (თბილისის სიახლოვეს). მეტი აღარ გვინდა. ამ სამოთხეს ნუ ვაქცევთ ჯოჯოხეთად!

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ღირს დაფიქრებად!

# ბარემ, ერთად ვიხტუნაოთ

**ამ ბოლო ხანს მთლად აირია როგორც სწავლის, ისე დასვენების დაწყება-დამთავრების დრო. შარშან, მაგალითად, ზოგმა სკოლამ სწავლა დაიწყო 18 სექტემბერს, ზოგმა — 25 სექტემბერს, ზოგმა — 2 ოქტომბერს...**

საშობაო არდადეგების შემდეგაც სწავლის განახლების ვადად ვინ 8 იანვარი აირჩია, ვინ — 15 იანვარი, ვინ კიდევ — 22 იანვარი. მესმის, ძალზე მნიშვნელოვანია სკოლებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება, გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი სურვილების წინ წამოწევა, მაგრამ რად დავივიწყეთ მოსწავლეთა ოჯახები, მშობლები, მათი ინტერესები?

ვითომდა სიცხის გამო ჩვენ სასწავლო წლის დაწყება 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე გადავიტანეთ. თუმცა მშობლებს (ალბათ, ასევე პედაგოგებსაც) სექტემბრის სიცხეზე მეტად იანვრის სიცივე უფრო აწუხებთ. სწორედ ამ თვეშია არა მარტო გრიპები, არამედ სხვა საშინელი დაავადებებიც. არა სჯობია ბავშვები მთელი ცივი იანვარი დავასვენოთ, სკოლებში შეშა და საწვავი დავზოგოთ, ვიდრე ცხელი სექტემბერი სახლებში დავტოვოთ?

ხომ არ შეიძლება ყოველწლიურად ასე „ვახტუნაოთ“ სწავლების და არდადეგების დაწყება-დამთავრების ვადები? მშობლებსაც აქვთ თავიანთი ოჯახური გეგმები. ბავშვების გამო ისინიც ახტუნავებენ ამ გეგმებს. როდემდე?

**ბადრი ღვინიაშვილი**



◎ სასამართლო

# ნაქურდალ ტანსაცმელში გამოიჭირეს

**გახშირებულმა ქურდობამ თბილისელების უმრავლესობა ისე დააშინა, რომ ალბათ 80 პროცენტი სახლს მარტო აღარ სტოვებს. არავინ იცის, ქურდი კარს გასაღებს როდის მოარგებს.**

მუხიანელი მირანდა კორტავა ოჯახის წევრებთან ერთად დილით სახლიდან გავიდა. მობინადრეთა წასვლა ზუგდიდელ 26 წლის სოსო ნარსიას და გამოძიებით დაუდგენელ ვინმე ლევანს არ გამოპარვიათ. დაუყოვნებლივ სპეციალური იარაღით რკინის კარი გახსნეს და ბინაში შევიდნენ, თუმცა მოსაპარი ბევრი არაფერი დახვდათ. ხელს მხოლოდ ქურთუკი, შარვალი და მუსიკალური ცენტრი გააყოლეს. ეჭვის გასაქარწყლებლად ნარსიამ გარეთ გამოსვლის წინ ნაქურდალი ტანსაცმელი ტანზე მოირგო. თუმცა მეზობლებმა „დაუპატიჟებელი სტუმრები“ მალევე შეამჩნიეს და პატრულს შეატყობინეს. მათ სადარბაზოსთან პოლიცია დახვდა. ლევანმა გაქცევა მოასწრო, სოსო კი მაგნიტოფონით ხელში პოლიციას შერჩა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ნარსიას ოთხწლიანი პატიმრობა შეუფარდა. ეს განაჩენი ბრალდებულმა სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და სასჯელის შემსუბუქება ითხოვა. იმის გამო, რომ ის სამართალში პირველადაა მიცემული, ჰყავს მცირეწლოვანი შვილი და მარტოხელა დედა, სასამართლომ მისი თხოვნა გაითვალისწინა და საბოლოოდ 3 წელი და ექვსი თვე დაუტოვა.

რაც შეეხება ლევანს, პოლიციისთვის მისი ვინაობა დღემდე უცნობია. როგორც ჩანს, ნარსიამ მისი „ჩაშვება“ არ ისურვა. არადა, არავინ იცის, ის ლევანი კიდევ რამდენ ბინას გაქურდავს და ხახვივით შეირჩენს.

**ლელა მანაველიშვილი**

◎ ჭრუანტელი

### იმპერიაც ემხობა

კატობრიობა 70-მდე იმპერიას ითვლის. აქედან ყველაზე მეტ ხანს იარსება რომის იმპერიამ (829 წელი). ოსმანთა იმპერიამ რუკაზე დაჰყო 469, ავსტრიის იმპერიამ — 329, ბრიტანეთის იმპერიამ — 336, რუსეთის იმპერიამ — 304, ჩინეთის იმპერიამ — 267, იაპონიის იმპერიამ — 49, გერმანიის იმპერიამ კი — 7 წელი.

### ხალხის მოსასპობად

ბოლო მონაცემებით, ყველაზე შეიარაღებული ქვეყნები იყვნენ: აშშ (478 მილიარდი დოლარი), დიდი ბრიტანეთი (48), საფრანგეთი (46), იაპონია (42), ჩინეთი (41), გერმანია (33), იტალია (27), საუდის არაბეთი (25), რუსეთი (21), ინდოეთი (20), სამხრეთ კორეა (16) და კანადა (10 მილიარდი).

### „დედოვშჩინა“ მძვინვარებს

შარშან რუსეთის ჯარში, არასაბრძოლო, სრულიად მშვიდობიან ვითარებაში დაიღუპა 555 ახალგაზრდა, აქედან 200-მა თავი მოიკლა. მსგავსი ტრაგედიების ძირითად მიზეზად ასახელებენ ე. წ. „დედოვშჩინას“. ეს პრობლემა არც საქართველოსთვისაა უცხო.

### „წლის ბოროტმოქმედნი“

სპეციალური გამოკითხვის შედეგად, ამერიკელებმა „წლის ბოროტმოქმედთა“ სიას სათავეში ჩაუყენეს თავიანთი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (25 პროცენტი). მეორე ადგილზე გავიდა ბინ ლადენი (8 პროცენტი), მესამეზე — სადამ ჰუსეინი (6 პროცენტი), მეოთხეზე კი — მაჰმუდ აჰმადინეჯადი (5 პროცენტი).

### თავი ყულფში

სადამ ჰუსეინის ჩამოხრჩობას აჟიოტაჟი მთელს მსოფლიოში მოჰყვა. ბევრმა მისმა თაყვანისმცემელმა თავიც კი მოიკლა, და არა მარტო ერაყში. ალჟირში, მაგალითად, სიცოცხლე მოისწრაფა 35 წლის ქალმა, ინდოეთში კი — 15 წლის გოგონამ. სადამივით თავი ყულფში გაყვეს ამერიკელმა 10 წლის და პაკისტანელმა 9 წლის ბიჭუნებმა.

### ქალებისთვის სულერთია

ამერიკელი ფსიქოლოგების მტკიცებით, უმჯობესია ცოლქმარს ცალ-ცალკე ლოგინში ეძინოთ. სექსუალურ სიამოვნებაში ჩაიძიროს კი არა, კაცმა ქალს მთელი ღამე თითიც რომ არ მიაკაროს, მეორე დღეს მისი ტვინი საჭირო სისწრაფითა და კონცენტრაციით მაინც ველარ მუშაობს.

### შიდსი მხრებს შლის

2005 წელს რუსეთში შიდსით დაავადებული გახლდათ 1,2 მილიონი კაცი, რომელთაგან გარდაიცვალა — 6 ათასი. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2020 წლისთვის აქ შიდსით დაავადებულთა რაოდენობა მიაღწევს 5,4 მილიონს, გარდაცვლილთა რაოდენობა კი — 250 ათასს.

### საით, ბებო?

დიდ ბრიტანეთში გაიხსნა პირველი კოსმოსური ტურისტული ფირმა. მისი დამფუძნებელია მილიარდერი რიჩარდ ბრენსონი, რომელმაც ამ საქმეში 100 მილიონი დოლარი ჩადო. ბილეთის მაღალი ფასის (200 ათასი დოლარი) მიუხედავად, კოსმოსური ტურისტების სია 5 წლით უკვე შევსებულია. ყველაზე ახალგაზრდაა 16 წლის ბიჭი, ყველაზე ხანდაზმული კი — 90 წლის ქალი.

№ 11. პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.

# შინ და გარეთ

● თბილისი-ყარსის რკინიგზა გახდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სატრანსპორტო ურთიერთობის ძირითადი ელემენტი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## რკინიგზა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას გააძლიერებს

**ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო შტოს მშენებლობის რეკონსტრუქციის პროექტის დაწყება არის მნიშვნელოვანი მოვლენა რეგიონული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობისთვის. ეს ხაზგასმულია აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაში, რომელიც გავრცელდა 13 იანვარს თბილისში ამ პროექტის ხელმოწერასთან დაკავშირებით.**

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრო, კერძოდ, აღნიშნავს რომ „ეს სატრანსპორტო ძსელი შეასრულებს მნიშვნელოვან როლს ევრაზიის რეგიონის, მისი უშიშროების განვითარების საქმეში, განამტკიცებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და შეუწყობს ხელს უფრო გლობალურ თანამშრომლობას“. „ეს პროექტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება და დიდი აბრეშუმის გზის რეკონსტრუქციის ფარგლებში, განვითარების ახალ საფეხურზე დააყენებს ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანს. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა გახდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული სატრანსპორტო ურთიერთობის ძირითადი ელემენტი“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რკინიგზის მშენებლობა შესაძლებელს გახდის მგზავრთა შეუფერხებელ გადაყვანას და სატრანსპორტო ტვირთების გადაზიდვას, შეუწყობს ხელს რეგიონული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარებას, უზრუნველყოფს ბაზრებზე საქონლის უფრო წარმატებულ გატანას და მოიტანს დიდ სარგებელს, აღნიშნავს აზერბაიჯანის საგარეო-პოლიტიკური უწყება.

შეგახსენებთ, რომ ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო-სატრანსპორტო დერეფნის შექმნის პროექტი ითვალისწინებს ყარსი-ახალქალაქის დამაკავშირებელი 98-კილომეტრიანი სარკინიგზოს შტოს მშენებლობას, რომლიდანაც 68 კილომეტრი გაივლის თურქეთის, ხოლო 30 კილომეტრი – საქართველოს ტერიტორიას. გასაზღვრული სარეკონსტრუქციო სამუშაოებია აგრეთვე განსახორციელებელი ახალქალაქ-თბილისის მონაკვეთზე. თურქეთში სამშენებლო სამუშაოების შესრულებას დასჭირდება 220 მილიონი დოლარი, საქართველოში კი – 202 მილიონი.

შეგახსენებთ ასევე, რომ შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ამ პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობა აუკრძალა ამერიკულ კომპანიებს.

REGNUM

## კვლავ სორციელდება სამშვიდობო ბატალიონის როტაცია

**ქართული მხარე კვლავ ახორციელებს სამშვიდობო ბატალიონის როტაციას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ოფიციალურმა ცხინვალმა უკვე გაავრცელა განცხადება, რომელშიც ქართული სამშვიდობო ბატალიონის როტაციას უკანონო უწოდა.**



როგორც თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბორის ჩოჩიევმა თქვა, „შერეული საკონტროლო კომისიის ოსური მხარე აცხადებს, რომ ქართული ბატალიონის მორიგი როტაცია უკანონო იქნება და მოითხოვს, რომ შერეული სამშვიდობო ძალების გაერთიანებულმა სამხედრო სარდლობამ იღონოს ყველაფერი იმისთვის, რათა არ დაუშვას ქართული ბატალიონის უკანონო როტაციის განხორციელება“.

ქართულმა მხარემ თავისი სამშვიდობო ბატალიონის როტაცია ბოლოს განახორციელა 2006 წლის 30 ოქტომბერს, და მაშინ შეიცვალა ქვედანაყოფის მთელი პირადი შემადგენლობა – 423 სამხედრო მოსამსახურე.

შეგახსენებთ, რომ „კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტინგენტების და სამხედრო მეთვალყურეთა საქმიანობის პრინციპების შესახებ დებულების“ თანახმად, სამშვიდობო ბატალიონების როტაცია ხორციელდება ერთხელ 6 თვის განმავლობაში. საქართველომ კი თავისი ბატალიონის როტაცია განახორციელა 2004 წლის 22-23 სექტემბერს, 2004 წლის 17-18 ნოემბერს, 2005 წლის 24-27 იანვარს, 2005 წლის 24-25 მარტს, საგეგმო როტაცია განხორციელდა ასევე 2006 წლის 6 სექტემბერს, 2006 წლის 9 იანვარს, 2006 წლის 27 მარტს, 2006 წლის 27 მაისს, 2006 წლის 25 ივლისს, იმავე წლის 24 აგვისტოს კი ქართულმა მხარემ განახორციელა თავისი სამშვიდობო ბატალიონის დამატებითი დაკომპლექტება, როცა კონფლიქტის ზონაში დამატებით შეიყვანეს 100 კაცი. სამხრეთ ოსეთის მხარეს არაერთგზის განუცხადებია, რომ ქართული სამშვიდობო ბატალიონების ასეთი ხშირი როტაცია მიზნად ისახავს ადგილმდებარეობის დაზვერვა-გამოკვლევას და ეს ხდება სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის მომზადების მიზნით.

REGNUM

## ევროკავშირი დაინტერესებულია პროგრესის მიღწევით

**„ჩვენი ჯგუფი ევროკავშირში შეისწავლის ფაქტებს ადგილზე და სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას. ამიტომ, გვსურს კიდევ უფრო მეტად დავეხმაროთ თქვენს ქვეყანას, რადგან დაინტერესებული ვართ პროგრესის მიღწევით და ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენით“. ეს განაცხადა სოხუმში, თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივანთან სტანისლავ ლაკობასთან გამართულ შეხვედრაზე სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოლიტიკურმა მრჩეველმა კაუპო კანდმა.**

ევროკავშირის მეორე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში შედის ევროკომისიის თანამშრომელი პრედგარ ავრამოვიჩი, სტანისლავ ლაკობასთან შეხვედრის დროს აღნიშნა, რომ „ევროკავშირი ახორციელებს ახალ პოლიტიკას თავისი მეზობლების მიმართ: ეს არის ევროპულ გაერთიანებაში ინტეგრაციის პროგრამა, აგრეთვე სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამები და პოლიტიკური საკითხები“.

ევროკავშირის ჯგუფის წევრებმა შესთავაზეს თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებას გაითვალისწინოს, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკვე დამყარებულია პარტნიორული თანამშრომლობა. მათი აზრით, აფხაზეთის საზოგადოება ამით შეძლებს ინტეგრირებას ევროპასთან მეცნიერების, ვაჭრობისა და სხვა სფეროებში.

„ჩვენ გვსურს ვიცოდეთ თქვენი აზრი ამ საკითხებთან დაკავშირებით და მზად ვართ დაგეხმაროთ“, – თქვა დიპლომატმა და დასძინა, რომ სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები უშუალოდ მუშაობს საგარეო პოლიტიკის და უშიშროების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს კომისართან ხავიერ სოლანასთან. ეს კი, ევროკავშირის წარმომადგენელთა აზრით, ბევრს ნიშნავს.

REGNUM

## ერაყის პრემიერი დამატებით შეიარაღებას მოითხოვს

**ერაყში შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის, რომ შეერთებული შტატების მთავრობას არ სურს უფრო მეტი რაოდენობის სამხედრო აღჭურვილობა მიაწოდოს ერაყის უშიშროების ძალებს, მიაჩნია ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ნური მალიქის.**

„პრობლემა გადაიჭრებოდა, თუ ვაშინგტონი ბაღდადს მიაწვდიდა რაც შეიძლება მეტ შეიარაღებას, – განაცხადა მან ბრიტანული გაზეთ „Times“-თვის მიცემულ ინტერვიუში. – ამის შემდეგ ამერიკელ ჯარისკაცებს სამშობლოში დაბრუნებაც კი შეეძლებოდათ“.

„ხოლო ის, რომ ამერიკას არ სურს ბაღდადში უშიშროების ძალებს გადასცეს საკმარისი რაოდენობის იარაღი და სამხედრო აღჭურვილობა, დიდი მსხვერპლის ფასად გვიჯდება“, – აღნიშნა ერაყის კაბინეტის მეთაურმა.



ამავე დროს, ვაშინგტონში სამმა წამყვანმა ამერიკელმა სენატორმა მიაღწიეს მორიგებას რეზოლუციის პროექტის შესახებ. მან ხელი უნდა შეუშალოს შეერთებული შტატების პრეზიდენტის განზრახვას, რომელიც აპირებს ერაყში დამატებით 20 ათასზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცის გაგზავნას.

დოკუმენტი ავალებს თეთრ სახლს შეცვალოს თავისი პოლიტიკა, მაგრამ ასევე მოითხოვს, რომ ერაყის მთავრობას ეტაპობრივად გადაეცეს უფლებამოსილება ქვეყანაში უშიშროების დამყარებისთვის.

მალიქის ინტერვიუ გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებში იგი მკაცრად გააკრიტიკეს. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ერაყის პრემიერი ყველაფერს არ აკეთებს ქვეყანაში შიიტ-მოთარეშეთა ძალადობრივი საქმიანობის ალსაკვეთად. და მართალია, ინტერვიუს დროს მალიქი მოერიდა რაიმე მკვეთრი განცხადებების გაკეთებას, მიმომხილველთა აზრით, ერაყის პრემიერი მაინც აშკარად გაღიზიანებული იყო იმ გამონათქვამების გამო, რომლებიც მისი მისამართით გაისმა ვაშინგტონიდან.

მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეიტსმა თქვა, რომ ერაყის პრემიერს შეუძლია დაკარგოს სამუშაო, თუ არ მოუღებს ბოლოს თემთაშორის სისხლის ღვრას, სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა კი ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკელთა მოთმინების ფიალა შეიძლება სულ მალე აივსოს.

ამასთან დაკავშირებით ერაყის პრემიერმა განაცხადა: „ზოგიერთი სახელმწიფო მოხელე განიცდის კრიზისს“. ნური მალიქი აშკარად გულისხმობდა კონდოლიზა რაისს.

უფრო მეტიც, – დასძინა ერაყის პრემიერმა, – ასეთი კრიტიკა მატებს ძალებს ექსტრემისტებს რაც, თავისთავად, გარკვეულწილად არის კიდეც იმ „კრიზისული სიტუაციის“ ასახვა, რომელიც შეიქმნა ვაშინგტონში კონგრესის შუალედურ არჩევნებში რესპუბლიკელების დამარცხების შემდეგ.

რაც შეეხება შიიტ-მოთარეშეების წინააღმდეგ ბრძოლას, ამასთან დაკავშირებით ერაყის პრემიერმა განაცხადა: „მზად ვარ შევასრულო ვაშინგტონისთვის მიცემული პირობა და გამოვუცხადო ბრძოლა შიიტ-რადიკალებს ჩემი კოალიციის რიგებშიც კი, მათ შორის – „მაჰდის არმიის“ დაჯგუფების წევრებსაც“. ბოლო ხანებში დააკავეს ამ დაჯგუფების 400 წევრი, – თქვა შემდეგ მალიქიმ და დასძინა, – რომ შიიტებსა და სუნიტებს შორის არ გაჩაღდება სამოქალაქო ომი, რადგან ისინი ერაყში მრავალი წლის განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ერთმანეთის გვერდით.

ნური მალიქიმ აღიარა, რომ მისმა ადმინისტრაციამ დაუშვა გარკვეული შეცდომები სადამ ჰუსეინის ჩამოხრჩობასთან დაკავშირებით. მაგრამ იტალიის პრემიერ-მინისტრის რომანო პროდის მიერ ერაყის კანონმდებლობის გაკრიტიკების პასუხად, მალიქიმ გაიხსენა, რომ იტალიელებმაც თავის დროზე ჩამოახრჩვეს ბენიტო მუსოლინი.

კითხვას, თუ კიდევ რამდენ ხანს დასჭირდება ერაყს ამერიკელთა ჯარების დახმარება, პრემიერმა უპასუხა: „თუ მივაღწევთ წარმატებას შეიარაღების მოწოდებისა და ჩვენი არმიის იარაღით აღჭურვის დაჩქარების შესახებ შეთანხმების რეალიზაციის საქმეში, ვფიქრობ, რომ ასე 3-6 თვის შემდეგ ერაყში მკვეთრად შემცირდება ამერიკელთა ჯარების ყოფნის აუცილებლობა“.

## ალპებში თოვლი დნება

**ალპებში თოვლი შეიძლება დადნეს გლობალური დათბობის შედეგად, – აცხადებენ ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის წარმომადგენლები.**

მოხსენებაში, რომელიც ხუთშაბათს გამოქვეყნდა, ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ალპური თოვლი განსაკუთრებით „მტკივნეულად“ განიცდის კლიმატის შეცვლას. ეს უქმნის საფრთხეს ალპურ სამთო-სათხილამურო კურორტებს, რომელთა მოქმედებაზეც გარკვეულწილად დამოკიდებულია ალპურ სახელმწიფოთა ეკონომიკა.

ამ ბოლო ხანებში ალპებში პრაქტიკულად შეუფერხებლად მუშაობენ ხელოვნური თოვლის წარმოებისთვის განკუთვნილი დანადგარები.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშის ავტორთა მტკიცებით, ამ რაიონში ბოლო ხანებში ტემპერატურის დათბობა ერთისამად აღემატებოდა პლანეტის საშუალო მაჩვენებელს.

მეცნიერთა ვარაუდით, ჰაერის ტემპერატურის მომატებამ გერმანიის ალპებში შეიძლება 60 პროცენტით შეამციროს თოვლის საფარის ფართობი.

გარდა ამისა, მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ იმ 40 ათას ფრანგს, რომლებიც თავს ირჩენენ სპორტის ზამთრის სახეობებთან და ტურიზმთან დაკავშირებული საქმიანობით, აქამდე არც კი დაუწყიათ მუშაობა.

შემდგომი დათბობა, – აღნიშნავენ მეცნიერები, – გამოიწვევს თოვლის საფარის შემცირებას დაბალ და საშუალო სიმაღლეებზე, და ხელოვნური თოვლი ვერ დაგვეხმარება ამ პრობლემის გადაჭრაში, რადგან მისი წარმოება ძვირი ჯდება და თანაც იგი საზიანოა ეკოლოგიისთვის.

№ 11. პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.

№ 11. პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.

# დღის ამბები

● 2006 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა საცხოვრებელ სახლებზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზსა და სათბობის სხვა სახეობებზე. მთლიანად კი აღნიშნულ სეგმენტში ფასების ზრდამ 22 პროცენტს გადააჭარბა



**ინფორმაცია**

## ანგრევენ და ანგრევენ

**სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ცოტნე დადიანის №2-ში მდებარე შპს „მიას" შენობა-ნაგებობების დემონტაჟი განახორციელა. როგორც ზედამხედველობის სამსახურში განმარტავენ, აღნიშნული შენობების დემონტაჟი კანონის შესაბამისად განხორციელდა.**

„მიას" კუთვნილი შენობა-ნაგებობები ნაძალადევის რაიონში მეტროსადგურისა და გადასასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული. თბილისის მერიის დადგენილებით, ამ ტერიტორიაზე ყოველგვარი სავაჭრო ობიექტის არსებობა იკრძალება. მართალია, მიწა საკუთრებაშია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ტერიტორია მერიის ურბანულ სამსახურთან შეუთანხმებლად, კანონის შეუსაბამოდ არის დაკანონებული, – განმარტა ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ გიორგი საგინაშვილმა.

მისივე განცხადებით, ზედამხედველობის სამსახური სახალხო დამცველის აპარატს ყველა იმ იურიდიულ დოკუმენტს გადაუგზავნის, რომლის საფუძველზეც შენობების დემონტაჟი განხორციელდა.

## ვითომ ლეიბორისტებისა შეეშინდათ?

**ლეიბორისტული პარტიის წევრები პრეზიდენტსა და ქალაქის მერს გიგი უგულავას თბილისელი პენსიონერების მოტყუებაში ადანაშაულებენ.**

პარტიის ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, რომ სააკაშვილი-უგულავას კლანი საპენსიო დანამატების გაუქმებას აპირებს.

– ეს ხელისუფლება წერასაა ატანილი და ხალხის გვამებზე უნდა სიარული, რადგან ისედაც გაჭირვებულ ხალხს, კომუნალური და ტრანსპორტით მგზავრობის შეღავათების გარდა, პენსიებზე შრომის მიხედვით დანამატებსაცართმევენ, – განაცხადა გუგავამ.

მისივე ინფორმაციით, როდესაც ხელისუფლებაში შეიტყვეს, რომ ლეიბორისტები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პრესკონფერენციის გამართვას აპირებდნენ, ბანკებს სასწრაფო დავალება მისცეს, რათა პენსიები დანამატებით დარიგებულიყო.

## ვის ეყოფა 10 ლიტრი ნავთი?

**ქუთაისში მცხოვრები 600-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახი ადგილობრივი მთავრობისგან 10 ლიტრ ნავთს უსასყიდლოდ მიიღებს.**

დახმარება ვრცელდება აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზეც. დევნილებისთვის 1000 ლიტრი ნავთი უკვე გამოყოფილია.

როგორც საბინაო ფონდისა და განკარგვის სამსახურის უფროსმა კახა ძორიძემ განაცხადა, საჭიროების შემთხვევაში ნავთით სკოლებიც მომარაგდება, რადგან ზამთრის პერიოდში სასწავლო პროცესი არ შეფერხდეს.

## „თელასი" რესპუბლიკური საავადმყოფოს გათიშვას აპირებს

**კომპანია „თელასმა" თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოს ელექტროენერგიის შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება გაუგზავნა.**

საავადმყოფოს გათიშვა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობას უკავშირდება.

15 იანვრის მონაცემებით, სამედიცინო დაწესებულების მიმდინარე ვალი 667 ათასი ლარია, აქედან, მხოლოდ დეკემბრის თვის დავალიანება 90 340 ლარს შეადგენს.

დავალიანების გადახდის ბოლო ვადა 22 იანვარის 11 საათია. წინააღმდეგ შემთხვევაში „თელასი" რესპუბლიკურ საავადმყოფოს ელექტროენერგიის მიწოდებას შეუწყვეტს.

## ბოთლებსაც მიადგნენ

**აჭარის საგადასახადო სამსახურმა გუშინ დილით ბათუმში მოულოდნელი რეიდი მოაწყო. რეიდის შედეგად ბათუმში დალუქულია „კოკა-კოლას", „ნატახტარისა" და „ლომისის" სასაწყობო მეურნეობების ბათუმის ოფისები.**

საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლის ბესო ბაჯელიძის მტკიცებით, ამ კომპანიების ბათუმის ოფისების დახურვის მიზეზი დარღვევები გახდა. ბაჯელიძე დარღვევებს არ აკონკრეტებს და აცხადებს, რომ საბოლოო პასუხი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი,

თავად „ნატახტარის", „კოკა-კოლასა" და „ლომისის" ადგილობრივი წარმომადგენლები მომხდართან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

## უკრაინაში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

**ხარკოვში გარიბალდის ქუჩაზე მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, უკრაინელმა სამართალდამცავებმა ქართველი კრიმინალური ავტორიტეტი, მეტსახელად „არა" დააკავეს.**

უკრაინის შს სამინისტროს პრესსამსახურის განმარტებით, დანაშაული უკრაინულ-თურქული საწარმოს გენერალური დირექტორისთვის ფულის გამოძალვის მიზნით დაიგეგმა. ძიების თანახმად, დირექტორსა და თურქულ მხარეს შორის ფინანსური უთანხმოება წარმოიშვა, რისთვისაც თურქებმა დასახმარებლად უკრაინაში ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს, ეროვნებით ქართველ „არას" მიმართეს. მან აფეთქების ადგილას ასაფეთქებელი მოწყობილობა დაამონტაჟა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**ინფლაცია**

# ქისაში ჰაერის გარდა ფულიც რომ იყოს...

## ფიქრები დღესასწაულებს შემდეგ

**ჩაიარა, ჩამთავრდა, „ახლითაც" და „ძველითაც", შობა-ახალი წლის ნათელი და მხიარული დღეები. ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა, მენიუც „ტრადიციული" გახდა. თუმცა, ეგეც კია საკითხავი, რამდენად „ჩვეული" და „ტრადიციული", რადგან სადღესასწაულო სუფრის (გნებავთ, სუფრების) განწყობას, თუნდაც, ასე ვთქვათ „საშუალო" დონეზე, საკმაოდ სოლიდური თანხები სჭირდებოდა, რისი საშუალებაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ჩვენში ნაკლებად აქვს და, რამაც, ეჭვი არ მეპარება, საგრძნობლად „შეამსუბუქა" ქისები და ნაკლებად წონადი გახადა საბანკო ანაბრები.**

ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობას ჯიბე უფრო საგრძნობლად დაუცარიელდა, ვიდრე ეს, ვთქვათ, გასული წლის დღესასწაულებისთვის სამზადისისას მოხდა. საინტერესოა, მაინც რამდენად „საგრძნობლად"? სიმართლე გითხრათ, გადაჭრით ამის თქმა, ყოველ შემთხვევაში პირადად ჩემთვის, ძნელია, რადგან საკუთარი „ფინანსური ჯანის" ამბავი ყველამ თავად უწყის, მაგრამ საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებს თუ დავეყრდნობით, შარშან წლის განმავლობაში ფაქტობრივმა საშუალო ყოველთვიურმა ინფლაციამ 0,7 პროცენტი შეადგინა, ხოლო მთლიანად წლის მიწურულისთვის მისმა დონემ 8,8 პროცენტს არ გადააჭარბა (შედარებისთვის აქვე აღვნიშნავ, რომ 2005 წელს ანალოგიური მაჩვენებელი საქართველოში 6,2, 2004 წელს – 7,5, ხოლო 2003 წელს – 7,0 პროცენტი იყო.

როგორც აღვნიშნე, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2006 წელს ინფლაციის ინდექსმა 8,8 პროცენტი შეადგინა. ნუთუ, სინამდვილეში მეტი არა?

პასუხი, ვფიქრობ, თითოეული ჩვენგანისთვის ცხადია: თავისთავად, ციფრი „8,8" პროცენტი არამც და არამც არ ასახავს რეალურ ვითარებას. თორემ იმავე სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, რომელიც ინფლაციის დონეს ქვეყნის ხუთ უმსხვილეს ქალაქში აღრიცხავს, თბილისში ინფლაციამ შარშან 6,3, გორში – 10, ბათუმში – 10,8, ქუთაისში – 14,6, თელავში კი – 12,7 პროცენტი შეადგინა. თუმცა აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ფასების რეალურ ზრდას, სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალურ მონაცემებთან საერთო ნაკლებად აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს ინფლაციის ინდექსი, რომ იტყვიან, „კბილებით უჭირავს" ერთნიშნა (ანუ 10 პროცენტის) ნიშნულის ფარგლებში, რაც ჩვენი უცხოელი პარტნიორებისა და ფინანსურ-ეკონომიკური მრჩევლების, მაგალითად, ვენის გაერთიანებული ინსტიტუტის, გაეროს სტატისტიკის კომისიის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სპეციალისტების დაბეჯითებითი მოთხოვნაა.

საგულისხმოა ისიც, რომ ამჟამად ინფლაციის ინდექსი საქართველოში 311 დასახელების საქონლის მიხედვით განისაზღვრება. მართალია, ახლა ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ ეს ნუსხა 280 დასახელების საქონლამდე შემცირდეს, მაგრამ, ბევრი სპეციალისტი მაინც ეჭვობს, რომ რეალური ინფლაციის დონის დადგენაზე ეს ღონისძიება არცთუ დიდად იმოქმედებს, ვინაიდან სიაში, სავარაუდოდ, მაინც მრავლად დარჩება ისეთი კატეგორიის საქონელი, რომელიც ინფლაციის დონეზე ზეგავლენას ნაკლებად ახდენს (მაგალითად, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ძვირფასი ტანსაცმელი, პარფიუმერია და ა.შ.).

ამასთან, გასათვალისწინებელია თავად ინფლაციის დონის გამოთვლის მექანიზმი. სტატისტიკის დეპარტამენტი სამომხმარებლო კალათის ინდექსს (რომელიც თბილისში 51 სახეობის პროდუქტს მოიცავს) ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვამდე პერიოდში იღებს. ამ შემთხვევაში, ინფლაციის ინდექსის დადგენისას მასში არ აისახება, ვთქვათ, ფასების ძალიან მნიშვნელოვანი ზრდა, მაგალითად, ახალი წლის წინა დღეებში. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ წლის მიწურულს უმთავრესად კვების პროდუქტებზე ფასების მომატება ინფლაციის წლიურ მაჩვენებელში, ფაქტობრივად, არ აისახება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინფლაციის დონის გაანგარიშებისას ადრე სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასების ცვალებადობისას მხედველობაში არ იღებდნენ სეზონურ ფაქტორს, რაც რეალურ სურათს ბუნდოვანს ხდიდა. ახლა ფასების ცვალებადობა ე.წ. იმპუტაციის მეთოდით ხდება, რაც რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოების საშუალებას იძლევა.

ვიდრე წერილის რეზიუმეს მოგახსენებდეთ, მინდა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის რამდენიმე ბოლო მონაცემი შემოგთავაზოთ. აღნიშნული სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2006 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა საცხოვრებელ სახლებზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე, გაზსა და სათბობის სხვა სახეობებზე. მთლიანად კი აღნიშნულ სეგმენტში ფასების ზრდამ 22 პროცენტს გადააჭარბა. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები – 16 პროცენტით, დაახლოებით 8 პროცენტით მეტს ვიხდით ახლა კაფეებსა და რესტორნებში. ამავე დროს 10-16 პროცენტის ფარგლებში შემცირდა მხოლოდ ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის ფასი.

ბოლოს თქვენი ყურადღება, პატივცემულო მკითხველო, ერთ, ჩემი აზრით, მეტად საგულისხმო მომენტზე მინდა შევაჩერო. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ქვეყანაში ინფლაციის დონე, უწინარესად, ეკონომიკური განვითარების ტემპზე, მრეწველობის ინტენსიფიკაციაზე, ზოგიერთ სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ საქართველოში, როგორც აგრარულ ქვეყანაში, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი, თითქოსდა „არაეკონომიკური" ფაქტორი. მხედველობაში მაქვს, უპირველესად, მონოპოლისტობის ფაქტორი, რომელიც მკვეთრად ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ფასებზე და, შესაბამისად, ჩვენი „ქისების გამოფხეკას" უწყობს ხელს. ბევრ სფეროში (ვთქვათ, საჰაერო ტრანსპორტში) ჩვენ მონოპოლისტებთან გვიწევს საქმის დაჭერა, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. თუმცა ეს, ალბათ, იმდენად მტკივნეული მომენტი არ გახლავთ, როგორც ის, რომ ახლა ბაზარში, ფაქტობრივად, ვერ ნახავთ გლეხს, თავისი შრომით მოყვანილ პროდუქციას რომ ყიდდეს – ასეთ ხალხს ბაზრის გზას ათასი ჯურის ქორვაჭარი, გადამყიდველი ულობავს, ნაჯაფარს სავაჭრო დახლამდე მიტანამდე ლამის ძალითართმევს (ამის მომსწრე, დარწმუნებული ვარ, მრავალი ჩვენგანი ყოფილა), მართალია, ფულს კი უხდის, მაგრამ საქონელს შემდგომ მამასისხლად ჰყიდის.

ამ სენის განკურნება, პირველ რიგში, სამართალდამცველთა, ბაზრების ადმინისტრაციის საქმეა. თუ საქმეს თავს დაადგამენ და ყაჩაღანებს ალაგმავენ, იქნებ გლეხმაც უფრო თავისუფლად ამოისუნთქოს და ქალაქში მაცხოვრებლებსაც გვეშველოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

**ინფორმაცია თემაში**

**თავისუფალ ენციკლოპედია „ვიკიპედიაში" აღნიშნულია, რომ „ინფლაცია – ესაა ფულის გაუფასურების პროცესი, რომელიც სხვადასხვა მიზეზით შეიძლება ხდებოდეს. პირველ ყოვლისა, მოცემულ ეკონომიკურ სისტემაში არსებული საქონლის საერთო მოცულობა შეიძლება ფულად მასაზე უფრო ნელი ტემპით იზრდებოდეს, ანდა, სულაც, მცირდებოდეს – ამ შემთხვევაში საქონლის ფასი იზრდება, ფულის ღირებულება კი მცირდება. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ... სისტემაში ფულის მიმოქცევის სისწრაფის ზრდასთან ერთად მათი ღირებულება იკლებს... ინფლაციის დონე ჩვეულებრივ, მატულობს რამდენიმე პროცენტით წლის დამლევს, როცა იზრდება როგორც დიასახლისების მიერ მოხმარებული საქონლის, ასევე კორპორაციების ხარჯის დონე.**

**ინფლაციის მაღალი დონე (წელიწადში ათ პროცენტზე მეტი) სახელმწიფოში ეკონომიკური პრობლემების არსებობაზე მიანიშნებს.**





**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მიმდინარე წლის პირველი რეიტინგი გამოაქვეყნა. ახალი მაჩვენებლებით საქართველოს ნაკრები შარშანდელთან შედარებით ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა და ახლა 327 ქულით 95-ე ადგილზეა**

**კალათბურთი**

## პირველი ტურის რეკორდები

**მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონების — მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის წლევანდელი მემორიალი თსუ-„მაქაბის“ მატჩით გაიხსნა.** უპირატესობას თავიდანვე სტუდენტი კალათბურთელები დაეუფლნენ და პირველი ტაიმი თორმეტქულიანი უპირატესობით (47:35) მოიგეს. შესვენების შემდეგ „მაქაბი“ გააქტიურდა და საფინალო სირენამდე 7 წუთით ადრე 3 ქულითაც დაწინაურდა (76:73), თუმცა მატჩში საბოლოო გარდატეხა ვერ შეიტანა და 88:98 დამარცხდა. საგულისხმოა, რომ მაქაბელმა გიორგი შერმადინმა გუნდს 54 ქულა შესძინა, სტუდენტთა მხრიდან 30 ქულით რიჩარდ მათიაშვილი იყო საუკეთესო.



„დინამოს“ და სტუ-ს დაპირისპირებაში დინამოელებმა იყოჩაღეს. ორი ათწუთიანი მონაკვეთის შემდეგ ისინი ანგარიშში სოლიდური სხვაობითაც დაწინაურდნენ — 57:38. ერთ-ერთ ეპიზოდში მოედანზე შეჭრისთვის სტუ-ს მწვრთნელი ნიკო ჩერქეზიშვილი მსაჯებმა ჯერ ტექნიკური შენიშვნით, შემდეგ კი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს, რასაც სტუდენტი კალათბურთელების გამოფხიზლება მოჰყვა. მართალია, მათ ანგარიშში სხვაობა შეამცირეს, თუმცა მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ — 74:84.

**გუშინ: ავიამშენი-თსუ 82:93.**

**ხელბურთი**

## აუტსაიდერთა დუელი

**უკვე გაუწყეთ, რომ საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ოთხი მატჩი წააგო და ფლეი ოფში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა.** ამის მიუხედავად, ეროვნული გუნდი მონდომებით ემზადება ბოლო ორი ორთაბრძოლისთვის, რომელსაც ჩვენი ბიჭები შინ და გარეთ ასევე მაჩანჩალა ბულგარელებთან გამართავენ.



დღეს ოხის ნახევარზე თბილისის სპორტის სასახლეში ვუმასპინძლებთ მეტოქეს, 21 იანვარს კი განმეორებითი პაექრობა სოფიაში გაიმართება. ამავე დღეს შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში ითამაშებენ რუმინეთი და ლატვია, რომლებმაც ფლეი ოფის საგზურები უკვე მოიპოვეს. მათი პირველი დაპირისპირება რიგაში კარპატელთა გამარჯვებით დამთავრდა 30:26.

1 იანვრისთვის გათამაშების ცხრილი ასეთია:

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 5 | 0 | 162:122 | 10 |
| ლატვია | 5 | 4 | 1 | 156:126 | 8 |
| ბულგარეთი | 4 | 0 | 4 | 95:128 | 0 |
| საქართველო | 4 | 0 | 4 | 97:134 | 0 |

**სუმო**

## „შავი ზღვა“ გამოფხიზლდა



**ტოკიოში დასასრულს უახლოვდება სუმოისტთა იანვრის ბაშო. უარყოფითი ბალანსისა და წოდებრივად ჩამოქვეითების საფრთხემ ლევან ცაგურია (იგივე „კოკაი“ — „შავი ზღვა“) გამოაფხიზლა. მან ზედიზედ სამი გამარჯვება მოიპოვა. მე-11 ტურში ივაკიამას სძლია.**

ბაშოს კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს იოკოძუნა ასაშორიუ, რომელსაც 10 მოგება და 1 წაგება აქვს.

**ფეხბურთი**

## ტოპმიოლერის რჩეულნი



**საქართველოს 19-წლამდელ ფეხბურთელთა ნაკრები წლევანდელი მნიშვნელოვანი შეჯიბრებებისთვის მზადებას აქედანვე იწყებს. ორიოდე დღეში ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდები ტრაბზონს გაემგზავრებიან და თურქეთის ეროვნული ნაკრების ბაზაზე დაბანაკდებიან. მზადების პროცესში დაგეგმილია ორი ამხანაგური შეხვედრა, სავარაუდოდ, „ტრაბზონსპორის“ ახალგაზრდულ გუნდთან და რეგიონის ნაკრებთან.**

მწვრთნელებმა შეკრებაზე 20 ფეხბურთელი გამოიძახეს. ესენი არიან: **მეკარეები.** რევაზ თევდორაძე და როინ კვასხვაძე; **მცველები.** დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, გულვერდ თომაშვილი, ვახტან ქვრივიშვილი, ლაშა თოთაძე, ამირან სანაია; **ნახევარმცველები.** მირზა ბჟალავა, ალექსი ბენაშვილი, გიორგი გაწუგრავა, მურთაზ დაუშვილი, გიორგი ხიდეშელი, ლევან ყენია, დავით თარგამაძე, გიორგი ნიკოლაიშვილი; **თავდამსხმელები.** რატი წინამძღვრიშვილი, ბექა გოცირიძე და ლევან მჭედლიძე.

**ფიფას რეიტინგი**

## ერთი საფეხურით ჩამოვქვეითდით




**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მიმდინარე წლის პირველი რეიტინგი გამოაქვეყნა. ახალი მაჩვენებლებით საქართველოს ნაკრები შარშანდელთან შედარებით ერთი საფეხურით ჩამოქვეითდა და ახლა 327 ქულით 95-ე ადგილზეა.** რეიტინგის სათავეში კვლავ ბრაზილიის ნაკრები დგას 1588 ქულით. მას 28 ქულით ჩამორჩება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენი მეტოქე იტალია. 1551 ქულით მესამე საფეხური არგენტინას უკავია. ფრანგებმა (1523) მეოთხე პოზიცია შეინარჩუნეს, გერმანელებმა კი ერთი საფეხურით წინ წაიწიეს და 1363 ქულით მეხუთე ადგილზე დამკვიდრდნენ.

**ზამთრის უნივერსიადა**

## ბაკურიანელები — ტურინში



**გუშინ იტალიის საკურორტო ქალაქ ტურინის ოლიმპიურ ბაზაზე სტარტი აიღო სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადამ სპორტის ზამთრის სახეობებში, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.** საქართველოდან უნივერსიადაზე სასპარეზოდ ბაკურიანელი სამთო მოთხილამურე მანანა წერეთელი და გიორგი თედიაშვილი გაემგზავრნენ. ისინი სწრაფდაშვებასა და სპეციალურ სლალომში იასპარეზებენ.

**ჭადრაკი**

## დღეს ბოლო ტურია

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დღეს დამთავრდება საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 10-10 საუკეთესო მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლებას მოიპოვებს.**

გოგონებში ერთპიროვნულმა ლიდერმა ქეთი წაწალაშვილმა შავი ფიგურებით სძლია მარიამ ბაიაძეს და 7,5 ქულით კვლავაც პირველია. 9 წლის თეკლა მაჭარაშვილმა ასევე შავი ფიგურებით დაამარცხა ანა ბუცხრიკიძე. მსგავს წარმატებას მიაღწია ლალი ბიბილაშვილმა რუსუდან ჭკუასელთან შეხვედრისას.

8 ტურის შემდეგ 6,5 ქულით მეორე ადგილზეა ბიბილაშვილი. 5,5-5,5 ქულით III-V ადგილებს ალა ჩაიკოვსკაია, მაჭარაშვილი და ბუცხრიკიძე ინაწილებენ.

ვაჟებში თამაზ მგელაძისა და გაიოზ ნიგალიძის პარტია ყაიმით დამთავრდა. ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგები ასეთია: ზვიად ფაცია — მიხეილ ჭიპაშვილი 0:1, ვახტანგ თევდორაშვილი — გიორგი ხელაია 0,5:0,5, ვანო მინდორაშვილი — დავით ლომსაძე 0:1, პარმენ გელაზონია — ალექსი ტერ-კარაპეტიანი 1:0, ანა გავაშელი — დავით ურუშაძე 0,5:0,5.

7 ქულით ნიგალიძე ლიდერობს; 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ჭიპაშვილი და მგელაძე იყოფენ. 6 ქულა ოთხ მოჭადრაკეს აქვს.

დღეს ბოლო ტურია.

**ორბიტაზე**

## ლიდერი წინ მიიწევს

**კიდევ ერთი, მესამე გამარჯვება მოიპოვა ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირზე მისმა ლიდერმა, აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა დიდოსტატმა თეიმურ რაჯაბოვმა. მან**



**მეოთხე ტურში კიდევ ერთი მასპინძელთაგანი სერგეი ტივიაკოვი 75-ე სვლაზე დაამარცხა და 3,5 ქულით უფრო განიმტკიცა ლიდერობა.**

ალექსი შიროვთან გამარჯვებას მიაღწია ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა და 3 ქულით მეორე ადგილზეა.

ყაიმით დაამთავრეს პარტიები კრამნიკმა ნავარასთან, სვიდლერმა — პონომარიოვთან, მოტილევმა — არონიანთან, კარლსენმა — ანანდთან, ვან ველმა — კარიაკინთან.

4 ტურის შემდეგ კრამნიკს, სვიდლერს, ანანდს, არონიანსა და ნავარას 2,5-2,5 ქულა აქვთ, კარიაკინსა და პონომარიოვს - 2-2, მოტილევს - 1,5, კარლსენს, ვან ველისა და ტივიაკოვს - 1-1, შიროვს - 0,5.

## თანამგზავრის ჩრდილში

**მართალია, ჩოგბურთში ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე 28 წლის გერმანელი ტომი ჰაასი ფავორიტად არ ითვლება, მაგრამ მაინც საყოველთაო ყურადღების ცენტრშია, საკუთარი სპორტული წარმატებებისთვის კი არა, არამედ მისი თანამგზავრის — ცნობილი ჩრდილოამერიკელი მსახიობი ქალის სარა ფოსტერის გამო.**

25 წლის სარა, ჰოლივუდში გაბრწყინებამდე, ფოტომოდელი იყო. ცნობილი კანადელი კომპოზიტორის დევიდ ფოსტერის „გრემის“ 14 ქანდაკების მფლობელის ქალიშვილმა სახელი გაითქვა ფილმებში „დიდი ქურდობა“ და „ჯაშუში ქალები“ მონაწილეობით. ჰოლივუდში მას იცნობენ როგორც ნამდვილი ვარსკვლავის კეით ჰადსონის საუკეთესო დობილს.

ტომმა და სარამ ერთმანეთი შარშან ოქტომბერში გაიცნეს, ახლა კი პრაქტიკულად განუყრელნი არიან. ჰაასმა დეკემბრის შვებულება ლოს-ანჯელესში გაატარა, რომლის გარეუბანში სარას ვილაა. ახლა სარა მელბურნში ჩავიდა, რათა ტომს უქომაგოს.




№ 11. პარასკევი, 19 იანვარი, 2007 წელი.


**დაჯილდოება**

## გარჯა დაუფასეს



**გოჩა გურულიშვილის სახელობის გარდაბნის 63-ე საჯარო საფეხბურთო სკოლაში (დირექტორი გივი გურულიშვილი) 400-ზე მეტი მოზარდი ეუფლება ტყავის ბურთის საიდუმლოებას. რაიონის 9 დასახლებულ პუნქტში სკოლის 27 ჯგუფი მუშაობს. ახალგაზრდა ფეხბურთელები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირში.**

ამას წინათ სკოლამ 2006 წლის შედეგები შეაჯამა. საუკეთესო მწვრთნელები — გიორგი ბუაძე, ამირან ბებია, ირაკლი მეშველიანი, ელიზბარ ელიზბარაშვილი, ბორის ისმაილოვი და საუკეთესო ფეხბურთელები — გიორგი ხახვიაშვილი, დავით არჩვაძე, გივი ჩაჩანიძე, გიორგი რეხვიაშვილი, კახა და შმაგი ელიზბარაშვილები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**სურათზე: გივი გურულიშვილი შმაგი ელიზბარაშვილს აჯილდოებს.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

# ჯანმრთელობა

**აშშ-ში ჯანმრთელობასა და პენსიებს ლამის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს ახმარენ და მაინც ეს ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა გულის დაავადებებით. საერთოდ, გულის დაავადებები ხშირია ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში. სამწუხაროდ, საქართველოშიც მაღალი პროცენტები მოდის გულის იშემიურ დაავადებებსა და ინსულტებზე**



აკადემია

# ვილაპარაკოთ კარდიოლოგიაზე



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის ბოლო გაფართოებული სხდომის გახსნისას აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ იმ გარემოებას გაუსვა ხაზი, რომ აკადემიაში სისტემატურად ტარდება ასეთი ფორუმები, სადაც მოხსენებებსა და ანგარიშებს ვისმენთ ქვეყნის ცხოვრებასთან, ჩვენს მეცნიერებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემის გარშემო.**

მაგალითად, მოხსენება ბუნებრივი კატასტროფების შესახებ, საქართველოში მომხდარი მიწისძვრებისა და წყალდიდობების თაობაზე; შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც გაეგზავნა სათანადო კომპეტენტურ ორგანოებს, მთავრობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ილუსტრაცია – ჩვენს ქვეყანაში სასმელი წყლის რესურსებისა და ეკონომიკური განვითარებისათვის ბუნებრივი სიმდიდრის გამოსაყენებლად აუცილებელი ღონისძიებებისადმი მიძღვნილი მოხსენება. თამაზ გამყრელიძის შეტყობინებით, ქვეყნის პრეზიდენტს უკვე გაუცია სათანადო განკარგულება, შესაბამისი ორგანოებისათვის მიუთითებია წარდგენილი პროექტის განსახორციელებლად გადაწყვეტილებათა პრაქტიკული ზომების მიღების შესახებ.

თავმჯდომარე სიტყვას მოხსენებისათვის „კარდიოლოგია–წარსული, აწმყო და მომავალი" აძლევს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ნიკოლოზ ყიფშიძეს, აგრეთვე სთხოვს, რომ „დამატებით" ჩვენი სამედიცინო ცენტრის შესახებაც ისაუბროს.

შევნიშნავთ, რომ მომხსენებელი გახლავთ მკურნალ ყიფშიძეთა ბრწყინვალე დინასტიის მესამე წარმომადგენელი („ღერძი" ნიკოლოზი-ნოდარი-ნიკოლოზიძ, რომელიც წლების მანძილზე აშშ-ში მუშაობდა და ამითაც ჰქონდა შესაძლებლობა გამოსვლაში კარდიოლოგიის თანამედროვე დონის გადმოცემისა.

თავიდანვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ პროფესორ ნიკოლოზ ყიფშიძის მოხსენება, სლაიდებით გათვალისწინებული, ვრცელი, ტევადი და ღრმაშინაარსიანი, ცხოველი ინტერესის საგნად იქცა როგორც პრეზიდიუმის წევრთა, ისე „გაფართოებულ" დამსწრეთა მხრიდან. დასანანია, რომ მკითხველისათვის ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ამონარიდის მიწოდება შეგვიძლია.

– აშშ-ში ჯანმრთელობასა და პენსიებს ლამის ბიუჯეტის ნახევარზე მეტს ახმარენ და მაინც ეს ქვეყანა მსოფლიოში პირველ ადგილზეა გულის დაავადებებით. საერთოდ, გულის დაავადებები ხშირია ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში. სამწუხაროდ, საქართველოშიც მაღალი პროცენტები მოდის გულის იშემიურ დაავადებებსა და ინსულტებზე.

აგერ დაავადება, როდესაც ხდება კორონალური სისხლძარღვების დახშობა. ეს დასაწყისი პროცესია, რამდენიმე ათწლეულს, ეგრეთ წოდებულ „ექვს ფაზას" გასდევს. კორონალური ფოლაქის დაავადება ადრეული ასაკიდან, ასე 8 წლიდან იწყება, გრძელდება და ბოლოს მთავრდება კორონალური არტერიის ობსტრუქციით. სანამ ავადმყოფი საოპერაციოდ ან კარდიოლოგთან სამკურნალოდ მივა, საჭიროა ავადმყოფობის პრევენცია – დიეტა, ფიზიკური დატვირთვა, ჯანსაღი ცხოვრება. მკურნალობა წარმოუდგენელია, თუ კაცს ამის გაკეთება არ უნდა...

1996 წელს ამერიკელმა სმითმა მიოკარდიუმის ინფარქტით დასნეულებულთა პათანატომია შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ ინფარქტი ჩნდება იმ არტერიებში, რომელთა მოცულობა ნაკლებია და ნაკლებადვე ახშობს სისხლის ბინდს. არასტაბილური ფოლაქი რომ სტაბილურში გადავიდეს და მიოკარდიუმის ინფარქტის კატასტროფა არ გამოიწვიოს, ამისათვის სტატინების თერაპიას უნდა მივმართოთ, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებულს. სტატინებით მკურნალობისას სიკვდილიანობა 26 პროცენტით მცირდება, რაც ძალიან კარგი შედეგია. ავადმყოფები ხშირად გვეკითხებიან, თუ რომელი წამალი მივიღოთ. სტატინებს შორისაც არის განსხვავება და ყველაზე ეფექტიანი დღესდღეობით გახლავთ ლიპიდორი, ლიპიმარი. ამჟამად გამოირკვა, რომ ახალი წამალიც გამოჩნდა – „ზეტია", რომელიც საქართველოში ჯერ არც რეგისტრირებულია და არც იყიდება. მისი გამოყენება შეიძლება სტატიან ლიპიმართან ერთად, რაც არაჩვეულებრივ ეფექტს იძლევა. უკვე ვილაპარაკეთ ჯანდაცვის სამინისტროში, რომ მალე მიიღონ წამალი „ზეტია" და ჩვენმა მოსახლეობამ დროული თერაპია ჩაიტაროს.

ძალიან გავოცდი, როცა საქართველოში ჩამოსულმა ვნახე, რომ წამლებს ისეთივე ფასი აქვს, როგორც აშშ-ში. მე ხომ ვიცი: ევროპაში, აზიასა და ჩინეთში ეს წამლები გაცილებით იაფი ღირს. გამოვიძიეთ და მივხვდით, რომ პრეპარატების ნახევარზე მეტი მოდის რუსეთიდან, იმიტომ, რომ კარდიოწამლების გამომშვები ამერიკული კომპანიები საქართველოზე პირდაპირ არ გამოდიან, მოსკოვში აქვთ წარმომადგენლობა, სადაც უმატებენ ფასს და ჩვენთან ბევრად ძვირად ყიდიან. ამის შესახებაც მქონდა მთავრობაში საუბარი – გვინდა, რომ ყველა ფარმაცევტული თუ სხვა კომპანიები პირდაპირ უკავშირდებოდნენ საქართველოს...

სადღეისოდ სტატინებით მკურნალობა ამერიკაში ჩვეულებრივი ამბავია – 60 წლის ზემოთ ყველა ღებულობს. იმათ, ვისაც სისხლში ქოლესტერინი ცოტათი მაინც აქვს მომატებული, აშშ-ში სტატინებს ვაძლევთ და ეფექტიც ერთობ მაღალია; ოღონდ რა ვქნათ, როცა ათეროფოლაქი ისე გაიზრდება და დაავიწროებს სისხლის მილს, რომ სისხლი ვეღარ გაივლის – აქ იწყება სტენოკარდია. ჰოდა, კარდიოლოგებს გულის ქირურგებმა დაასწრეს და დაახლოებით 1967 წელს დოქტორმა პიოსოვმა პირველად გააკეთა შუნტირების ოპერაცია.

ეს ძალიან რთული ოპერაცია გახლავთ, მიდის დიდი ხანი, ითიშება გული, ფილტვები, ყველაფერი; ერთობ ძნელია მდგომარეობიდან ავადმყოფის გამოსვლა და მძიმეა რეაბილიტაცია. ყველაფერი შეიცვალა სამი დოქტორის წყალობით, რომლებმაც ჯერ კიდევ 1960-იან წლებში დაიწყეს მუშაობა და შემდგომ კათეტერულ თერაპიას ჩაუყარეს საფუძველი. ამ პროცესის შესწავლას დიდი დრო დასჭირდა, სანამ ასპარეზზე გამოჩნდებოდა გერმანელი პროფესორი რუცენი. 1977-ში მან შეასრულა პირველი კათეტერულ-კორონარული ანგიოპლასტია.

შეხედეთ სლაიდს – თქვენ ამჩნევთ შევიწროებას, კორონარული სისხლი მიდის, შეჰყავთ ბალონიანი კათეტერი, ბერავენ სითხით ბალონს და იხსნება შევიწროება... ოპერაცია, როგორც გითხარით, შედგა 1977 წელს, ავადმყოფი დღესაც ცოცხალია და საქმიანობას განაგრძობს...

აი ასე, „სლაიდ-სლაიდ" განაგრძო მომხსენებელმა თავისი დაწვრილებითი და მრავლისმომცველი „კარდიოლოგიური საგა", ილაპარაკა სტენტებსა და სტენტირებაზე, ნანო-ტექნოლოგიებსა და ნანო-მედიცინაზე, კომპიუტერულ ტომოგრაფიაზე (სათანადო კომპიუტერი პირველს ფრიდონ თოდუას შემოუტანია საქართველოში 1991 წელსძ, ფოლაქების ულტრაბგერით გაცივებაზე, ინსულტების პრევენციაზე... შენიშნა, რომ საქართველოში ქვემო კიდურების ათეროსკლეროზის დიდი ეპიდემიაა და ეს იმიტომ, რომ სიგარეტს ბევრი ეწევა და ბევრს ეწევა, რომ ფიზიკურად არაა დატვირთული, რომ დიდია დიაბეტიკების რიცხვი...

აღინიშნა ისიც, რომ დიაგნოსტიკა დღეს საქართველოში ძალიან მაღალ დონეზეა და პირველ რიგში ეს არის ფრიდონ თოდუასა და მინისტრის ლადო ჭიპაშვილის დიდი დამსახურება. მინისტრმა მიაღწია იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში თითქმის ყველა ქალაქში არსებობს კომპიუტერული ტომოგრაფია...

კარდიოლოგიაში ერთობ საინტერესო მეთოდები ყოფილა ახალი ანგიონეზი, დიდი მომავლის მქონე ეგრეთ წოდებული „უჯრედული თერაპია", მიოპლასტიკა, კათეტერით შუნტირება...

რაც შეეხება სხდომის წამყვანის დაკვეთას – ჩვენს სამედიცინო ცენტრთან დაკავშირებულ მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზეც გვიამბეთო, ნიკოლოზ ყიფშიძეს ესეც „დასლაიდებული" ჰქონდა.

– აი ჩვენი საავადმყოფო, ძალიან ლამაზი შენობაა, ექსპლოატაციაში ორ ფაზად შევა. ჯერ გაიხსნება ორსართულიანი შენობა, სადაც განთავსდებიან სრულიად თანამედროვე კრიტიკული მედიცინის განყოფილება, ერთობ ძვირადღირებული, აგრეთვე ამბულატორია და დიაგნოსტიკური ნაწილი – იქ ყოველნაირ ავადმყოფს მივიღებთ. იქნება ჩინებულად აღჭურვილი საოპერაციოები, ისეთლოგინებიანი საწოლები, რომლებზეც ნაწოლები არ გაჩნდება. ვიმედოვნებთ, რომ კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტი შუა თებერვალში მაინც გაიხსნება. შემდეგ მოყვება ტრავმის ცენტრი, ინსულტის ცენტრი, ტოქსიკოლოგიის ცენტრი (აუცილებელი საქართველოში, სადაც ამდენია ნარკოტიკით, ალკოჰოლით, საკვებით მოწამლულიძ, კლინიკური მედიცინის ცენტრი, უცხოეთის სამედიცინო განათლების სამსახური... ამავე შენობაში გაჩნდება კიდევ ერთი განყოფილება – კარდიოთერაპიისა.

**დიდ იმედებს ვამყარებთ ტელემედიცინაზე. უბრალო თქმით, ეს არის კომპიუტერული სურათი, ან ანგიოგრაფიული სურათი, ან რენტგენის სურათი, ან ელექტროკარდიოგრამა. როცა გავარკვევთ, თუ რაშია საქმე, იმ წუთშივე გაიგზავნება აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, ან სხვაგან. იქვე წაიკითხავენ და გვეტყვიან, რა და როგორ გავაკეთოთ...**

**თამაზ ებანოიძე**

ცხრა მთას იქით

# პრინცესა დიანა შემთხვევით დაიღუპა



**გასული წლის ბოლოს, ლონდონში, პრინცესა დიანას დაღუპვის გამოძიების სკოტლანდ-იარდის სპეციალური ჯგუფის მეთაურმა, ლორდმა სტივენსმა თავისი დეტექტივთა ბრიგადის სამწლიანი შრომის შედეგები წარმოადგინა.**

800-ზე მეტი გვერდის შემცველ მოხსენებაში ყველაფერია ასახული: სპეცსამსახურთა შესაძლო თანაზიარობა პარიზის გვირაბში მომხდარ ავარიაში, კატასტროფის ადგილას „სასწრაფო დახმარების" თანამშრომელთა არაპროფესიული ქმედებები, იმ ავტომობილ „მერსედესის" ტექნიკური თავისებურებები, რომელშიც დაილეწნენ დიანა და მისი მეგობარი, ეგვიპტელი მილიარდერი დოდი ალ-ფაიედი.

ავარია, მოხსენების თანახმად, „მერსედესის" მძღოლის ანრი პოლის მიზეზით მოხდა. მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა ორჯერ აღემატებოდა საფრანგეთში მიღებულ ნორმას, ავტომანქანას კი ის გაცილებით სწრაფად მიაქანებდა, ვიდრე ეს დაშვებულია გზის იმ უბანზე. შედეგად „მერსედესი" თანამგზავრ თეთრ „ფიატს" წამოედო, მართვა დაკარგა და გვირაბის ბეტონის საბჯენს შეასკდა.

მოხსენების ავტორთა აზრით, პრინცესასა და მის



კავალერს ჰქონდათ გადარჩენის შანსი, თუკი უსაფრთხოების ღვედებით იქნებოდნენ შემორტყმულნი.

ამრიგად, ლედი დის დაღუპვის საქმეს წერტილი დაესვა – პრინცესა საბედისწერო შემთხვევითობას ემსხვერპლა. სპეცსამსახურები, ბრიტანეთის სამეფო კარი თუ პაპარაცები აქ არაფერ შუაშია.

დიანას ვაჟიშვილებს მოხსენება გამომზეურებამდე ერთი დღით ადრე გააცნეს, თუმცა მათ რეაგირებაზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“ აცხადებს აუქციონს

უტილიზაციის შედეგად მიღებულ იქნა ნაკეთობები დაუმუშავებელი ჯართის სახით შემდეგი ლითონების შემცველობით: **შავი ლითონი, თითბერი;**

ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდა ერთ ლოტად:

| ლოტის # | საქონლის დასახელება | წონა, კგ | რაოდენობა, ც | საწყისი ღირებულება ლარი | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|
| | ნაკეთობები დაუმუშავებელი ჯართის სახით | 127164,9 | 25933 | 183000 | 300 |

გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი **„დელტა“**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის“ ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას“ მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია, დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა **2007 წლის 22 იანვრიდან 2007 წლის 20 აპრილის ჩათვლით, 12 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

აუქციორნი გაიმართება **2006 წლის 7 აპრილს 14 საათზე**, მისამართზე: **ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №1.**

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— დამამტკიცებელი ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

— ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

— იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:**

**ტელ:** 95-28-28.

**მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

## ხსოვნა

### მზევინარ გამახარია



**ავთანდილ ჯორბენაძე და ამირან გამყრელიძე გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას ქალბატონ მზევინარ გამახარიას ტრაგიკულად დაღუპვის გამო და გულითადად ვუსამძიმრებთ მის ნათესავებს, ახლობლებს, უამრავ პაციენტსა და აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას გამახარიებისა და ფარცვანიების ოჯახში დატრიალებული უმძიმესი ტრაგედიის გამო.**

ქალბატონი მზევინარი იყო საქართველოს სამედიცინო საზოგადოების გამორჩეული წევრი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის და განსაკუთრებით სამეგრელოს რეგიონში განთავსებული დევნილების და გალის რაიონში მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის საქმეში.

განუზომელია მისი ღვაწლი როგორც საომარი მოქმედებების (1992-1993 წლებიძ და ცნობილი გალის მოვლენების (1998 წ.ძ პერიოდში ქართველი და აფხაზი მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში, ისე საერთოდ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების პროცესში. კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ქალბატონი მზევინარი განსაკუთრებით ზრუნავდა გალის რაიონის სამედიცინო დაწესებულების რეაბილიტაციისა და სამედიცინო დახმარების გაუმჯობესებაზე.

ქალბატონი მზევინარი იყო მაღალპროფესიონალი ექიმი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, განსაკუთრებული პიროვნული ხიბლისა და ღირსების ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო რთულ სიტუაციებშიც კი, მხოლოდ და მხოლოდ, მოლაპარაკებების, ურთიერთშეთანხმების გზით ცდილობდა საკითხების გადაწყვეტას და რაოდენ დასანანია, რომ ასეთი ადამიანი ველარ შეიტანს თავის არსებით წვლილს ჩვენთვის ყველასათვის უმთავრეს საქმეში, რასაც აფხაზეთში დაბრუნება ჰქვია.

კიდევ ერთხელ გვსურს, დიდი მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ ჩვენი მზევინარის ნათელი პიროვნების ხსოვნის წინაშე მისი თავდაუზოგავი შრომისთვის, ერთგულებისთვის, სამშობლოს სიყვარულისთვის და დარწმუნებული ვართ, რომ მისი სახელი სათანადო ადგილს დაიმკვიდრებს თანამედროვე საქართველოს მედიცინის ისტორიაში.

საქმე №2-100

# განჩინება

**საქართველოს სახელით რუსთავის საქალაქო სასამართლო**

17 იანვარი 2006 წელი ქ. რუსთავი

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატა თედეშვილმა განიხილა ს/ს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი დამატებითი სხდომის და კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი.**

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი დამატებითი სხდომა მოწვეული იქნეს 2007 წლის 26 იანვარს 10.00 საათისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №3. დღის წესრიგად განისაზღვროს: კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმება და გაკოტრების მმართველის საბოლოო ანგარიშის მოსმენა.

2. საბოლოო ცხრილის განსახილველად კრედიტორთა უკანასკნელი კრება მოწვეული იქნას 2007 წლის 31 იანვარს 10 საათისთვის რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №3. დღის წესრიგად განისაზღვროს: საბოლოო ცხრილის განხილვა და მასში ცვლილებისა ან დამატების შეტანა.

3. განჩინების მხოლოდ შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს დაფაზე, საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში. სასამართლოს გარდა განჩინების გამოქვეყნების უზრუნველყოფა განხორციელდეს გაკოტრების მმართველის მალხაზ ალბორაშვილის მიერ.

4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა რუსთავის საქალაქო სასამართლოში 12 დღის ვადაში. ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქ. №3.

**მოსამართლე ნ. თედეშვილი**

**2007 წლის 20 თებერვალს დანიშნულია სს „ავტოშემკეთებელი 2“-ის აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისში: მარჯანიშვილის ქ.№5, გამომცემლობა „საქართველო“, მე-2 სართული, ოთახი 26, დღის 12 საათზე.**

**დღის წესრიგი:**

1. სააქციო საზოგადოების 2006 წლის წლიური ბალანსის განხილვა.
2. სხვადასხვა.

**სს „ავტოშემკეთებელი 2“-ის ადმინისტრაცია**

# განცხადება

**შპს „ელექსირი“, რომელიც რეგისტრირებულია 28.X.1995, სარეგისტრაციო №276 ვაკის რ-ნის სასამართლოში, აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ვ. ფშაველას V კვარტალი, III კორპუსი, ბინა 15, ტელ: 899 50-65-07.**

◎ ელამი სარკე

# მჩატე თავთავი

**ჩემი პერსონაჟები, რომლებზეც უნდა გიამბოთ, მდინარე სუფსასთან, ფერდობზე შეფენილ ერთ მერცხალა სოფელში ბუდობენ. ამ შუაგულ ზამთარში სხვა რა უნდა აკეთონ, სხედან ბუხართან, წრუპავენ ადესას, ყვებიან იმ მთისას და ამ მთისას და სათქმელი რომ შემოელევათ, მთავრობასაც მიადგებიან.**

— შალიკია, თუ კაცი ხარ, არ დამიმალო, დილაობით ამ მთავრობას შენც აგინებ?

— არა, მე მხოლოდ საღამოობით ვაგინებ.

— კაი ერთი, არ გეხუმრები.

— არც მე გეხუმრები, მარა გამაგებინე, რეიზა უნდა ვაგინოთ?

— იმიზა, რომ ცხოვრება წელში ვერ გამართეს.

— ვინ გითხრა, რო ვერ გამართეს, ყოფილხარ, ძამა, იმათ სახლებში?

— იმათში არა, მარა ჩვენ სახლებში ხომ ვიყურებით?

— რავა, საკუთარი სახლი არ მოგწონს თუ?

— არა.

— დაანგრიე მაშინ და სხვა ეიშენე, აგერა ვარ მე და მოგეხმარები.

— კაი ჩიტი ხარ შენ, ვინც არ გიცნობს, შალიკია, — ულვაში გადაიგრიხა ვალიკომ.

— აბა, რას გედეეკიდე ამ ხალხს, გამოთქმა „მთავრობა“ იცი კი მაინც სიდან წარმეიშვა?

— სიდან?

— სიდან და სიტყვა „თავი“-დან. ისინი იმიტომ სხედან იმ ადგილზე, რომ საკუთარ თავს უპატრონონ.

— აბა, ჩვენ რეიზა ვირჩევთ?

— სწორედ მაგიზა, რომ საკუთარი ცხოვრება მოიწყონ.

— არ გეღემრიო!

— აპა, ასეა ეს. თავი აბიათ და ცხოვრობენ. ჩვენც რო გვებას თავები, აქ კი არ ვისხდებოდით.

— რა თავები აბიათ მაგათ, ქე ვიცი. ყოლიფერი გაყიდეს და ახლა იმერეთში რო გვირაბია, იმასაც მიადგნენ.

— მერე რა გინდა, გვირაბიდან რო კაცი ფულს გააკეთებს, იმას რავა შევაგინებ. ამის მოფიქრებას, ბიძია, თავი არ უნდოდა?

— აპა, მაგის ფიქრში თავები სულ მეზურნის ყბებივით დაებერათ. ფულის კეთების ახალი ფანდია და მეტი არაფერი. სახელმწიფო მოხელეები ქე გეისქელებენ ჯიბეს, მარა აბა ახლა ავტომფლობელებს ჰკითხე?



— სწორედ მაგათ გულობისა ჰყიდიან, ძამა გვირაბს. ახლა როა გამურულ-გამჭვარტლული, მასე კი აღარ იქნება — ევროპულად გამოაწყობენ, გააჩირაღდნებენ, თუ დრო მორჩათ, შადრევნებსაც აარჩუხჩუხებენ.

— სა, კაცო, გვირაბში?

— აპაა, ეგ კი არა, შიგ კაფებარებსა და საუნებსაც გახსნიან. ნამგზავრზე ბანაობასა და ცივცივი ლუდის წრუპვას რა სჯობს!

— მერე, მანქანებს სად გააჩერებენ?

— იქვე ავტოსადგომებსაც მოაწყობენ, მაგის გაკეთებას რა უნდა, შე კაცო!

— კაი, ეს გევიგე, მარა საავადმყოფოებზე რა აზრისა ხარ?

— რავა, ახლა საავადმყოფოც მოგინდა? არა, გვირაბში საავადმყოფო არ იქნება.

— ეგ ვიცი, მარა იმიზა გეკითხები, გაყიდვა რო უნდიან.

— გაყიდონ მერე, შენ რა გენაღვლება?

— რას ქვია მენაღვლება, ავადმყოფებს ღია ცის ქვეშ ხომ არ უმკურნალებენ?

— სად ხედავ, ბოშო, ავადმყოფებს, კომუნისტების დრო ხომ არ გგონია, ადამიანები თვეობით საავადმყოფოებში რომ კოტრიალობდნენ.

— ახლა სად წევიდნენ ისინი, თუ იცი?

— გაღმა, მარილის მოსატანად. ვინც დარჩა, იმათგან ყველა მოსიარულე ავადმყოფია და დაწოლა არ სჭირდებათ. მიხთი?

— მივხთი, მივხთი, მაგრამ ექიმებს რას უშვებიან, ხომ ხედავ, გაფიცვებითა და მთავრობის დამხობით იმუქრებიან.

— მაგი რა პრობლემაა, სამთვიან კურსებზე გადაამზადებენ და ოჯახის ექიმებად გოუშვებენ.

— მარა, კაცს ოპერაცია რომ დასჭირდეს?

— ოჯახშივე გოუკეთებენ, შე კაცო. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასეა და ჩვენ რა გამონაკლისი ვართ. ნატოში გაწევრიანება თუ გვინდა, ასეთ რეფორმებზე უარი არ უნდა ვთქვათ.

— ვითომ გვირაბი და საავადმყოფოები თუ არ გავყიდეთ, ნატოში შესვლაზე უარს გვეტყვიან?

— აბა, რა გგონია, ხომ ხედავ, რუსეთი ჩასაფრებულია.

— ჰოო, ეგ ველარ გევითვალისწინე.

— სამაგიეროდ მთავრობამ გეითვალისწინა. ხომ გეუბნები, ყოლიფერ ამას თავი უნდა. რო არ ტრაბახობენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არც მუშაობენ. ხომ გაგიგია, მჩატე თავთავია ცხვირაწეული, თორემ სავსე ყოველთვის თავდახრილია.

**ოტია ჩართოლანი**

● თბილისში ცისფერი ეკრანი პირველად 1956 წლის 30 დეკემბერს აციმციმდა და მას შემდეგ ჩვენი განუყოფელი ნაწილი გახდა



◉ დღესასწაული

# ნათლისღება

## გაცხადება უფლისა ღმერთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



**19 იანვარს საქართველოს და მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესია საუფლო დღესასწაულს – ნათლისღებას ზეიმობს. შვიდ წმინდა საიდუმლოს, როგორც სოლომონისეულ შვიდ სვეტს, ემყარება უფლის ეკლესია. აქ ყოველი ქვა მაცხოვრის დადებულია, მისი მოჩუქურთმებული. რამეთუ „სიბრძნემ იშენა თავისა თვისასა სახლი“. ეს ღვთის სახლია, ამიტომ მის კედლებში ერთი ქვაც კი არ უნდა მოირყეს. ჩვენი ღირსი წინაპრები დიდი კრძალვით უფრთხილდებოდნენ ეკლესიის წმინდა საიდუმლოებებს, მის ტრადიციებს.**

საიდუმლო კი იმიტომ ჰქვია, რომ ამ დროს ლოცვანი თუმცა გაცხადებულად აღესრულება ღვთისმსახურისაგან, მაგრამ საღმრთო მადლი კაცთაგან ფარულად მოქმედებს.

შვიდი მთავარი საიდუმლოს გარდა არსებობს მცირე საიდუმლოებები, თუმცა კი ღვთის მადლით არანაკლებ ძალმოსილნი. ამგვარი არის დიდი აიაზმის წესით წყლის კურთხევა, რომელიც დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვის მეოხებით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს.

... წყალკურთხევის შემდეგ, ქრისტიანებს მისდამი განსაკუთრებული სასოება აქვთ. ყოველ დილით, როცა უფლის სისხლსა ხორცს არ ეზიარებიან, დილი აიაზმის წყალს მოსვამენ, რათა სულიერად არ მიუძლურდნენ.

ამ დღეს ნაკურთხი წყლისადმი დიდი რწმენა ჰქონდათ ძველ ქართველებსაც. ამბობდნენ, ნათლისღებას აღებული უბრალო წყალიც კი არ იხრწნებაო. მიაჩნდათ, რომ ამ დღეს ყოველი მდინარის, ნაკადულისა თუ ხევის წყალს ისეთივე მადლი ექლეოდა, იორდანეს რომ მიეცა მაცხოვრის ნათლისღებისას.

ზოგიერთ სოფელში ახლაც არის შემორჩენილი ერთი ძველი ჩვეულება: ნათლისღებას, უთენია, ხმაგაუცემლად სამჯერ აავსებენ სარწყულებს ხევსა თუ მდინარეში და იქვე აქცევენ...

ნეტავი იმას, ვინც ბავშვივით მიენდობა უფალს!

ხოლო თუ ურწმუნოების ქია შეუჩნდა უკვდავებისთვის განკუთვნილ სულს, კაცი ან გამოცხადებით, ან განსაცდელით უთუოდ განისწავლება ღვთისაგან.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

◉ თარიღი

# ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იზეიმეს

**1926 წელს ჯონ ბერდის მიერ შექმნილმა სატელევიზიო სისტემამ საქართველოს დედაქალაქში 30 წლის შემდეგ შემოაღწია: თბილისში ცისფერი ეკრანი პირველად 1956 წლის 30 დეკემბერს აციმციმდა და მას შემდეგ ჩვენი განუყოფელი ნაწილი გახდა. ტელევიზიის პირველი დირექტორი გახლდათ აკაკი ძიძიგური, რომელთან ერთადაც სადებიუტო გადაცემის სცენარი მოამზადეს დიმიტრი გულისაშვილმა და შოთა არჩვაძემ. დიქტორთა კონკურსში 300 პრეტენდენტიდან ორი შეირჩა – ლია მიქაძე და ალექსანდრა მაჭავარიანი...**

მას შემდეგ ორმოცდაათმა წელმა განვლო. იუბილესთან დაკავშირებით ტელევიზიის მუშაკთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები „პიონერფილმის“ ინიციატივით ამას წინათ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შეიკრიბნენ. აუდიტორიის წინაშე მოგონებებით გამოვიდნენ ლია მიქაძე, ჟულიეტა ვაშაყმაძე, დონარა კინწურაშვილი, თამაზ ხომერიკი, მერაბ ბერაძე, გრიგოლ ჩიგოგიძე, რომლებმაც ტელევიზიაში მუშაობისდროინდელი საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს.

**თამარ ვართანიანცი**

**სურათზე: „მოამბის“ შემოქმედებითი ჯგუფი ტელევიზიის ეზოში (სურათი გადაღებულია 1977 წელს).**

◉ გვემრავლოს!

# სამ სამშობიარო სახლში 208 ბავშვი დაიბადა



**– ჩვენთან იანვრის ორ კვირაში 120 ბავშვი დაიბადა, უფრო ვაჟიანობაა, ახალგაზრდა წყვილისათვის ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს.** სამედიცინო პერსონალმაც გავიზიარეთ სიხარული, – გვაცნობა თბილისის შპს „კლინიკური მედიცინის ცენტრიდან“ განყოფილების გამგემ თამარ ალექსანდრიამ.

შემდეგი ზარი სამშობიარო სახლ „ორიონიდან“ გაისმა. მედდამ ნანული დამენიამ გვაუწყა, რომ პირველ იანვრიდან დღემდე 52 ბავშვი დაიბადა, 29 გოგო და 23 ბიჭი.

მას მოჰყვა ზარი შპს „ბოზიდადან“. აქ, როგორც მედდამ დარეჯან თაბუკაშვილმა გვაცნობა, რომ საქართველოს 35 მოქალაქე შეემატა. თბილისელების გარდა იყვნენ გორიდან, ქიათურიდან, ქუთაისიდან და თეთრი წყაროდან ჩამოყვანილები.

სამი სამშობიარო სახლიდან პირველი იანვრიდან დღემდე 208 ჯანსაღი მოქალაქე შეგვემატა. დასაწყისი კარგია.

**ნათელა ფაილოძე**

## ქალბატონ თამარ მეტრეველ-ჩადუნელს



გილოცავთ ანგელოზის დღეს. უფაქიზესი სულითა და კეთილშობილური თვისებებით დაჯილდოებული უდიდესს სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებთ ადამიანებს.

გისურვებთ სულიერ მხნეობას, ოჯახურ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას.

კეთილშობილური სურვილებით თამარ ჩიტაძე

◉ ანეკდოტები

– გილოცავ, ძმაო, როგორც იქნა, შერიგებიხარ ცოლს!
– საიდან დაასკვენი?
– გუშინ დაგინახეთ, შეშას რომ ხერხავდით.
– ის შეშა კი არა, ავეჯი იყო.

* * *

– წუხელ საყვარელს საწოლში ანეკდოტს ვუყვებოდი და უცებ მისი ქმარი არ დაგვადგა თავს?
– მერე?
– რა მერე, თავიდან გამიხდა ანეკდოტი მოსაყოლი.



* * *

იურიდიულად რით განსხვავდება მეუღლეთა უფლება ერთმანეთის მიმართ? – ცოლი ქმრის პირადი საკუთრებაა (მოხმარების საგანი), ქმარი კი – ცოლის კერძო საკუთრება (წარმოების საშუალება).

* * *

– ბავშვები გიყვართ? – ეკითხება ოჯახის მამა გადიად ასაყვან ახალგაზრდა გოგოს.
– რა თქმა უნდა! მაგრამ მაინც ძალიან დიდი მადლობელი დაგრჩებით, თუ ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებას გამოიყენებთ!

* * *

საგუშაგოზე მდგომ პოლიციელთან ქალმა მიირბინა:
– მიშველეთ! აი, ის მამაკაცი მთვრალია, გაუპატიურება დამიპირა!
– პოლიციელმა გულდასმით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალი.
– მართლა მთვრალი ყოფილა, თანაც მაგარი მთვრალი...

* * *

წარწერა ძეხვზე: არ შეიცავს არანაირ პროდუქტს, მათ შორის არც გენმოდიფიცირებულს.

* * *

ფსიქიატრი საავადმყოფოდან გაწერის წინ ეკითხება განდიდების მანიით შეპყრობილ პაციენტს:
– აბა, როგორ გრძნობთ თავს, კვლავ კორსიკისკენ ხომ არ მიგიწევთ გული?
– გმადლობთ, ექიმო. კორსიკა არ მენატრება, უმჯობესია, წავიდე და წმინდა ელენეს კუნძულზე დავასრულო სიცოცხლე.

◉ კადრი



მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 23 იანვარს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.